ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

„საინვესტიციო გარემოს ზეგავლენა სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)"

დისერტაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დოქტორანტი: თინათინ ჟორჟოლიანი
ხელმძღვანელი: ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი პროფესორი თეიმურაზ შენგელია

თბილისი
2017

სარჩევი

შესავალი 4

თავი 1. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების
თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები 11

1.1 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების არსი და კლასიფიკაცია 11

1.2 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ეფექტი მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში 32

1.3 საინვესტიციო გარემოს მნიშვნელობა და თავისებურებები 57

თავი 2. საინვესტიციო გარემო და მშენებლობის სექტორი აჭარის
ავტონომიურ რესპუბლიკაში 75

2.1 საინვესტიციო გარემო და რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის ოპტიმიზაციის მიმართულებები 75

2.2 მშენებლობის სექტორის ანალიზი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 100

თავი 3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო
ბიზნესის განვითარებაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის
კვლევის მეთოდოლოგია და ანალიზი 117

3.1.1 აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის კვლევის მეთოდოლოგია 117

3.2 აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის კვლევის მონაცემთა ანალიზი 133

3.3 აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის თავისებურებები 162

დასკვნები და რეკომენდაციები 171

გამოყენებული ლიტერატურა 184

დანართები

შესავალი

თემის აქტუალობა.

თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც თანდათან გლობალიზაციის შედეგებს უფრო მეტად განიცდის, მნიშვნელოვანია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები თანამედროვე პერიოდში გვევლინება ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად. ისინი საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილი და ეკონომიკის განვითარების ძირითადი კატალიზატორია (109). ეს არის კაპიტალის, ტექნოლოგიის, ადამიანური რესურსების ნაკადები ერთი ქვეყნიდან მეორეში. მრავალ ქვეყანაში ეროვნული პოლიტიკა და საერთაშორისო სამრეწველო მიღწევები თამაშობს მნიშველოვან როლს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვაში.

ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური კატეგორია, წინასწარ განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, ამაღლებენ მის საწარმოო პოტენციალს და ასრულებენ მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკის განვითარება. ეკონომიკურ ლიტერატურაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები განიხილება, როგორც ღია და წარმატებული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ფუნდამენტური ნაწილი და მისი განვითარების ძირითადი მექანიზმი.

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს მასპინძელ ქვეყანაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების შედეგად სამშენებლო ბიზნესის ზრდაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორების იდენტიფიცირების თეორიული მიმოხილვა და საინვესტიციო გარემოს სრულყოფის მიმართულებით პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, განსაზღვრულია ინვესტიციის ეკონომიკური კატეგორია, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ემპირიული მტკიცებულება და მნიშვნელობა, უცხოური პორტფელური და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების არსი, მსგავსება და განსხვავება. აგრეთვე ყურადრება ეთმობა მასპინძელი ქვეყნის

ეკონომიკის იმ გამოწვევებსა და პრობლემებს, რომელთაც ადგილი აქვს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებით. ასევე წარმოდგენილია საინვესტიციო გარემო, საინვესტიციო კლიმატის მნიშვნელობა და თავისებურებები, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა აჭარის ავტონომიურ რესპუბიკის სამშენებლო ბიზნესის ზრდაზე.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი ეთმობა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის ეფექტიანობის საკითხების შესწავლას მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივ კომპანიებში, სადაც წარმოდგენილია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებითი ეფექტის შემდეგი სახეები: რესურსების ტრანსფერის ეფექტი, კონკურენციისა და ეკონომიკის ზრდის ეფექტი, დასაქმების ეფექტი, ინოვაციის პროცესი და პროდუქტიულობა.

ნაშრომის მეორე თავი შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორის ანალიზისაგან. განხილულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საინვესტიციო გარემო და რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის ოპტიმიზაციის მიმართულებები.

ნაშრომის ბოლო, მესამე თავი კი ეთმობა აჭარის ავტონომიურ რესპუბიკაში სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის კვლევის მეთოდოლოგიას და ანალიზს. განვიხილავთ კვლევის მეთოდოლოგიას, დიზაინს, კვლევაში მონაწილე სუბიექტებს, ნიმუშის ზომას, შერჩევის ტექნიკას, მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებს, საპილოტე კვლევას, კვლევის მოქმედებისა და საიმედოობის ინსტრუმენტს, როგორც მონაცემთა ანალიზის მეთოდს. კვლევის აღნიშნულ თავში, ასევე განხილულია მონაცემების შეგროვების შედეგი, რეგიონში სამშენებლო სექტორში არსებული მიმდინარე პროცესები, წარმოვადგინეთ რეგრესიული მოდელი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოადგენს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების გავლენას სამშენებლო ბიზნესზე. კვლევის პროცესისათვის მნიშვნელოვანია დავადგინოთ თუ რა დადებით ეფექტს მიიღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნესი რეგიონში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინებით. სამშენებლო ბიზნესის სუსტი მხარეებისა და შესაძლებლობების დადგენის მიზნით ნაშრომში შესწავლილია სამშენებლო სექტორის არსებული მდგომარეობა. ასევე აღნიშნულ თავში განხილულია რეგიონის სამშენებლო ბიზნესში არსებული ადგილობრივი კომპანიების მოლოდინები უცხოური პირდაპირი ინვესტიციების

ნაკადების მიმართ. მოლოდინის მონაცემები შეგროვდა გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით. ლიტერატურის (57, 58, 59, 60, 61, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 89, 90) შესწავლის საფუძველზე. სადისერტაციო ნაშრომში ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზები, რომელთა მიზანი კვლევაში დასმული ამოცანის – „უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების გავლენა სამშენებლო ბიზნესზე" შესწავლის ავთენტურობის შემოწმებაა. სადისერტაციო ნაშრომში ასახულია სექტორული ანალიზისა და კვლევის შედეგები, წარმოდგენილია რეგრესიული მოდელი, რომელიც ასახავს მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში თუ რა დადებითი ეფექტი შეიძლება მიიღონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნესში არსებულმა ადგილობრივმა კომპანიებმა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინებით.

ნაშრომში გამოყენებული ცალკეული თეორიული მოდელები ხაზს უსვამენ რეციპიენტ ქვეყნებისათვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებით ზეგავლენას სამშენებლო ბიზნესის ზრდაზე (მაგალითად: მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიების გადაცემა, ახალი პროცესების დანერგვა, მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება, "ნოუ-ჰაუს" ხელმისაწვდომობა, დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ). კვლევით დადგინდა, რომ აღნიშნული ფაქტორები მთლიანობაში დადებითად ზემოქმედებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის მოდერნიზაციასა და ხელს უწყობს რეგიონში სამშენებლო ბიზნესის ზრდას.

კვლევის მიზანი და ამოცანები.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენის დადგენა ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებზე, რეგიონის საინვესტიციო გარემოს ანალიზი, შეფასება, პრაქტიკული მეთოდების სისტემური განვითარება და ამის საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორისათვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების პოზიტიური ეფექტის დადგენა, დისპერსიული და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდების გამოყენებით უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენით რეგიონის სამშენებლო ბიზნესის განვითარების პროგნოზული მოდელის შექმნა.

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომში დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების თანამედროვე სტრატეგიებისა და მოდელების შესწავლა და ანალიზი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონის საინვესტიციო გარემოსა და სამშენებლო ბიზნესის მიმოხილვა, მათ შორის არსებული კოლერაციის დადგენა;
- თანამედროვე ეტაპზე რეგიონში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდისა და სამშენებლო სექტორის გაუმჯობესების პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და მათი ზეგავლენა რეგიონის ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებზე.

კვლევის ობიექტი.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული სამშენებლო კომპანიები და უცხოური ინვესტიციების როლი მათი მწარმოებლურობის გაუმჯობესების პროცესში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

დასახული მიზნის მისაღწევად სამეცნიერო კვლევა ძირითადად დაფუძნებულ იქნა თეორიულ და ემპირიულ კვლევებზე. ნაშრომის თეორიული საფუძველია სოლოუს ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის თეორია, ენდოგენური ზრდის მოდელი და ჰიმერის ინდუსტრიალიზაციის თეორია. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო მეცნიერებაში არსებული თეორიული და პრაქტიკული მიღწევები, ქართველ და უცხოელ მკვლევართა სამეცნიერო მიღწევები, პრაქტიკული შრომები და გამოცდილება. კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს იუნესკოს (UNESCO), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები. აგრეთვე, კვლევისას გაანალიზებულ იქნა შესაბამისი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე განთავსებული ოფიციალური დოკუმენტები და ინფორმაცია. სამშენებლო ბიზნესზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის პირველადი ემპირიული მონაცემების მისაღებად დამუშავდა სპეციალური

ანკეტა, მიღებული მონაცემები დამუშავდა კვლევების სპეციალური სტატისტიკური პროგრამის Statistical Package for the Social Sciences (SPSS) მეშვეობით.

მიმდინარე კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თანამედროვე ლიტერატურის მიმოხილვა, რამაც საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა თეორიული სტრატეგიები, მოდელები და სქემები შემდგომი ემპირიული კვლევისათვის, მონაცემთა მიღების, ანალიზის და შესაბამისი დასკვნების გამოტანისათვის.

კვლევის შემდგომ ეტაპებზე:

- ლიტერატურაში მოცემული თეორიების, სტრატეგიების და მოდელების სინთეზის საფუძველზე, შემუშავდა რეგრესიული მოდელი, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორზე;
- სპეციალური კითხვარისა და სამშენებლო კომპანიების სტრატეგიული მენეჯერების გამოკითხვის საფუძველზე შესწავლილ იქნა სამშენებლო სექტორი და დავადგინეთ რეგიონში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოსვლის საპროგნოზე მაჩვენებლები.
- შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, შემუშავდა რეკომენდაციები.

კვლევის ინფორმაციული ბაზა.

სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტური გამოკვლევები. ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული ადგილობრივი და უცხოელი ავტორების სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომები, სამეცნიერო გამოკვლევები, მეთოდოლოგიური და მეთოდური ხასიათის მონოგრაფიები, სტატიები. ასევე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მასალები. კვლევის შედეგები ეყრდნობა არსებულ თეორიებს, გამოკითხვის მეთოდის, მონაცემთა დამუშავების შედეგად შესაძლებელი გახდა ემპირიული მასალის დაკვირვების შედეგების დასაბუთება. კვლევის პროცესში გამოყენებულია სტატისტიკური ანალიზის რეგრესული მოდელი, დაკვირვების და რესპოდენტთა გამოკითხვის

მეთოდები. კვლევის პროცესში პირველადი მონაცემები გაანალიზებულია სტატისტიკური პროგრამით – Statistical Package for the Social Sciences (SPSS).

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლე.

თეორიულ-მეთოდოლოგიური და ემპირიული კვლევის საფუძველზე გაანალიზებულია საინვესტიციო გარემოს, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსის განვითარებაზე, შემუშავებულია რეკომენდაციები ინვესტიციური აქტივობის ზრდის საფუძველზე რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი გაფართოებისა და ამ პროცესში სამშენებლო ინდუსტრიის ზრდის თვალსაზრისით.

ძირითადი მეცნიერული სიახლე კონკრეტდება სხვა სიახლეებში, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

- სადისერტაციო ნაშრომში დამუშავებულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, დადგენილია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ეფექტი მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში.
- შემუშავებულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების რეციპიენტ ქვეყნის სამშენებლო ბიზნესზე ზეგავლენის დადგენის რეგრესიული მოდელი. ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელი მოიცავს ორ ცვლადს: უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო სექტორს. ცვლადებს შორის კავშირი წარმოდგენილია მათემატიკური განტოლებების სახით და დადგენილია მათი ზეგავლენა რეგიონში სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე. მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ შეძლებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორის ადგილობრივი ფირმები ისარგებლონ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინებაზე და როგორ რეაგირებენ ისინი ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლაზე.
- ჩატარებულია აჭარის რეგიონში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების აქტიური და პასიური პოლიტიკის ანალიზი, დადგენილია საინვესტიციო პოლიტიკის ინსტრუმენტების პრაქტიკული მოქმედების შესაძლებლობები.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნეს გარემოს ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილია რეგიონში არსებული პრობლემები, როგორც

საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციურ დონეზე. შემუშავებულია რეგიონში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდისა და სამშენებლო სექტორის გაუმჯობესების გზები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.

სადისერტაციო კვლევაში ჩამოყალიბებული რეგრესიული მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ინდიკატორი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად გაიზრდება ან შემცირდება სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს სამშენებლო ინდუსტრიას, რათა შეფასდეს სამშენებლო სექტორის, როგორც ეროვნული ეკონომიკის ძლიერი მოტივატორის შესაძლებლობები.

ნაშრომში ჩამოყალიბებული თეორიული დასკვნების და რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ფირმების პროდუქტიულობის გაუმჯობესებას, რეგიონული საინვესტიციო პროცესების ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების სრულყოფას, რაც ბიზნესის წარმატებული განვითარების და რეგიონის, ეკონომიკური კეთილდღეობის წინაპირობაა.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობაა 194 გვერდი. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, რვა ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან, თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

თავი 1. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების არსი და კლასიფიკაცია

ლინგვისტური თვალსაზრისით ინვესტიცია ლათინური სიტყვაა (investire - შემოსვლა, ჩაცმა), რაც ნიშნავს შემოსვლას. "ინვესტიტურას" უწოდებდნენ ეპისკოპოსების დანიშვნას ფეოდალიზმის ეპოქაში, რომლებიც მოსახლეობასთან ერთად იღებდნენ მმართველობისთვის საეკლესიო მიწებს და მათი გადასახადების უფლებას (56, გვ. 10).

დროთა განმავლობაში ტერმინი "ინვესტიცია" ახალი მნიშვნელობებით შეივსო. ინვესტიციები ნიშნავს აქციების ან ობლიგაციების შეძენას რაიმე განსაზღვრული ფინანსური შედეგის მიღების მიზნით. იგი გამოხატავს, აგრეთვე, რეალურ აქტივებს. მაგალითად, რაიმე საქონლის წარმოებისა და გაყიდვისათვის საჭირო მანქანებს, ან კიდევ, ინვესტიციებია ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაბრები, პაიები, აქციები, და სხვა ფასიანი ქაღალდები, ტექნოლოგიები, მანქანები, მოწყობილობა, ლიცენზიები, მათ შორის – სასაქონლო ნიშნებზეც, კრედიტები, სხვა ნებისმიერი ქონება ან ქონებრივი უფლებები, ინტელექტუალური ღირებულებები, რომლებსაც სამეწარმეო და სხვაგვარი საქმიანობის ობიექტებში აბანდებენ მოგების (შემოსავლის) მიღებისა და დადებითი სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ფართო გაგებით, „ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის დაფინანსებისათვის აუცილებელ მექანიზმს უზრუნველყოფს" (26, გვ. 4-6).

ბიზნესის თეორიებში ინვესტიცია არის საქმიანობა, სადაც მწარმოებელი ყიდულობს ფიზიკურ აქტივებს (მაგალითად წარმოებისათვის საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობას), რაც გრძელვადიან პერიოდში ბიზნესს დაეხმარება გახდეს რენტაბელური (132).

ეკონომიკსში ინვესტიციები განმარტებულია როგორც „წარმოებაზე დანახარჯები და წარმოების საშუალებების დაგროვება და მატერიალური მარაგების გადიდება" (61, გვ. 388).

მეცნიერი გ. კურტანიძის აზრით, „ინვესტიციების ცნებაში იგულისხმება დანახარჯების ერთობლიობა, რომლებიც ხორციელდება განსაზღვრულ პერიოდში

კაპიტალის მიზანმიმართული ფორმით ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა და სფეროში, სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში მოგების (შემოსავლის) მიღებისა და ინვესტორთა, როგორც ინდივიდუალური მიზნების, ისე დადებითი სოციალური ეფექტის მიღწევისათვის" (23, გვ. 5-6).

მეცნიერი პ. მასეს მიერ წარმოდეგნილი განმარტებით „ინვესტირება წარმოადგენს დღევანდელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, საინვესტიციო დოვლათში მომავალ პერიოდში გამოყენებით, დაკმაყოფილებაზე გაცვლის აქტს" (63, გვ. 27).

ფრანგი ეკონომისტი ანრი კულმანი ინვესტიციების არსისა და კლასიფიკაციის პრობლემას, განსხვავებულ ჭრილში განიხილავს და გვთავაზობს განვასხვავოთ ირიბი ინვესტირება (ფულადი საშუალებების გამოყენებით) პირდაპირი ინვესტირებისაგან (ფულადი საშუალებების გამოყენების გარეშე). აღნიშნულთან ერთად იგი გამოყოფს ინვესტირების შუალედურ მექანიზმს, რომელიც დაფუძნებულია საკუთარი ფულადი კაპიტალის გამოყენებაზე (ფირმათა თვითდაფინანსების მექანიზმი) (59, გვ. 52).

საინტერესოა „ინვესტიციების" ეკონომიკური არსის მეცნიერების ლ. გიტმანისა და გ. ჯონკის განმარტება „ინვესტიცია – ეს კაპიტალის განთავსების ნებისმიერი ინსტრუმენტია, გათვლილი ხერხია კაპიტალის ღირებულების შენარჩუნების ან ზრდის და შემოსავლების დადებითი სიდიდის მიღების მიზნით" (60, გვ. 10).

ვხვდებით, ასევე განმარტებას, რომელიც ხშირად გამოიყენება რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, რომლის თანახმადაც „ინვესტიციები გამოხატავენ ქონებრივი და ინტელექტუალურ ფასეულობის ყველა ფორმას, რომელთა დაბანდება ხდება სამეწარმეო საქმიანობის ობიექტებში და შედეგად მიიღება (შემოსავალი) ან მიიღწევა სოციალური ეფექტი" (57, გვ. 252).

ინვესტიცია კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდებაა:

- საკუთარ ქვეყანაში;
- საზღვარგარეთ სხვადასხვა დარგების საწარმოებში;
- სამეწარმეო პროექტებში;
- სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში;
- ინოვაციურ პროექტებში.

ის მოგებას იძლევა დაბანდებიდან მნიშვნელოვანი ვადის გასვლის შემდეგ.

პირდაპირი ინვესტიცია არის:

- განსაზღვრული სახის პროდუქციის უშუალოდ წარმოებასა და გასაღებაში დაბანდებული, ჩადებული;
- დაბანდება, რომელიც აქციის საკონტროლო პაკეტის დაუფლებას უზრუნველყობს (44, გვ. 229).

საქართველოს კანონით „ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" - „ინვესტიცია არის სახელმწიფოს მიერ სახვადასხვა დარგის საწარმოებში, საწარმოო-საინვესტიციო პროგრამებსა და საწარმოო-საინვესტიციო პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება" (34).

„საინვესტიციო საქმიანიობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით - „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდა და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში" (33).

„ინვესტიცია, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ძალზე ტევადი ცნებაა. იგი მოიცავს საინვესტიციო სფეროს ფუნქციონირების და რეგულირების კანონზომიერებების განმსაზღვრელ ელემენტებს, კერძოდ:

1. სამეწარმეო საქმიანობაში ჩადებული რესურსები და ფასეულობები.
   აქ ინვესტიციები შემდეგი სახით შეიძლება განხორციელდეს:
   - უძრავი და მოძრავი ქონება (შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობები);
   - ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაბრები, კრედიტები, აქციები და სხვა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები;
   - საავტორო უფლებებიდან გამომდინარე ქონებრივი უფლებები, ლიცენზიები, ნოუ-ჰაუ, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობები;
   - მიწით და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლებები, აგრეთვე სხვა ქონებრივი უფლებები.
2. რესურსების დაბანდებით მოცულობისა და დინამიკის წარმმართველი შემოსავლები.

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შემოსავლის მიღების პროცესი, მისი შექმნის კანონზომიერება „ინვესტიციების“ ცნებაში არ შედის“ (41, გვ. 23).

ამავე ავტორის უფრო მოკლე განმარტებით, „ინვესტიცია დოვლათის წარმოებისა და არა საბოლოო მოხმარებისთვის გამიზნული ხარჯების ნაკადია, რომელიც გამოიყენება ძირითადი კაპიტალის გადიდების ან შენარჩუნებისთვის. იგი მატერიალური, ტექნოლოგიური, ფინანსური და ინტელექტუალური ფასეულობების გრძელვადიანი დაბანდებაა ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მოგების ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ინვესტიციები ნიშნავს აგრეთვე აქციების ან ობლიგაციების შეძენას რაიმე განსაზღვრული ფინანსური შედეგის მიღების მიზნით“ (41, გვ. 20).

გვხვდება აგრეთვე განსხვავებული მიდგომა ინვესტიციის კატეგორიისადმი, რომლის ავტორებიც ჩვეულებრივ „ინვესტირების პროცესის ქვეშ გულისხმობენ მიმდინარე პერიოდში კაპიტალის ახალ ნაკადთა მოზიდვას.

განასხვავებენ მთლიან და წმინდა ინვესტიციებს:

- მთლიანი ინვესტიციები ესაა კაპიტალის მარაგის საერთო ზრდა;
- წმინდა ინვესტიციები არის საერთო ინვესტიციებიდან განახლებაზე ხარჯების გამორიცხვით მიღებული ინვესტიციები” (9, გვ. 20).

თანამედროვე პირობებში ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს საინვესტიციო საქმიანობის ორი მხარის თანაწყობაში. ესენია:

- რესურსების ხარჯვა;
- შედეგის მიღება.

აღსანიშნავია, რომ ეს ორი პროცესი განსხვავებული დროითი თანმიმდევრობით შეიძლება მიმდინარეობდეს. „ერთმანეთისაგან განასხვავებენ რესურსების დაბანდებისა და შედეგის მიღების პროცესების მიმდევრობით, პარალელურ და ინტერვალურ მიმდინარეობას. ამ პროცესების მიმდინარეობისას მოგება სრული მოცულობით მიიღება ინვესტიციების დასრულებისთანავე. მათი პარალელურად მიმდინარეობისას მოგების მიღება შესაძლებელია ინვესტირების ჯერ კიდევ მთლიანად დასრულებამდე. პროცესის ინტერვალურად მიმდინარეობისას ინვესტიციების დასრულებასა და მოგების მიღებას შორის გარკვეული დრო გადის (ამ დროითი ლაგის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ინვესტირების ფორმებსა და კონკრეტული საინვესტიციო პროექტების თავისებურებებზე)” (39, გვ. 424).

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი განმარტებები ცხადყოფს, რომ ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური კატეგორია, წინასწარ განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, ამაღლებენ მის საწარმოო პოტენციალს და ასრულებს მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკის განვითარება.

თანამედროვე ბიზნეს ლიტერატურაში ცნობილია ინვესტიციების შემდეგი ფუნქციები:

- ძირითადი ფონდების უბრალო და ფართო განვითარების პროცესი;
- საბრუნავი კაპიტალის შევსება და უზრუნველყოფის პროცესი;
- ეკონომიკის ერთი სფეროდან მეორე სფეროში კაპიტალის გადადინება აქტივების ყიდვა-გაყიდვით;
- მესაკუთრეებს შორის კაპიტალის გადანაწილება აქციების ყიდვა-გაყიდვით:
- შემოსავლის მოტანის პოტენციური უნარი.

მატერიალურ თუ არამატერიალურ ობიექტში (ინსტრუმენტში) კაპიტალის როგორც, ზრდის მიზნების მიღწევის მეთოდი ინვესტიცია დაფუძნებულია პრინციპებზე, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ ოთხი. ესენია:

- ეფექტურობა – როგორც ცნობილია, ინვესტიციის თავისებურება არის ინვესტორს მოუტანოს განსაზღვრული მოგება (აუცილებელი არ არის ფულადი ფორმით) და ამასთან, უნდა განხორციელდეს ყველა ოპტიმალური ხერხით.
- განსაზღვრულობა – ინვესტიცია დროის ნებისმიერ მომენტში შეიძლება შეფასდეს რაოდენობრივად ან თვისებრივად მართვისთვის საჭირო პარამეტრების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტიცია შეიძლება გახდეს არაკონტროლირებადი.
- გაცნობიერება – მფლობელის მიერ კაპიტალის ჩადება ხდება უპირატესობის განსაზღვრის პროცედურის შედეგად დაზოგვის და მოხმარების დარგში. მფლობელის ინვესტორად გადაქცევის პროცესს აქვს გაცნობიერებული ხასიათი, რომელიც დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე.
- მიმართულობა – ინვესტიციას ყოველთვის აქვს გარკვეულ ობიექტზე მიმართული ხასიათი, ამასთან ინვესტიციის მიზნობრივი ხასიათი ვლინდება ინვესტიციის ალტერნატიული ობიექტების შეფასების გარკვეულ დონეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ფართო მასშტაბიანი ინვესტიციების შემთხვევაშიც კი მიკროდონეზე ხდება ინვესტირების ობიექტის არჩევა.

ინვესტიციების ნიშან-თვისებებს წარმოადგენენ:

- ინვესტორების მიერ დაბანდების განხორციელება, რომლებსაც აქვთ საკუთარი მიზნები, რაც ყოველთვის არ ემთხვევა საერთო ეკონომიკურ სარგებლიანობას;
- ინვესტიციებს აქვთ შემოსავლის მოტანის პოტენციური შესაძლებლობა;
- საშუალებების დაბანდების განსაზღვრული ვადა;
- ობიექტებსა და ინვესტირების ინსტრუმენტებში კაპიტალის დაბანდების მიზანმიმართული ხასიათი;
- სხვადასხვა ინვესტიციური რესურსების გამოყენება, რომლებიც ინვესტირების განხორციელების პროცესში ხასიათდებიან მოთხოვნით, მიწოდებით და ფასით;
- კაპიტალის დაბანდების რისკი.

ინვესტიციები შედეგების ანალიზისათვის, მნიშვნელოვანია მისი კლასიფიკაცია:

საინვესტიციო რესურსების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ინვესტიციების სამ ტიპს:

- რეალური ინვესტიციები – რომელიც მოიცავს:
    - წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად გამიზნულ ინვესტიციებს;
    - გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფისთვის გამიზნულ ინვესტიციებს;
    - რეალურ ქონებრივ ინვესტიციებს (მაგალითად, დაბანდებები ოქროს ნაწარმის, ანტიკვარიატის, ხელოვნების ნიმუშების და ა.შ. შესყიდვაში).
- ფინანსური (პორტფელური) ინვესტიციები - გულისხმობს ფულადი სახსრების დაბანდებებს აქციებში, ობლიგაციებში, კერძო და კორპორაციულ კომპანიებში, ასევე დაბანდებებს სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებში (საფონდო ფასეულობებში).
- ინტელექტუალური (არამატერიალურ აქტივებში) ინვესტიციები - გულისხმობს კაპიტალის დაბანდებას მეცნიერულ გამოკვლევებში, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ახალი ტექნოლოგიების გამოსაყენებლად ლიცენზიების შეძენაში, ცნობილი ფირმების სავაჭრო მარკების გამოყენების უფლების მიღებაში და ა.შ.

ინვესტირების რესურსების საკუთრების ფორმის მიხედვით განასხვავებენ:

- კერძო ინვესტიციები;
- სახელმწიფო ინვესტიციები.

ინვესტირების პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით განასხვავებენ:

- მოკლევადიან ინვესტიციები.
- გრძელვადიან ინვესტიციები.

დაბანდების ობიექტის მიხედვით განასხვავებენ:

- პორტფელური ინვესტიციები - ესაა დაბანდებანი ფასიან ქაღალდებში მათი შემდგომი კურსის ცვლილებისა და დივიდენდის მიღების, ასევე სამეურნეო სუბიექტის სამმართველო საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით.
- რეალური ინვესტიციები - ესაა დაბანდებანი განხორციელებული მატერიალურ-სამრეწველო მარაგების ზრდისა და ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების მიზნით.

ინვესტიციებში მონაწილეობის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ:

- პირდაპირ ინვესტიციებს - პირდაპირი ინვესტიციები გულისხმობს, რომ ინვესტორი უშუალოდ მონაწილეობს ინვესტირების ობიექტის შერჩევაში, სახსრების დაბანდებაში;
- არაპირდაპირ ინვესტიციებს - არაპირდაპირ (ირიბი) ინვესტირებაში იგულისხმება, რომ მას ახორციელებს სხვა სუბიექტი (ფინანსური ან საინვესტიციო შუამავალი);
- შუალედურ ინვესტიციებს - მოიცავს ინვესტირებისას საკუთარი ფულადი კაპიტალის გამოყენების მექანიზმს.

დაბანდების არეალის მიხედვით განასხვავებენ:

- მთლიანი ინვესტიციები - ესაა მანქანა-მოწყობილობების შესაძენად, მშენებლობისა და მარაგების გაზრდის უზრუნველყოფისკენ მიმართული დანახარჯები. იგი მოიცავს დანახარჯებს მიმართულს ყველა სახის საინვესტიციო საქონლის კვლავწარმოებისკენ.
- წმინდა ინვესტიციები - იგი წარმოადგენს დანახარჯებს კაპიტალის ნაზრდზე. მის წყაროს წარმოადგენს ფირმის მოგება, მაშინ როცა მთლიანი ინვესტიციები დაკავშირებულია დაგროვების და აღდგენის ფონდთან.

ბიზნესის ლიტერატურაში ცნობილია, რომ ინვესტიციებს ახასიათებს შემდეგი ამოცანები:

- წარმოების გაფართოების პოლიტიკის რეალიზაცია;

- სამეცნიერო –ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ხარისხის გაუმჯობესება, კონკურეტუნარიანობის უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა, მეურნეობრივი კომპლექსის ყველა სფეროს დაბალანსებული განვითარება;
- ჯანდაცვის განვითარება, კულტურა, განათლების დახვეწა;
- უმუშევრობის პრობლემის მოგვარება;
- გარემოს დაცვა;
- წარმოების გაფართოება და განვითარება;
- ძირითადი ფონდების მორალური და ფიზიკური ცვეთის დაბალი დონის შენარჩუნება;
- პროდუქციის ხარისხის ამაღლება;
- ფასიანი ქაღალდების შესყიდვა და სხვა საწარმოების აქტივებში ფულის ჩადება.

ინვესტიციები დაბანდების ადგილის მიხედვით იყოფა:

- სამამულოდ;
- უცხოურად.

ქვეყნის რეზიდენტების მიერ კაპიტალის დაბანდება არის სამამულო ინვესტიციები, ხოლო უცხოურ ინვესტიციებს მიეკუთვნება უცხო ქვეყნის ინვესტორების მიერ კაპიტალის სხვა ქვეყანაში დაბანდება.

გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების დაბანდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესია, რომლის დროსაც უცხო სახელმწიფოები, კომპანიები და საწარმოები ნერგავენ ინოვაციებს და ტექნოლოგიას მიმღები ქვეყნის საწარმოებში. განვითარებული ქვეყნები სახსრებს აბანდებენ სხვა ქვეყნების ეკონომიკაში და ავითარებენ მასპინძელი ქვეყნების ინდუსტრიას, რადგან კაპიტალის მიღებით რეციპიენტი ქვეყანა იძენს შესაძლებლობას, განაახლოს და განავითაროს ინდუსტრიის დარგები, გაზარდოს მწარმოებლურობა, აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია და მომსახურება.

სახსრების დაბანდების მიხედვით უცხოური ინვესტიციები ძირითადად იყოფა ორ კატეგორიად:

- უცხოურ პორტფელურ;
- უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებად.

უცხოურ პორტფელურ და პირდაპირ ინვესტიციებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. ინვესტიციათა ამ ორ ტიპს შორის განსხვავება ვლინდება იმაში, თუ რა ხარისხით აკონტროლებს ინვესტორი მის მიერ დაბანდებულ კაპიტალს: აპირებს იმ კომპანიის აქტიურ მართვას, სადაც ჩაიდო კაპიტალი, თუ პასიური ინვესტიციებიდან შემოსავლის მიღებას (3).

უცხოური პორტფელური ინვესტიციები მოიცავს ისეთი პასიური ინვესტიციების შეძენას, როგორიცაა აქციები და ობლიგაციები. ეს არის დაფინანსების პირდაპირი ფორმა, რომლის ერთადერთი მიზანი არის დივიდენდის მიღება, კაპიტალის ზრდა ან პროცენტების მიღება. აღნიშნული ინვესტიციები ხშირად მოკლევადიანია და შეიძლება ძალიან სწრაფად გაიტანონ ქვეყნიდან (ანუ არის ძალიან "მობილური") (3). პორტფელური ინვესტიციები ძირითადად არის ინვესტიციები რომლითაც ინვესტორს არ აქვს ეფექტიანი მონაწილეობის უფლება საწარმოს მართვაში. პორტფელური ინვესტიცია არის ინდივიდის, ფირმის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ ფულის დაბანდება უცხო ქვეყნის ფინანსურ აქტივებში (მაგალითად, სახელმწიფო ობლიგაციები, უცხოური აქციები). დასახელებულთაგან არც ერთი სახეობის ფასიანი ქაღალდის ფლობა არ აძლევს ინვესტორს უფლებას მიიღოს აქტიური მონაწილეობა ამ ქაღალდების ემიტენტის საქმიანობაში. ამ სახეობის ინვესტიციური დაბანდების მიზანი არის საინვესტიციო პორთფელის გეოგრაფიული დივერსიფიკაცია ან მისაღები შემოსავლის განაკვეთის შერჩევა (44, გვ. 266).

ამრიგად, პორტფელური ინვესტიციები არის ფასიანი ქაღალდების შეძენა, რომელიც კაპიტალის ჩადების ობიექტზე ინვესტორს არ აძლევს კონტროლის უფლებას. მას ხშირად „ცხელ" ფულს უწოდებენ, რომელიც რეციპიენტ ქვეყანას, ეკონომიკაში არასტაბილურობის პირველი ნიშნის გამოჩენისთანავე დაუყონებლივ ტოვებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პორტფელური ინვესტიციები მოკლევადიანი ინვესტიციებია და კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან ასოცირდება. უცხოურ პორტფელურ ინვესტიციებს მიმღებ ქვეყანაში შემოაქვს ფინანსური რესურსები, მენეჯერული უნარები, მარკეტინგული კავშირები, ტექნიკური ცოდნა, ადგილობრივი სამუშაო ძალის ტრენინგები.

საქართველოში უცხოური პორტფელური ინვესტიციები შემოედინება ან პირდაპირ კავკასიის საფონდო ბირჟაზე ან დოლარ-დომინირებული ურთიერთდამხმარე ფონდების მეშვეობით, რომლებიც ახორციელებენ ისეთ ოპერაციებს, როგორიცაა ფასიანი ქარალდების ოპერაციები და სატრასტო

ოპერაციები. პროექტები ხორციელდება, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში. უცხოური პორტფელური ინვესტიციები ფოკუსირებულია ინფრასტრუქტურის განვითარებასა და კომერციულ ბანკებთან შეთანხმებით საშუალოვადიან პერსპექტივაში კერძო სექტორის განვითარების სტრატეგიაზე.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები თანამედროვე პერიოდში გვევლინება ეკონომიკური გლობალიზაციის ერ-ერთ მამოძრავებელ ძალად. ეკონომიკურ ლიტერატურაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები განიხილება, როგორც ფუნდამენტური ნაწილი ღია და წარმატებული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემისა და მისი განვითარების ძირითადი მექანიზმი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს განსაზღვრავს, როგორც ინვესტიციას, როდესაც საინვესტიციო საწარმო მდებარეობს ერთ ქვეყანაში, მაგრამ „ეფექტურად კონტროლდება" სხვა ქვეყნის რეზიდენტების მიერ (134).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გამოხატავენ გრძელვადიანი ინტერესების შეძენას ერთი ქვეყნის რეზიდენტის საწარმოს მიერ (პირდაპირი ინვესტორი) მეორე ქვეყნის საწარმოში.

გრძელვადიანი ინტერესების არსებობა გულისხმობს ხანგრძივადიანი საქმიანი ურთიერთობის დამყარებას საწარმოებს შორის, ინვესტორი იძენს საწესდებო კაპიტალის 10% და იღებს უფლებას სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს კაპიტალის ჩადების ობიექტზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე (111). თუმცა მოცემულ განმარტებას არ ეთანხმება ყველა ქვეყანა, ჩინეთში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განმარტება ეფუძვნება უცხოელების მიერ დაფინანსებულ კომპანიათა შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას, სადაც არარეზიდენტი საწარმოები ფლობენ რეზიდენტი ფირმის საწესდებო კაპიტალის 25%-ზე მეტს, მალააზიაში პირდაპირ ინვესტორად განიხილება არარეზიდენტი საწარმო, რომელიც ფლობს მიმღები ქვეყნის კომპანიის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს (111). აშშ-ში უცხოური პირდაპირი ინვესტიციებად ფორმალურად აღიარებულია ყოველგვარი დაბანდება, თუ ინვესტორ განაგებს ან ღებულობს ფირმის საკუთრების 10%-ს.

საგადამხდელო ბალანსის მკაცრი ბუღალტრული განსაზღვრით პირდაპირი ინვესტიციები არის ნებისმიერი ფინანსური ნაკადი ან კრედიტი, ან

საზღვარგარეთულ საწარმოში საკუთრების შეძენა, რომელსაც მნიშვნელოვანწილად აკონტროლებენ მაინვესტირებელი, ანუ ე.წ. ბაზირების ქვეყნის რეზიდენტები (111).

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები კერძო სამეწარმეო კაპიტალის ექსპორტის ძირითადი ფორმაა. იგი უზრუნველყოფს ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ საზღვარგარეთული ფილიალების საქმიანობის ეფექტიანი კონტროლის შესაძლებლობას. შესაბამისად, „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეწოდება საზღვარგარეთის საწარმოებში განხორციელებულ კაპიტალდაბანდებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორის მხრიდან მათზე განხორციელებულ შესაძლებლობებს“ (44, გვ. 553).

ზემოთ აღნიშნულ განმარტებებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები არა უბრალოდ საერთაშორისო კაპიტალის ტრანსფერია, არამედ ეს არის საწარმოს გაფართოვება საზღვარგარეთ მასპინძელ ქვეყანაში. საწარმოს გაფართოვება მოიცავს კაპიტალის ნაკადებს, თანამედროვე ტექნოლოგიას, სამეწარმეო უნარს და მენეჯერულ პრაქტიკას მასპინძელ ეკონომიკაში, სადაც ადგილობრივ ფაქტორებთან კომბინირებულად იწარმოება საქონელი და მომსახურება.

ამრიგად, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები წარმოადგენს გლობალიზებული ეკონომიკური სისტემის დამახასიათებელ თავისებურებას, რომელიც გულისხმობს არარეზიდენტი კომპანიების მიერ კაპიტალდაბანდებას საწარმოებში, უძრავ ქონებასა და სხვა აქტივებში.

ნებისმიერი ტიპის დაფინასება განხორციელებული მშობელი კომპანიის მიერ არარეზიდენტ შვილობილ ფირმაში, განისაზღვრება, როგორც უცხოური პირდაპირი ინვესტიცია და პირიქით, არარეზიდენტ შვილობილი ან ასოცირებული კომპანიების, ასევე ფილიალების მხრიდან მიმართული ნებისმიერი დაფინანსება რეზიდენტ მშობელ ფირმებში განიხილება, როგორც უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემცირება.

საინვესტიციო ინსტრუმენტების მიხედვით უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემადგენლობაში შედის:

- კომპანიების მიერ უცხოეთში საკუთარი კაპიტალის დაბანდება: ფილიალების კაპიტალი, და შვილობილი ან ასოცირებული კომპანიების აქციებში არსებული წილი;

- მოგების რეინვესტირება: პირდაპირი ინვესტორის წილი საწარმოს მოგებაში, რომელიც არ ნაწილდება დივიდენდების სახით და არ გადაირიცხება პირდაპირი ინვესტორის ანგარიშზე.
- კაპიტალის შიდა კორპორაციული გადარიცხვები: ის, როგორც წესი, ხორციელდება, ერთი მხრივ, პირდაპირ ინვესტორსა და მეორე მხრივ, შვილობილ ან ასოცირებულ კომპანიებს შორის, ასევე ფილიალებს შორის (56).

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიმღები საწარმო შეიძლება იყოს შვილობილი და ასოცირებული კომპანია ან ფილიალი. ეს კომპანიები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ხასიათდებიან რთული სამართლებრივი სტრუქტურით. აღნიშნულის ნათლად გასაგებად განვიხილოთ შემდეგი მაგალითი, თუ საწარმო "X" ნაწილობრივ ფლობს საწარმო "Y"-ს, რომელიც თავის მხრივ არის მფლობელი შვილობილი კომპანია "Z"-ში, ამ უკანასკნელის არსებობა დამოკიდებულია კომპანია "Y"-ზე და არა "X"-ზე, მაშინ შვილობილი კომპანია "Z" არ განიხილება, როგორც "X" კომპანიის უცხოური პირდაპირი ინვესტორი.

შვილობილ და ასოცირებულ კომპანიებს და ფილიალებს თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია (OECD) განმარტავს შემდეგნაირად:

- **შვილობილი კომპანიები:** კომპანია "X" განიხილება, როგორც "N" კომპანიის შვილობილი კომპანია, თუკი "N" კომპანია არის აქციათა ნახევარზე მეტი წილის მფლობელი და აქვს ძალაუფლება, დანიშნოს ან მოხსნას ადმინისტრაციული პერსონალი, გარდა ამისა, აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა აქციონერთა კენჭისყრაზე.
- **ასოცირებული კომპანიები:** "R" კომპანია ითვლება "N" კომპანიის ასოცირებულ კომპანიად, თუკი "N" კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები ფლობენ 10%-დან 50%-მდე აქციათა წილს "R" კომპანიაში.
- **ფილიალები:** პირდაპირი ინვესტიციების ფილიალები მიმღებ ქვეყანაში შეიძლება იყოს:
    - უცხოელი ინვესტორის მუდმივი წარმომადგენელი;
    - ერთობლივი საწარმო პირდაპირ უცხოელ ინვესტორსა და მესამე პირს შორის;

- მიწები, ობიექტები (გარდა ობიექტებისა, რომელიც უცხოელთა საკუთრებაშია), უცხოელ რეზიდენტთა პირდაპირ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება და ნივთები;
- მობილური აღჭურვილობა, როგორიცაა გემები, თვითმფრინავები, ნავთობისა და გაზის საბურღები, რომლებიც მოქმედებაშია მიმღებ ქვეყანაში მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში და აღიარებულია მასპინძელი ქვეყნის საგადასახადო ორგანოს მიერ (111).

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მასპინძელი ქვეყნისთვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციებიდან მაქსიმალური სარგებელი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, ის რეციპიენტ ქვეყანას გადასცემს:

- თანამედროვე ტექნოლოგიებს;
- ქმნის გლობალურ მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე ხელმისაწვდომობას;
- ახორციელებს ადამიანური კაპიტალის ფორმირების მხარდაჭერას;
- ოპტიმალურად სარგებლობს ადამიანური შესაძლებლობებითა და ბუნებრივი რესურსებით;
- საერთაშორისო დონეზე ზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას;
- აფართოებს საექსპორტო ბაზრებს;
- უზრუნველყოფს პროდუქციისა და მომსახურების საერთაშორისო ხარისხის ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს საერთაშორისო სავაჭრო ინტეგრაციას.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ეხმარება მასპინძელ ქვეყანას გააუმჯობესოს ეკონომიკური გარემო და სოციალური მდგომარეობა ე. წ. "სუფთა" ტექნოლოგიების შემოდინებითა და სოციალური პასუხისმგებლობის კორპორატიული პოლიტიკის ხელმძღვანელობით, რეციფიენტი ქვეყნები აუმჯობესებენ გარემოსა და სოციალურ პირობებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ოთხ ინსტიტუციურ სექტორს გამოყოფს, ზოგიერთი ქვეყანა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მონაცემების გამოქვეყნებისას სარგებლობს მოცემული სექტორული დაყოფით, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) უცხოური პირდაპირი ინვესტიციებს განასხვავებს ეკონომიკური და სამრეწველო დარგების მიხედვით (ცხრილი №1).

ბიზნეს ლიტერატურაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების კლასიფიკაციას მოტივაციის მიხედვით საფუძვლად უდევს სამი ძირითადი მოტივი, ესენია:

- ბუნებრივ რესურსებზე;
- უცხოურ ბაზრებზე;
- ეფექტიანობაზე ორიენტირებული მოტივი.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სხვადასხვა ფორმებს, ესენია:

- გრინფილდი (მწვანე ველის) - გრინფილდ ანუ "მწვანე ველის" ინვესტიცია არის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფორმა, რომლის დროსაც, ინვესტიციები მიემართება საზღვარგარეთ ახალი საწარმოების შექმნის ან უკვე არსებული ობიექტების გაფართოებისკენ.
- ბრაუნფილდი - გულისხმობს ადრე აშენებული ქარხნის ან სხვა დაწესებულების შეძენას იმისათვის, რომ ის სხვა საქმიანობისთვის იქნეს გამოყენებული.
- "შერწყმა" და "შთანთქმა" – უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ერთ-ერთი ფორმაა, რომლის მეშვეობითაც ორი ან მეტი კომპანიის აქტივები და ვალდებულებები ერთიანდება და წარმოიქმნება ერთი ბიზნეს სუბიექტი. გაერთიანების შემდეგ კომპანიები აღარ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ეკონომიკურ ერთეულებს. ერთი ფირმის აქტივები და ვალდებულებები გადაეცემა მეორეს.
    - შერწყმა შეიძლება მოხდეს თანაბარი ზომის და საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიებს შორის, ამგვარ გარიგებას ძირითადად აქვს მეგობრული ხასიათი.
    - შთანთქმა გულისხმობს უფრო დიდი სუბიექტის მიერ შედარებით მცირე ზომის კომპანიის შეერთებას, ასეთი ტიპის გარიგებას ძირითადად მტრული ხასიათი აქვს.
- ჰორიზონტალური - უცხოურ პირდაპირ ინვესტიციების ისეთი ფორმაა, როდესაც ტეკ-მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციები

ცხრილი № 1. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სექტორული დაყოფა

ინსტიტუციური სექტორი (IMF)	ეკონომიკური და ინდუსტრიული დარგები (OECD)
1. სავალუტო-საფინანსო დაწესებულებები	1. სოფლის მეურნეობა, ნადირობა, ტევზჭერა და მეტყევეობა
	2. სამთო და სამტეხლო მანქანები
	3. წარმოება
2. ბანკები	4. ელექტროენერგია, აირი, წყალი
	5. მშენებლობა
3. გენერალური მთავრობა	6. საცალო და საბითუმო ვაჭრობა, რესტორნები და სასტუმროები
4. სხვა რეზიდენტი სექტორი	7. ტრანსპორტი, შენახვა და კომუნიკაციები;
	8. დაფინანსება, უძრავი ქონება და ბიზნეს მომსახურება
	9. საზოგადოებრივი, სოციალური და პირადი მომსახურება.

წყარო: **Definitions of Foreign Direct Investment (FDI): a methodological note,**2003,გვ.10.

მიემართება იმავე დარგში, რომელშიც საქმიანობს კომპანია ბაზირების ქვეყანაში.

- ვერტიკალური - უცხოურ პირდაპირ ინვესტიციების ისეთი ფორმა, როდესაც ტეკ-ები წარმოების პროცესს ყოფენ რამდენიმე ეტაპად, განათავსებენ ფილიალებს სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც უზრუნველყოფენ საზღვარგარეთ წარმოების შიდა პროცესს. ვერტიკალური უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თეორიულ მოდელს საფუძვლად უდევს განსხვავება ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორთა მოცულობაში.
- ერთობლივი საწარმოები - უცხოურ პირდაპირ ინვესტიციების განხორციელების ერთ-ერთ ფორმაა, რომლის დროსაც ორი ან მეტი კომპანია იწყებს ბიზნეს საქმიანობას და თანხმდება, გაინაწილონ მოგება და ზარალი.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თითოეული ფორმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიმღები ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში, ზრდის რეციპიენტი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს დასაქმებას და ამცირებს მასპინძელ ქვეყანაში სოციალურ უთანასწორობას.

კაპიტალის შემოდინება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მასპინძელი ქვეყნისათვის უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს მოაქვს. მას აქვს პირდაპირი ზეგავლენა ქვეყანაში, რადგან კაპიტალს მოაქვს ახალი ფინანსური რესურსები, რომელიც სხვაგვარად არ იქნება ხელმისაწვდომი რეციპიენტი ქვეყნისათვის. მეტი ფული ნიშნავს ირიბად დამატებით ინვესტიციებს, რის შედეგადაც ეკონომიკა განიცდის ზრდას.

არაპირდაპირი ეფექტი კაპიტალის შემოდინებისა არის ტექნოლოგიების შემოდინების გვერდითი მოვლენები, დასაქმების ზრდის გვერდითი მოვლენები და გაზრდილი კონკურენცია.

ამრიგად, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები არის კაპიტალის, ტექნოლოგიის, ადამიანური რესურსების ნაკადები ერთი ქვეყნიდან მეორეში. ეროვნული პოლიტიკა და საერთაშორისო სამრეწველო მიღწევები თამაშობს მნიშვნელოვან როლს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვაში მრავალ ქვეყანაში.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებით მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში ადგილი აქვს შემდეგი სახის გამოწვევებსა და პრობლემებს:

- **ინფრასტრუქტურა** – რეგიონში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისათვის მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურა. ენერგიის მიწოდების, გზების კარგი ქსელისა და ეფექტიანი სატელეკომუნიკაციო და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა დიდ როლს თამაშობს უცხოელი ინვესტორებისათვის ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.
- **ბაზარი** – მულტინაციონალური კორპორაციები ეძებენ ადგილს, რომელიც სთავაზობს მნიშვნელოვან შიდა ბაზარს და ასევე ხსნის რეგიონულ ბაზარს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ არ გავაიგივოთ ბაზარი მოსახლეობასთან, რადგან დაბალი მსყიდველობითი უნარის მქონე მოსახლეობა არ შეიძლება იყოს მიმზიდველი ინვესტორებისათვის, რადგან ყველა ინვესტორს სურს მოგების მიღება.
- **საკანონმდებლო ბაზა** – საქართველოს, მისი ადგილმდებარეობიდან და რესურსებიდან გამომდინარე გააჩნია პოტენციალი გახდეს მიმზიდველი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის. მას შემდეგ, რაც ქვეყანა დაადგა განვითარების საბაზრო ეკონომიკურ გზას, მოხდა საინვესტიციო სფეროს სრული ლიბერალიზაცია, ინვესტიციური აქტივობის სტიმულირების მიზნით გადაიხედა კანონები „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის", „უცხოური ინვესტიციების" შესახებ. ქვეყანაში საინვესტიციო პროექტებს არეგულირებს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის" შესახებ, რომლის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა, ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესება და ამ დარგში დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნა. კანონი ვრცელდება ნებისმიერ ინვესტიციაზე, რომელიც დაბანდებული და გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე. კანონით დგება დამატებითი ნორმები და ხელშემწყობი პირობები განსაკუთრებული ინვესტიციების წახალისებისათვის. სწორედ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტიციური აქტივობა.

- **ბუნებრივი რესურსები** – ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად. თუმცა ეს უპირატესობა არ არის გადამწყვეტი. მკვლევარი ჰ. ვაკილის თქმით "ბუნებრივი რესურსებისგან განსხვავებით, ტექნიკა და ინოვაციური შესაძლებლობები, რომელსაც ქმნის ადამიანი" არის აქტივი, და ასეთი აქტივების ფლობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ფირმების კონკურენტუნარიანობისათვის გლობალურ ბიზნესში (123, გვ. 4-6).
- **ღირებულება** – ის მოიცავს წარმოების ღირებულებას, მათ შორის შრომის, ტრანსპორტირების, კომუნალურ გადასახადებს და სხვა. მაგალითად, შრომის ღირებულება არის სერიოზული პრობლემა. აღნიშნული მიზეზით ბევრმა უცხოურმა კომპანიამ წარმოება განვითარებული ქვეყნებიდან გადაიტანა ჩინეთში, სადაც შრომის ღირებულება შედარებით დაბალია.
- **კორუპცია და მექრთამეობა** –კორუფციის აღქმას დიდი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, როგორც შიდა ბიზნესზე, ასევე ინვესტიციების მოზიდვაზე: დიდი კორპორაციები ეცნობიან ამ მონაცემებს, რათა გადაწყვიტონ თუ რომელ ქვეყანაში შეიძლება ინვესტირება. თუ ქვეყანა აღქმულია როგორც მაღალი კორუფციის მქონედ, მაშინ ისინი თავს შეიკავებენ ამ ქვეყანაში ინვესტირებისგან, რასაც ამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე შედეგი ექნება. მსოფლიოში თითქმის არ არსებობს ქვეყანა, რომელიც კორუფციისაგან სრულიად თავისუფალია. ამაზე მეტყველებს "კორუფციის აღქმის ინდექსი". 2014 წელს კორუპციის აღქმის ინდექსი (CPI), საქართველოს 100 შესაძლებლობიდან 52 ქულა აქვს მინიჭებული. ამ მონაცემებით ის 175 ქვეყნიდან 50-ე ადგილზეა. თანამედროვე გლობალიზებულ ეპოქაში სულ უფრო აქტუალიზებული ხდება სხვადასხვა კულტურებში კორუფციის პრობლემის კვლევა, რომელიც აქტიურ ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობაზე. მიჩნეულია, რომ კორუფცია მხოლოდ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ნებისმიერ სიტუაციაში ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე.
- **პოლიტიკური არასტაბილურობა** – განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური არასტაბილურობა. საქართველოში

რეგიონული თვალსაზრისით მუდმივად მძიმე სიტუაციაა და დესტაბილიზაციის მუდმივი საფრთხე საკმაოდ რთული ამოცანების წინაშე აყენებს უცხოურ ინვესტორებს და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ სექტორს.

- **ინვესტიციების დაცულობა** – ინვესტორი, რამდენად გულუხვიც არ უნდა იყოს, არ განახორციელებს ინვესტირებას თუ მისი ფული უსაფრთხოთ არ იქნება. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში აღნიშნული პრობლება მწვავედ დგას, რომელიც არის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დროს. ინვესტორების უმრავლესობას სურს დარწმუნებული იყოს, რომ დაცულია მისი ფული კრიზისის შემთხვევაში (134).
- **დისკრიმინაცია** – დისკრიმინაცია ისეთი ქმედებაა, როდესაც ადამიანთა ჯგუფს არ აქვს სხვა ჯგუფისათვის (რომლებიც ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის უმრავლესობას შეადგენენ) შექმნილი შესაძლებლობები. დისკრიმინაციის აქტები შესაძლოა ხორციელდებოდეს ღიად ან საიდუმლოდ. საინვესტიციო პოლიტიკურ დაბრკოლებათა რიცხვში განიხილება დისკრიმინაციული პრაქტიკა. ეს შეიძლება იყოს ნაციონალიზმი, ეთნიკური ნიშნით განსხვავება, ფავორიტიზმი მასპინძელი მთავრობის საკუთრებაში არსებული საწარმოების ან ადგილობრივი ფირმების. დისკრიმინაცია ეწოდება რომელიმე სექტორიდან, მაგალითად მედია და ფინასები, გარიცხვას.
- **გლობალური რისკი** – გლობალური რისკები ის რისკებია, რომელიც არის პროექტის ელემენტების გარეთ და არ შეიძლება იყოს კონტროლირებადი პროექტის ფარგლებში. არსებობს ოთხი ძირითადი გლობალური რისკი: პოლიტიკური, სამართლებრივი, კომერციული და ეკოლოგიური რისკები. საერთაშორისო ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკები მოიცავს:
    - ეროვნული ბაზრების იმ რისკებს, რომლებიც საერთოა ყველა ინვესტორისათვის – რეზიდენტისა თუ არარეზიდენტისათვის. ამასთან, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ინვესტორები საერთაშორისო ინვესტიციების დროს შეიძლება

წააწყდნენ ისეთ რისკებს, რომლებიც მათ ეროვნულ ბაზრებზე არ არსებობს.

- საერთაშორისო ინვესტიციების დროს არარეზიდენტებისათვის არსებობს დამატებითი რისკები, რომლებიც უკავშირდება მათ საქმიანობასა და კაპიტალის და მოგების გატანაზე დამატებითი შეზღუდვების შემოღებას.
- ნებისმიერი საერთაშორისო ინვესტიციის თავისებურებაა უცხოური ვალუტების კურსის დაცემის რისკი, რაც იწვევს ინვესტიციების შემოსავლიანობის შემცირებას ინვესტორის ვალუტაზე გადაანგარიშებით. გასათვალისწინებელია იმის კარგად ცოდნა, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება სამშენებლო სექტორში ხორციელდება ე.წ. "დათმობი პროექტების" საშუალებით.

ამრიგად, როგორც ნაშრომში განვიხილეთ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოსვლას მასპინძელი ქვეყნისათვის აქვს ბევრი შედეგი, მათ შორის დადებითი და უარყოფითი. კაპიტალის შემოდინება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უცხოური პირდაპირი ინვესტიციებს მოაქვს მასპინძელი ქვეყნისათვის. მას აქვს პირდაპირი ზეგავლენა ქვეყანაში, რადგან კაპიტალს მოაქვს ახალი ფინანსური რესურსები, რომელიც სხვაგვარად არ იქნება ხელმისაწვდომი რეციპიენტი ქვეყნისათვის. მეტი ფული ნიშნავს ირიბად დამატებით ინვესტიციებს, რის შედეგადაც ეკონომიკა განიცდის ზრდას. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა მნივნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას.

რეციპიენტი ქვეყნებისათვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებით ზეგავლენას ეკონომიკის ზრდაზე (მწარმოებლურობის ზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემა, ახალი პროცესების დანერგვა, თანამედროვე მენეჯერული უნარების ტრანსფერი, "ნოუ-ჰაუს ხელმისაწვდომობა, დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა. შ) ხაზს უსვამს ცალკეული თეორიული მოდელები (მაგალითად, ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური, ინდუსტრიონალიზაციის თეორიები და სხვა). ნაშრომში განხილული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებითი ზეგავლენის ყველა აღნიშნული ფაქტორი მთლიანობაში დადებითად ზემოქმედებს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციასა და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას.

ამრიგად, ნაშრომში წარმოდგენილი კვლევები ადასტურებს უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებსა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შორის არაერთგვაროვანი დამოკიდებულების არსებობას. უცხოურ პირდაპირ ინვესტიციათა თეორიული მოდელები ხაზს უსვამს მასპინძელი ქვეყნებისთვის მათ დადებით ზეგავლენას, რადგან უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ესაა კაპიტალის საერთაშორისო მოძარაობის ერთ-ერთი ფორმა და ისინი თანამედროვე პერიოდში ეკონომიური გლობალიზაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად გვევლინება (48). უცხოური პირდაპირი ინვესტიციები წარმოადგენს გლობალიზებული ეკონომიკური სისტემის დამახასიათებელ თავისებურებას, რომელიც მთლიანობაში გულისხმობს არარეზიდენტი კომპანიების მიერ კაპიტალდაბანდებას საწარმოებში, უძრავ ქონებასა და სხვა აქტივებში.

1.2 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ეფექტი მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მასპინძელი ქვეყნისთვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციებიდან მაქსიმალური სარგებელი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. ისინი რეციპიენტ ქვეყანას გადასცემს:

- თანამედროვე ტექნოლოგიებს;
- ქმნის გლობალურ მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე ხელმისაწვდომობას;
- ახორციელებს ადამიანური კაპიტალის ფორმირების მხარდაჭერას;
- ოპტიმალურად სარგებლობს ადამიანური შესაძლებლობებითა და ბუნებრივი რესურსებით;
- ზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო დონეზე;
- აფართოებს საექსპორტო ბაზრებს;
- უზრუნველყოფს პროდუქციისა და მომსახურების საერთაშორისო ხარისხის ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს საერთაშორისო სავაჭრო ინტეგრაციას.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ეხმარება მასპინძელ ქვეყანას გააუმჯობესოს ეკონომიკური გარემო და სოციალური მდგომარეობა ე. წ. „სუფთა" ტექნოლოგიების შემოდინებითა და სოციალური პასუხისმგებლობის კორპორატიული პოლიტიკის ხელმძღვანელობით.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გავლენას ახდენს ადგილობრივ კომპანიებზე, მას შეუძლია შეცვალოს, როგორც კომპანიების ბიზნესის კეთების გზის, ასევე ადგილობრივი კომპანიების ქცევის მიმართულება. გავლენა შეიძლება იყოს, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი. მეცნიერი ჩ. ჰილ-ის თეორიის თანახმად უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გავლენას ახდენს მასპინძელი ქვეყნის:

- რესურსების გადაცემის შედეგებზე;
- დასაქმებაზე;
- კონკურენციაზე;
- პროდუქტების და პროცესების ინოვაციაზე (109).

ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს ბევრი თეორია, რომელიც აღწერს ადგილობრივი ფირმების ქცევას, როდესაც კომპანიაში ხორციელდება უცხოური

პირდაპირი ინვესტიციების ინვესტირება. თუმცა არსებობს უამრავი თეორიები, რომლებიც აღწერენ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სარგებელსა და დანახარჯებს ადგილობრივ ეკონომიკაში. ჩ. ჰილ-ის (109) ნაშრომი ნათლად ასახავს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შესაძლო დადებით ეფექტს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში. აღნიშნული ნაშრომის თანახმად შეიძლება გამოვყოთ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებითი ეფექტის შემდეგი სახეები:

- რესურსების ტრანსფერის ეფექტი;
- კონკურენციისა და ეკონომიკის ზრდის ეფექტი;
- დასაქმების ეფექტი;
- ინოვაციის პროცესი და პროდუქტიულობა.

რესურსების ტრანსფერის ეფექტი – თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ ზემოქმედების ეფექტი კაპიტალზე, ტექნოლოგიაზე და მენეჯმენტზე. რეციფიენტ ქვეყანას აღნიშნული ეფექტები მოუტანა უცხოური პირდაპირი ინვესტიციებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა ხელმისაწვდომი მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკისათვის.

მულტინაციონალური კორპორაციებისათვის მარტივია კაპიტალის ბაზრიდან მიიღონ ფული. აღნიშნული რესურსი მიუწვდომელია ადგილობრივი კომპანიებისათვის, მაგრამ ხშირად გვხდება (რაც მისასალმებელია) განვითარებულ ქვეყნებში და ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. კაპიტალი ასევე შემოედინება განვითარებად ქვეყნებში, ისევე როგორც ახალი ტექნოლოგიები, რომელიც თან ახლავს ამ კაპიტალის შემოდინებას. უცხოური კომპანია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას გვევლინება მაგალითად რომელსაც შეიძლება მიბაძოს სხვა ადგილობრივმა და უცხოურმა კომპანიებმა (ანუ ადგილობრივმა კონპანიებმა უნდა მოახდინონ ინვესტირება, რომ აჯობონ კონკურენტებს). თავის ნაშრომში ჰ. რისენი აღნიშნავს „უცხოური პირდაპირი ინვესტიციები შეიძლება იყოს მომგებიანი ბევრი თვალსაზრისით, ის ასტიმულირებს:

- კაპიტალის დაგროვებას შიდა დანაზოგების გზით და ზრდის მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობას რესურსების განაწილების გაუმჯობესების გზით;
- კონკურენციის გარღმავებისა და ადამიანური რესურსების კაპიტალის

გაუმჯობესების გზით;

- შიდა ფინანსური ბაზრების გარღმავებისა და ადგილობრივი კაპიტალის ხარჯების შემცირების გზით;
- პორტფელის დივერსიფიკაციით და რისკების თანაბრად გადანაწილებით კაპიტალის ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის“ (114).

უცხოელი ინვესტორები განვითარებად ქვეყნებს, სადაც კაპიტალი მწირია უზრუნველყოფენ დამატებითი ფულით. უცხოური პირდაპირი ინვესტიციებიდან მასპინძელმა ქვეყანამ შეიძლება მიიღოს სარგებელი ისეთი დადებითი გვერდითი მოვლენებისაგან, როგორიცაა ახალი იდეები, უნარები და ტექნოლოგია. მეცნიერების მ. ბლომსტრომისა და ა. კოკკოს კვლევაში აღნიშნულია, რომ კაპიტალისა და ტექნოლოგიების ინექცია ხელს უწყობს კონკურენციის გამწვავვებას ადგილობრივ ბაზარზე (75).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული სამშენებლო კომპანიები უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შესახებ არსებული თეორიების შესაბამისად ისარგებლებენ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებით. კაპიტალის პირდაპირი ეფექტი დიდ გავლენას მოახდენს რეგიონის ეკონომიკაზე: ადვილად ხელმისაწვდომი გახდება ფინასური რესურსები, რომელიც ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს უკეთეს პოზიციაში ჩააყენებს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბევრი მათგანისათვის გამარტივდება ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და გაიზრდება კონკურენცია. კონკურენციის ზრდა კი აიძულებს სამშენებლო კომპანიებს გახდნენ უფრო პროდუქტიული და ეფექტიანები.

ტექნოლოგიური ტრანსფერის ეფექტი – ეკონომიკური ლიტერატურა ტექნოლოგიურ ტრანსფერს განსაზღვრავს, როგორც შესაძლებლობას, მნიშვნელოვან არხს, რომლის მეშვეობითაც უცხოურმა კორპორაციებმა შეიძლება დადებითი შიდა ეფექტი მოახდინონ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში. „ტრანსნაციონალური კორპორაციები არის კორპორაციული კვლევებისა და განვითარების (R&D) საქმიანობის განვითარებული მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო. მათ გააჩნიათ მაღალი დონის ტექნოლოგია, ვიდრე განვითარებადი ქვეყნისთვის არის ხელმისაწვდომი. ამიტომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს აქვთ პოტენციალი, რომ მოახდინონ მნიშვნელოვანი პროექტების გვერდითი ფაქტორების გენერირება. აღსანიშნავია, რომ ტრანსნაციონალური

კორპორაციები რა დონით შეუწყობს ხელს გვერდითი ეფექტების მერყეობას დამოკიდებულია სექტორის კონტექტზე” (111).

თანამედროვე ტექნოლოგიების მიღების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა არის მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ქვეყნებს სურთ მოიზიდონ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. თანამედროვე ტექნოლოგიები ასტიმულირებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ინდუსტრიალიზაციას. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს ტექნოლოგიების ფლობას, მართვას და ტექნიკის გადაცემას. ტექნოლოგია არის აუცილებელი წარმოების პროცესისათვის. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გულისხმობს რეციპიენტ ქვეყანაში შემოიტანოს ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუ, ამიტომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციებს გააჩნია პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და ახდენს მის სტიმულირებას. უცხოელ ინვესტორებს რეციპიენტ ქვეყანაში გააჩნიათ თანამედროვე ტეგნოლოგიურ ცოდნაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, რომელიც სხვაგვარად არ არის ხელმისაწვდომი მასპინძელი ქვეყნის მწარმოებლებისათვის. უცხოური პირდაპირი ინვესტიციებს რეციპიენტ ქვეყანაში შემოაქვს ასევე ირიბი პროდუქტიულობა, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატირაში ცნობილია ე. წ. „გვერდითი ეფექტის” (spillover effect) სახელწოდებით. მ. ბლომსტრომი და ა. კოკკო მსოფლიო ბანკის 1997 წ. გამოცემაში აღნიშნავდნენ, რომ კვლევა და განვითარება (R&D) და თანამედროვე ტექნოლოგიები კონცენტრირებულია რამდენიმე ქვეყანაში, მაგრამ არის ზუსტად ცნობილი, რომ მულტინაციონალური კორპორაციებიდან ტექნოლოგიები როგორ ვრცელდება სხვადასხვა ქვეყანაში (81). თანამედროვე ტექნოლოგია სამუშაო ძალასთან ერთად ძირითადად ვრცელდება ბრუნვით უცხოური კომპანიებიდან ადგილობრივ კომპანიებში და ტექნოლოგიის იმიტაციით. მეცნიერი მ. ფრანსმენის აზრით, ტექნოლოგია შეიძლება გავრცელდეს მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივ კომპანიებში ოფიციალური საბაზრო გარიგებებით და არასაბაზრო საშუამავლო არხების საშუალებით, რომელიც შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან იძულებითი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული ალტერნატივისათვის მულტი ნაციონალური კორპორაციების როლი შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური (ცხრილი №2) (92).

ცხრილი №2. მულტინაციონალური კორპორაციების როლი

მულტინაციონალური კორპორაციების როლი		
ტრანზაქციის ტიპი	აქტიური	პასიური
ფორმალური	ერთობლივი საწარმოები, ლიცენზიები	საქონლით ვაჭრობა
არაფორმალური	კავშირები	პუბლიკაციები, საზღვარგარეთ განათლების მიღება

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე.

ბევრი არაოფიციალური ტრანსფერები, სადაც მულტინაციონალური კორპორაციებს აქვს პასიური როლი არის პერსონალური კონტაქტის შედეგი, ანუ ხორციელდება ადამიანების მიერ, რომლებმაც იციან მულტინაციონალური კორპორაციების ტექნოლოგია. სხვა არაფორმარული ტრანსფერები არის აკადემიური კონტაქტები, ტექნიკური პუბლიკაციები და განათლება საზღვარგარეთ. ტექნოლოგია, რომელიც ექსპლუატაციაშია მულტინაციონალური კორპორაციების მიერ შესაძლებელია ლიცენზირებული იყოს მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივი

კონკურენტებისათვის. კვლევა და განვითარებას (R&D) აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მულტინაციონალური კორპორაციებისათვის, რადგანაც ეს უკანასკნელი მფლობელს სძენს კონკურენტულ უპირატესობას, რომელიც ფირმას მისცემს საზღვარგარეთის ქვეყნებში ფუნქციონირების საშუალებას.

ადგილობრივმა ფირმებმა, რომ მოიპოვოს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებზე შესაძლებელია ე. წ. უკუ საინჟინრო ტყუილით, ან ყოფილი მულტინაციონალური კორპორაციების თანამშრომლის დაქირავებით. მულტინაციონალურ კორპორაციებს ეშინიათ დაკარგონ თავიანთი არამატერიალური აქტივები ადგილობრივ პარტნიორებთან, ამიტომ მათ შეიძლება "უარი თქვან ინვესტირებაზე ან შეიტანონ ნაკლებად მოწინავე ტექნოლოგიები ფილიალებში" (84, გვ. 15).

აღსანიშნავია, რომ ტრენინგები შრომასა და მენეჯმენტში, კონკურენციისა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შორის ტექნოლოგიების ბრუნვის სიჩქარის ზრდა არის შიდა ინდუსტრიის გვერდითი ეფექტების შედეგი. თუმცა ტრანსნაციონალური კორპორაციების ტექნოლოგიების გავრცელება არ ხდება ავტომატურად. ადგილობრივი ფირმები უნდა იყვნენ აქტიურები, რომ მოიძიონ ინფორმაცია, მოახდინონ პერსონალის დატრენინგება ახალი წარმოების მეთოდებში და ა. შ. ზემოთ აღნიშნული ქმედებები ხდის ტექნოლოგიებს ძვირადღირებულს და შრომატევადს.

მკვლევარები მ. ბლომსტრომი და ა. კოკკო ნაშრომში ამტკიცებენ, რომ სანამ ტექნოლოგია ფართოდ გავრცელდება ბაზარზე, ადგილობრივ კომპანიებს აქვთ მწირი ინფორმაცია ტექნოლოგიების სარგებლისა და დანახარჯების შესახებ, რაც ზრდის რისკს, რომ მოხდეს თანამედროვე ტექნოლოგიების რეალიზაცია, მაგრამ როდესაც ადგილობრივი ფირმები არსებულ მომხმარებლებთან შედიან კონტაქტში, დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება და გაურკვევლობა მოიხსნება (80). სავარაუდოა, რომ შესაძლებლობა თანამედროვე ტექნოლოგიების მიღებისა ან ტექნოლოგიური იმიტაციისა ადგილობრივი კომპანიებისათვის იზრდება. რაც არ არის შესაძლებელი, როდესაც "ტექნოლოგიური უფსკრული უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის დიდია, რადგან მაშინ რეციპიენტ ქვეყანაში არის მცირე მაშტაბი სწავლებისა" (82).

ადგილობრივი მომწოდებლები და ქვეკონტრაქტორები სარგებლობენ ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციით, გავრცელებული მულტიეროვნული კორპორაციების მიერ, რათა დააკმაყოფილონ მათი მოწინავე ტექნოლოგიური სტანდარტები. ასეთი ტექნოლოგიების გავრცელება აუმჯობესებს ადგილობრივი

ფირმების ტექნიკურ ეფექტიანობას (132).

ამრიგად, განხილულ თეორიებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივ ფირმებს სამშენებლო სფეროში შეუძლიათ ისარგებლონ მზარდი რაოდენობის მულტიეროვნული კორპორაციების თანამედროვე ტექნოლოგიებით. თანამედროვე ტექნოლოგიებით შეიძლება გაუმჯობესდეს საწარმოს პროდუქტიულობა და ეფექტიანობა. ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ტექნიკა შემოედინება რეგიონში უცხოელი ინვესტორების აქტიური როლის შედეგად, ადგილი ექნება აგრეთვე ცოდნის ფორმალურ გადაცემას. მულტიეროვნული კორპორაციები ადგილობრივ ფირმებთან დაიწყებს ერთობლივი საწარმოს შექმნას (ვენჩურული კაპიტალი), რადგან ადგილობრივ კომპანიებს აქვთ ცოდნა ადგილობრივი ბაზრის, მომხმარებლის ქცევის და ბიზნესის პრაქტიკის შესახებ.

რეგიონში ტექნიკის შემოდინება მოხდება აგრეთვე ისეთი არაფორმალური არხებით, როგორიცაა კავშირი ადგილობრივ მიმწოდებლებთან და მულტიეროვნული კორპორაციების ტექნოლოგიების გადაცემის პასიური როლით, როგორიცაა პუბლიკაციები და საზღვარგარეთ განათლების მიღება.

მენეჯერული უნარების ტრანსფერის ეფექტი – ადამიანური კაპიტალი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია კომპანიისათვის. ადამიანური კაპიტალი განისაზღვრება შიდა განათლებისა და ტრენინგების სისტემის ხარისხითა და სამართლიანობით. მულტინაციონალურ კორპორაციების მთავარი მიზეზი საზღვარგარეთ გასვლისა ხშირად არის დაბალი ხელფასი. ამავე დროს მათ სჭირდებათ კვალიფიცირებული სამუშაო ძალა, რაც შესაძლებელია ტრენინგების მეშვეობით. მულტინაციონალური კორპორაციები ქმნიან თანამედროვე ტექნოლოგიების ზემოქმედების და მართვის ტექნიკას.

აღსანიშნავია, რომ მმართვის უნარების სფეროში ნაკლები კლევებია ჩატარებული. მკვლევარები მ. ბლომსტრომი და ა. კოკკო არის ორი მკლევარი იმ მცირე რაოდენობის მკვლევარებს შორის, რომლებმაც გაამახვილეს ყურადღება მართვის უნარების მნიშვნელობაზე. უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს რეციპიენტ ქვეყაში შეაქვთ გაუმჯობესებული მმართვის პრაქტიკა. მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივ საწარმოებს შეუძლიათ ისწავლონ და გამოიყენონ მულტინაციონალური კორპორაციების მმართვის სტილი, უცხოური ინვესტორებისაგან ეცნობიან თანამედროვე მენეჯმენტს, რაც კომპანიებს ეხმარებათ გახდნენ კონკურენტუნარიანი და ეფექტიანები. დადებითი ეფექტი მოაქვთ

ინვესტორებს, რომლებიც ასწავლიან თავიანთ თანამშრომლებს ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებისათვის. გვერდითი ეფექტები ადამიანური კაპიტალისათვის ჩნდება, როდესაც პროფესიონალი (გამოცდილი) თანამშრომელი (მენეჯერი) უცხოური მეპატრონე კომპანიისა გადაწყვეტს იმუშაოს ადგილობრივ საკუთრებაში არსებულ საწარმოებში.

ტრენინგი არის გავრცელებული გზა, რომ განხორციელდეს მენეჯერული უნარების ტრანსფერი მულტინაციონალური კორპორაციების შვილობილი საწარმოს ადგილობრივ თანამშრომლებზე. შედეგად, მას შემდეგ რაც ადგილობრივი თანამშრომლები დაასრულებენ ტრენინგებს, ისინი ბრუნდებიან საკუთარ კომპანიებში, ქმნიან თავიანთ კომპანიებს თუ გადადიან სხვა კომპანიებში, რაც შეიძლება დაგენერირდეს პროდუქტიულობის ზრდით ორი მექანიზმის მეშვეობით:

- პირდაპირი გავრცელება დამატებითი მუშაკების, როგორც კვალიფიციური სამუშაო ძალა არაკვალიფიციურ მუშახელთან ერთად მუშაობის ტენდენცია ზრდის ამ უკანასკნელის პროდუქტიულობას;
- მუშები, რომლებიც გადაადგილდებიან მიაქვთ ცოდნა ახალი ტექნოლოგიების და მართვის (მენეჯმენტის ახალი მეთოდიკის შესახებ და შესაბამისად შეიძლება გახდნენ ტექნოლოგიური ცოდნის გადაცემის პირდაპირი აგენტები) (112).

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს რამდენიმე თეორია მულტინაციონალური კორპორაციების შვილობილი საწარმოების ადგილობრივი თანამშრომლების ტრენინგების გვერდითი ეფექტების შესახებ. "იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო განათლების სისტემები განვითარებად ქვეყნებში შედარებით სუსტია, სავსებით შესაძლებელია, რომ ტრენინგებიდან მიღებული გვერდითი ეფექტები იყოს უფრო მნიშვნელოვანი" (132).

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენა ადამიანურ კაპიტალზე გამოვლინდება არაპირდაპირი გზით. რაც ნიშნავს, რომ მენეჯერული უნარების ტრანსფერის ეფექტი ხორციელდება მასპინძელი ქვეყნის მთავრობის პოლიტიკით, რომელიც ცდილობს მოიზიდოს უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებისათვის და არა მულტინაციუნალური კორპორაციების ძალისხმევით (76). მას შემდეგ რაც ადამიანი დასაქმდება მულტინაციონალურ კორპორაციის შვილობილ საწარმოში ადამიანური

კაპიტალი შეიძლება გაუმჯობესდეს სასწავლო და სამუშაო ტრეინინგების მეშვეობით. აღნიშნულ შვილობილ საწარმოებს ასევე შეიძლება დადებითი გავლენა ქონდეს ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებაში სხვა საწარმოებში, რომლებთანაც კავშირები აქვთ (მაგალითად მომწოდებლები). ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებას შეიძლება ქონდეს შემდგომი დადებითი მოვლენების გაგრძელება, რადგან სამუშაო ძალა გადაადგილდება სხვა საწარმოებში, ან ზოგიერთი თანამშრომელი შეიძლება გახდეს მეწარმე.

ამდენად, ადამიანური კაპიტალის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება სხვა უფრო ფართო განვითარების საკითხებს. ინვესტირება ზოგად განათლებასა და ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ხელსაყრელი გარემოს შექმნისათვის (82). მინიმალური საგანმანათლებლო დონის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის უნარს მოიზიდოს უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და უცხოური საწარმოს არსებობას, რომ მოხდეს ადამიანური კაპიტალის გვერდითი ეფექტების მაქსიმიაცია (113). მხოლოდ განათლება არ ხდის ქვეყანას მიმზიდველს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებისათვის, თუმცა ინვესტიციის განხორციელების დროს მნიშვნელოვანია "ცოდნის უფსკრული"-ს ნებადართული ზღვარის არსებობა მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკასა და უცხოურ საწარმოებს შორის. ასევე მნიშვნელოვანია მასპინძელი ქვეყნის შრომის ბაზარზე სტანდარტების არსებობა, მთავრობის მხრიდან შეურაცყოფისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ნაბიჯების გადადგმა, რომ ხელი შეუწყოთ ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას და წახალისებას.

გარდა აღნიშნულისა შრომის ბაზარი, სადაც მონაწილეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სოციალური სიკეთეებითა და დაცვით, უზრუნველყოფს გარემოს, რომელშიც მულტინაციონალური კორპორაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო მარტივად ეწევა საქმიანობას, იყენებენ რა მასპინძელ ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის განვითარებას (113).

ზოგადად, თემატური კვლევები აჩვენებს, რომ მულტინაციონალურ კორპორაციებს შეუძლია დაეხმაროს:

- მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივ კორპორაციებს გაზარდონ მენეჯერული ძალისხმევა, ან მიიღონ მარკეტინგული ტექნიკის გამოყენება

მულტინაციონალური კორპორაციებისაგან, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე;

- შექმნან ახალი ნოუ-ჰაუ ახალი ტექნოლოგიების დემონსტრირებით და დატრენინგებული თანამშრომლებით, რომლებიც მოგვიანებით დასაქმდება ადგილობრივ კომპანიებში.

მენეჯერული უნარი საჭიროა თითოეულ სექტორში. მენეჯერულ უნარებს შეუძლია გააუმჯობესოს კომპანიის უნარი ბიზნესის კეთებისა, გახადოს კომპანია პროდუქტიული და მიანიჭოს კონკურენტული უპირატესობა. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ვივარაუდოდ, რომ მენეჯერული უნარები სხვადასხვა სექტორში განსხვავებულია, თითოეულ სექტორს სჭირდება აღნიშნული უნარები. როგორც ცნობილია, მულტინაციონალური კორპორაციები ატარებენ ტრეინინგებს თანამედროვე მართვის უნარების შესახებ.

სამშენებლო სექტორი არის სექტორი სადაც პროდუქტიოლობა და ცოდნა მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მართვის უნარები არის ძირითადი ფაქტორი. განხილულ თეორიებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოდ, რომ სამშენებლო სექტორმა შეიძლება მიიღოს სარგებელი მულტინაციონალური კორპორაციებისაგან, რადგან შეძლებენ აიმაღლონ ცოდნა და პროდუქტიულობა თანამედროვე მართვის უნარების ტრანსფერის გზით.

კონკურენციისა და ეკონომიკური ზრდის ეფექტი – უცხოური პირდაპირი ინვესტიციების და მულტინაციონალური კორპორაციების არსებობამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მასპინძელი ქვეყანის ბაზარზე კონკურენციის განვითარებაში. მაგრამ, რადგან არ არსებობს კონკურენციის ხარისხის ერთიანი საზომი რამდენიმე ფირმის დასკვნების საფუძველზე შეიძლება შევადგინოთ ემპირიული მტკიცებულება, რომ უცხოური საწარმოები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შიდა კონკურენციისა და ეკონომიკის განვითარებას, აღნიშნულით საბოლოოდ მიიღწევა მაღალი პროდუქტიულობა, დაბალი ფასები და რესურსების უფრო ეფექტიანი განაწილება და პირიქით, მულტინაციონალური კორპორაციების შემოსვლა ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის ბაზრებზე კონცენტრაციის ტენდენციის ზრდას, რომელმაც შეიძლება მოკლას კონკურენცია (113).

აღნიშნულ რისკს ამძაფრებს რამდენიმე ფაქტორი:

- თუ მასპინძელი ქვეყანა წარმოადგენს ცალკე გეოგრაფიულ ბაზარს;
- ბაზარზე შესვლის ბარიერები მაღალია;

- მასპინძელი ქვეყანა პატარაა;
- ტრანსნაციონალურ კორპორაციას აქვს მნიშვნელოვანი პოზიცია საერთაშორისო ბაზარზე;
- მასპინძელი ქვეყნის კანონი კონკურენციის შესახებ სუსტია, ან სუსტად რეალიზდება.

ბაზრის კონცენტრაცია მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც 1990-იან წლებში ადგილი ქონდა შერწყმა და შთანთქვის ტალღას, რომელმაც შეცვალა გლობალური კორპორაციული ლანდშაპტი (113). ამავე დროს სტრატეგიული ალიანსების რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ შეცვალა ფორმალურად დამოუკიდებელი კორპორაციული პირების შერჩევის გზა. ალიანსები ზოგადად ზღუდავს პირდაპირ კონკურენციას ეფექტურობის მიღწევებს გენერაციით, მაგრამ აღნიშნული მტკიცებულება არ არის გამყარებული. არსებობს ასევე პრივატიზაციის ტალღა, რომელიც იზიდავს ქვეყანაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციებს და ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონკურენციაზე. ეკონომიკურად სასურველია, რომ ძლიერმა უცხოურმა კონკურენტებმა ჩაანაცვლონ ნაკლებად პროდუქტიული შიდა საწარმოები, რათა ადგილი ქონდეს ჯანსაღ კონკურენციას. შედეგის მისაღწევად საუკეთესო გზაა გაფართოვება "შესაბამის ბაზარზე", მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის გახსნილობა საერთაშორისო ვაჭრობაში. თანამედროვე კონკურენციის პოლიტიკა აქცენტს აკეთებს ეფექტიანობაზე და მომხმარებელთა დაცვაზე. ნებისმიერ სხვა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს კონკურენციისა და სამრეწველო პოლიტიკის გაიგივება, რომელსაც ვერ მოაქვს გრძელვადიანი სარგებელი მომხმარებლებისთვის (84).

კაპიტალისა და ტექნოლოგიების ინექცია ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას ადგილობრივ ბაზარზე. აღნიშნულმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე, რაც გამოიწვევს წარმადობის ზრდას, ადამიანური კაპიტალის დაგროვებას, კვლევა და განვითარების საქმიანობას (R&D), ტექნოლოგიისა და პროდუქტიულობის განვითარებას. ეკონომიკური ზრდის ეფექტი შეიძლება იყოს დიდი თუ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სახეები, რომელსაც რეციპიენტი ქვეყანა იღებს ასტიმულირებს საშინაო საინვესტიციო საქმიანობას (80).

თუმცა მასპინძელი ქვეყნები ყოველთვის ვერ სარგებლობენ მულტინაციონალური კორპორაციებისაგან. როდესაც განსხვავება დიდია უცხოურ

ფირმასა და ადგილობრივი ფირმის ტექნოლოგიას შორის და ადამიანური კაპიტალი ღარიბია, უცხოური ფირმა ახრჩობს ადგილობრივ არაპროდუქტიულ კონკურენტებს. ეს არის ე.წ. "ბაზრის ქურდობის ეფექტი" (85). ეს არის ის, რაც ხდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, როდესაც უცხოური კომპანია შემოდის ბაზარზე, ადგილობრივი კომპანიები ვერ სარგებლობენ აღნიშნული თეორიის თანახმად. თუმცა დროთა განმავლობაში ტექნოლოგიური უფსკრული კიდევ უფრო ზომიერი ხდება და ადამიანური კაპიტალი უფრო ძლიერი და ძლიერმა კონკურენციამ შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი ფირმების პროდუქტიულობის გაზრდა. ზოგჯერ, როდესაც მულტინაციონალური კორპორაციებს ადგილობრივი ფირმები უწევს ძლიერ კონკურენციას მულტინაციონალურ კორპორაციებს შემოაქვთ მოწინავე ტექნოლოგიები, რათა შეინარჩუნონ მათი საბაზრო წილი. ტექნოლოგიური უფსკრული იზრდება და უცხოური კომპანიები ინარჩუნებენ უპირატესობას ადგილობრივ კონკურენტებთან შედარებით. კონკურენციის ეფექტი დამოკიდებულია ადგილობრივი კომპანიების შესაძლებლობაზე.

მკვლევარი მ. ბლომსტრომის აზრით არსებობს ორი ძირითადი სარგებელი კონკურენციაში:

- მულტინაციონალურ კორპორაციებს შეუძლია შეცვალოს კონკურენცია წარმოების პროცესების ამაღლებითა და ტექნიკის იმპორტით.
- ტექნოლოგიების უწყვეტი შემოდინება ზრდის გვერდით პოტენციალს.

ამრიგად, კონკურენციის "სათნო წრე" იწვევს პროდუქტიულობისა და ტექნოლოგიური ზრდის შესაძლებლობას (74).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდგომარება სამშენებლო სექტორში შემდეგნაირია: არსებობს ტექნოლოგიური უფსკრული, მაგრამ ადგილობრივ ფირმებს აქვთ ტექნოლოგიური ცოდნის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, პროდუქტიულობისა და თანამედროვე ტექნიკის გვერდითი მოვლენები გამოიწვევს კონკურენციის ზრდას, რაც გამოიწვევს რეგიონის ეკონომიკის ზრდას.

დასაქმების ეფექტი – უცხოური პირდაპირი ინვესტიციები შემოედინება სხვადასხვა რეჟიმებით, თითოეულ რეჟიმს აქვს განსხვავებული ეფექტი დასაქმების მიმართ. სამუშაო ადგილები იქმნება, როდესაც მულტინაციონალური კორპორაციები ქმნის ახალ შვილობილ კომპანიას და აქვს დადებითი გავლენა დასაქმებაზე. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ასევე შეიძლება განხორციელდეს

შერწყმისა და შთანთქმის გზით. მაშინ სავარაუდოა, რომ ადგილი ექნება სამუშაო ადგილების დაკარგვას, რადგან გაფართოვებულ კომპანიას სურს იმუშაოს უფრო ეფექტიანად. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დასაქმების რეალური ეფექტის შესახებ არსებობს მწირი თეორია. როდესაც უცხოური ფირმები კონკურენციას უწევენ ადგილობრივ ფირმებს, უცხოურმა კომპანიებმა ეკონომიის მიზნით შეიძლება შეამციროს თანამშრომლები. დასაქმების პირდაპირი ეფექტი იზრდება, როდესაც უცხოური კომპანიები ადგილობრივ მოსახლეობას ასაქმებენ.

რთულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ირიბი ეფექტის იდენტიფიცირება. ირიბი ეფექტებია შრომის პროდუქტიულობის სწრაფი ზრდა უცხოურ და ადგილობრივ კომპანიებში, სამუშაო ადგილები, რომლებიც იქმნება ადგილობრივი მომწოდებლების მიერ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შედეგად და სამუშაო ადგილები, რომლებიც იქმნება მულტინაციონალური კორპორაციების მიერ თანამშრომლებისათვის ხარჯების გაზრდით. დასაქმებაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების არაპირდაპირი ეფექტები ხშირად უფრო დიდია ვიდრე პირდაპირი.

შერწყმა და შთანთქვა, სავარაუდოდ ყველაზე პოპულარული ფორმაა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლის უშუალო გავლენა დასქმებაზე უარყოფითია, რადგან შეიძლება შემცირდეს სამუშაო ადგილები, რადგან მულტინაციონალური კორპორაციები ცდილობს ოპერაციების რესტრუქტურიზაციას და უფრო ეფექტიან მუშაობას. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევებმა აღმოაჩინა, რომ უცხოური ფირმები ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს უფრო სწრაფად ვიდრე ადგილობრივი საწარმოები. შემცირების პერიოდს ხშირად მოსდევს ახალი ინვესტიციები და დასაქმება კვლავ იზრდება (ნახაზი №1).

ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავუშვათ, რომ მულტინაციონალური კორპორაციების შემოსვლის შემდეგ აჭარის რეგიონში იქნება სამუშაო ადგილების დანაკარგები. სავარაუდოა, რომ მულტინაციონალური კორპორაციები დაიწყებს ერთობლივი საწარმოების შექმნასა და ადგილობრივი კომპანიების შესყიდვას. აღნიშნული მოვლენები შეამცირებს სამუშაო ადგილებს, რადგან მულტინაციონალური კორპორაციები მოახდენს გარკვეული ოპერაციების რესტრუქტურიზაციას. გარდა ამისა, მულტინაციონალური კორპორაციების შემოსვლით გაიზრდება კონკურენცია სამშენებლო სექტორში, რაც საწყის ეტაპზე გამოიწვევს სამუშაო ადგილების დანაკარგებს.

ინოვაციის პროცესი და პროდუქტიულობა – მეცნიერებმა მ. ბლომსტრომმა, ა. კოკკომ, ბ. აიტკენმა და ა. ჰარისონმა შეისწავლეს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენა ადგილობრივი კომპანიების პროდუქტიულობაზე. მათ გამოიკვლიეს აღნიშნული ფენომენი მრავალ ქვეყანაში და მრეწველობის სხვადასხვა დარგში, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ინოვაციისა და პროდუქტიულობის მაჩვენებელი განსხვავდება ქვეყნებისა და მრეწველობების მიხედვით და სავარაუდოდ იწვევს ადგილობრივი შესაძლებლობებისა და კონკურენციის დონის ამაღლებას.

მეცნიერი მ. ბლომსტრომი აღწერს გვერდით ეფექტებს შემდეგნაირად: მულტიეროვნული კორპორაციების შემოსვლით, მასპინძელმა ქვეყნებმა შესაძლოა მიიღონ ისეთ ტექნოლოგიებზე წვდომა, რომელთა წარმოება დამოუკიდებლად არ შეუძლიათ. უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს ასევე შეუძლიათ შემოიტანონ მასპინძელ ქვეყანაში ირიბი ფირმების პროდუქტიოლობა, გარე ეკონომიკის რეალიზაციით. ზოგადად აღნიშნულ სარგებელს უწოდებენ გვერდით ეფექტებს. როდესაც უცხოური მწარმოებელი კომპანია ინვესტირებას ახორციელებს განვითარებად ბაზარზე ეს ხელს უწყობს, ანუ ასტიმულირებს ადგილობრივ ბაზარზე ისეთ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას, როგორიცაა მაგალითად ნაწილები და კომპონენტები და აიძულებს ადგილობრივ მიმწოდებლებს უმაღლესი ხარისხის რესურსების წარმოებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ადგილობრივი მომწოდებელი ფირმები იძულებულნი არიან მოახდინონ დამატებითი ინვესტირება, რათა აწარმოონ უმაღლესი ხარისხის სტანდარტების შესაბამისად (74).

მეცნიერი მ. ბლომსტრომი ამტკიცებს, რომ "არსებული არაეფექტური ადგილობრივი კომპანიები უცხოურ ფირმებთან კონკურენციის შედეგად შეიძლება გახდნენ უფრო პროდუქტიულები საწარმოო რესურსებსა და ადამიანურ კაპიტალში იძულებითი ინვესტირებით, ან უბრალოდ მეტი ყურადღება დაუთმონ პროდუქტიულობის შესაძლებლობების ამაღლებას" (74). აღნიშნულის შედეგად ადგილობრივი ფირმები, რომლებიც შეიძლება გამოძევებულ იქნან ბაზრიდან გამოანთავისუფლებენ რესურსებს უფრო პროდუქტიული კომპანიისათვის. ადგილობრივი მიმწოდებლები ფირმები ცდილობენ საწარმოო რესურსები მიაწოდონ უცხოურ კომპანიებს, რადგან ისინი სარგებლობენ კარგი გადამხდელის რეპუტაციით და ხშირად უცხოური ფირმა ეხმარება და ასტიმულირებს ადგილობრივ მომწოდებელ ფირმებს, რომ გახდნენ უმაღლესი საწარმოო

საშუალებების მიმწოდებლები. შედეგად იზრდება პროდუქტიულობა და ეროვნული კონკურენტუნარიანობა.

მეცნიერები მ. ბლომსტრომი და ა. კოკო ამტკიცებენ, რომ ძირითადად არსებობს პროდუქტიულობის სამი სახის გვერდითი ეფეტები:

- როდესაც ადგილობრივი ფირმა აუმჯობესებს პროდუქტიულობას რამდენიმე თანამედროვე ტექნოლოგიების გადმოკოპირებით, რომელსაც იყენებს ადგილობრივ ბაზარზე მოქმედი მულტინაციონალური კორპორაციები;
- როდესაც მულტინაციონალური კორპორაციები ზრდის კონკურენციას მასპინძელ ბაზარზე, ადგილობრივი ფირმები იძულებულნი არიან გამოიყენონ ტექნიკა და სხვა რესურსები უფრო ეფექტურად;
- როდესაც ადგილობრივი ფირმები ერთვებიან ინოვაციურ საქმიანობაში, რათა ისევ დაიბრუნონ მულტინაციონალური კორპორაციების შვილობილი საწარმოებისა და ფილიალების მიერ წართმეული ბაზრის წილი;

აღნიშნული ეფექტები იარსებებს, როგორც იმ მრეწველობაში სადაც მოქმედებენ მულტინაციონალური კორპორაციების შვილობილ საწარმოები და ფილიალები, ასევე სხვა ინდუსტრიაშიც.

სხვადასხვა მკვლევართა ლიტერატურის შესწავლით შეიძლება დავასკვნათ, რომ მულტინაციონალური კორპორაციების შვილობილი საწარმოები თუ ფილიალები, როგორც წესი უფრო პროდუქტიულები არიან ვიდრე ადგილობრივი ფირმები, რაც განპირობებულია ისეთი ფაქტორებით როგორიცაა უმაღლესი ტექნოლოგიები, თანამდეროვე მმართვის უნარები, უფრო ეფექტური წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესი. მულტინაციონალური კორპორაციების შვილობილი საწარმოები და ფილიალები მუშაობენ წარმოებისა და გასაღების დაბალი დანახარჯებით, ვიდრე ადგილობრივი ფირმები და შესაბამისად გააჩნიათ უპირატესობა კონკურენციის პირობებში. ადგილობრივი ფირმების ცოდნა ადგილობრივი ბაზრის და მომხმარებლების ქცევის შესახებ შეიძლება აღმოჩნდეს არასაკმარისი. მულტინაციონალური კორპორაციების შვილობილი საწარმოები და ფილიალები მაღალი პროდუქტიული ეფექტურობით ეხმარება გაზარდონ პროდუქტიულობა მათ ინდუსტრიაში, რაც სასარგებლოა მასპინძელი ქვეყნების საერთო პროდუქტიულობისათვის.

ნახაზი №1. დასაქმების ეფექტი



შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე.

ინოვაციების და პროდუქტიულობის გაუმჯობესების პროცესი ასევე შეიძლება წარმოიქმნას მულტინაციონალური კორპორაციებსა და ადგილობრივ ფირმებს შორის პირდაპირი და უკუკავშირის მეშვეობით. აღნიშნულ კავშირებს უწოდებენ შიდა ინდუსტრიის კავშირებს. უკუკავშირები წარმოიქმნება მულტინაციონალური კორპორაციების შვილობილ საწარმოებსა და ფილიალების ურთიერთობით მომწოდებლებთან. პირდაპირი კავშირი წარმოიქმნება მომხმარებლებთან ურთიერთობით. პირდაპირ კავშირებზე არსებობს მწირი ლიტერატურა ვიდრე უკუკავშირებზე.

მკვლევარები მ. ბლომსტრომისა და ა. კოკკოს მტკიცებით არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის საფუძველზეც მულტინაციონალურ კორპორაციებს შეუძლიათ სტიმულირება, რომ მაპინძელ ქვეყანაში აამაღლონ ადგილობრივი ფირმების პროდუქტიულობა და ეფექტურობა. აღნიშნული მიზეზებია:

- მულტინაციონალური კორპორაციები ადგილობრივ ფირმებს უწევენ ტექნოლოგიურ დახმარებას, ხელს უწყობენ ინოვაციის დანერგვაში და მომწოდებლებს უზრუნველყოფენ პროდუქტის ხარისხის ამაღლების შესახებ ინფორმაციით;
- მულტინაციონალურ კორპორაციებს შეუძლიათ დაეხმარონ პოტენციურ მომწოდებლებს შექმნას საწარმოო საშუალებები და ასტიმულირებენ ადგილობრივი ინვესტირების პროცესს;
- მულტინაციონალურ კორპორაციებს შეუძლიათ მიაწოდონ ან დაეხმარონ ადგილობრივ ფირმებს ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მიწოდებაში;
- მულტინაციონალურ კორპორაციებს შეუძლიათ აიძულონ მომწოდებლები, რომ პროდუქტი და მომსახურება აწარმოონ ხარისხის სტანდარტების შესაბამისად;
- მულტინაციონალურ კორპორაციებს შეუძლია დაეხმაროს მომწოდებლებს დამატებითი მომხმარებლების მოძიებასა და დივერსიფიკაციაში.

ადგილობრივ მომწოდებელ ფირმებს შეუძლიათ ისარგებლონ ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციით, რომელიც მასპინძელ ქვეყნებში შემოაქვთ მულტინაციონალურ კორპორაციებს. ასეთი ტექნოლოგიების გავცელება აუმჯობესებს ადგილობრივი ფირმების ეფექტიანობას, რადგან ისინი ასტიმულირებენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ფასების შემცირებას და

ადგილობრივი ფირმების კონკურენტუნარიანობას. უცხოური ფირმების მიერ ახალი პროდუქტების გაცნობა ასევე ასტიმულირებს ადგილობრივ ფირმებში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას ამ პროდუქტის შეძენისას. ტექნოლოგიების გავრცელება არის პროცესი, როდესაც ინოვაცია, ანუ ახალი პროდუქტები, ახალი პროცესები და მართვის ახალი მეთოდები, ვრცელდება რეციფიენტ ქვეყანაში ან შესაბამის ინდუსტრიის საზღვრებში (84).

ეკონომიკურ ლიტერატურაში მწირი ინფორმაციაა მულტინაციონალური კორპორაციებისა და ადგილობრივ ფირმებს შორის კავშირების ეფექტების ნეგატიური ასპექტების შესახებ. მეცნიერები ბ. აიტკენი და ა. ჰარისონი არიან იმ მცირერიცხოვან მკვლევარებს შორის, რომლებმაც დაასკვნეს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ეფექტი ადგილობრივ მომწოდებელ ფირმებზე ზოგადად უარყოფითია. ისინი იკვლევდნენ ვენესუელას წარმოებას 1978-1989 წწ-ში. ისინი ამტკიცებენ, რომ უცხოური ფირმები ცვლიან მოთხოვნის მიმართულებას ადგილობრივი რესურსებიდან იმპორტირებულ რესურსებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი მომწოდებელ ფირმებს არ შეუძლიათ მიიღონ სარგებელი ეკონომიკური მაშტაბების პოტენციალიდან (69).

მეცნიერები მ. ბლომსტრომი და ა. კოკკო ამტკიცებენ, რომ "არსებობს ბევრი მტკიცებულება უკუკავშირების არსებობისა და პოტენციალის შესახებ და ასევე ეჭვი პირდაპირი კავშირების მზარდ მნიშვნელობაზე. ზოგიერთი მასპინძელი ქვეყნის მახასიათებლები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პირდაპირ და უკუკავშირების დონეზე არის ბაზრის ზომა, ადგილობრივი საკანონმდებლო რეგულაციები, სავარაუდოდ დროთა განმავლობაში მოხდება კავშირების ზრდა (მაგალითად ახალი მომწოდებლების იდენტიფიცირება).

თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციური პროცესი არის ფუძემდებლური ფაქტორი ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლების. სამშენებლო სექტორი არის სექტორი სადაც არის მძაფრი კონკურენცია და მაღალი შრომის დანახარჯები. შესაბამისად, ახალი თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციები აიცილებელია.

ლიტერატურის (57, 58, 59, 60, 61, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 89, 90) შესწავლის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზები, რომელთა მიზანი კვლევაში დასმული ამოცანის „თუ როგორ შეიძლება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო სექტორში არსებული ადგილობრივი კომპანიებმა ისარგებლონ რეგიონში მულტიეროვნული კორპორაციების შემოსვლით" დასაბუთებაა. ნაშრომში

ჩამოვაყალიბეთ ძირითადი ჰიპოთეზა და ხუთი სუბჰიპოთეზა, რომელიც ემპირიული შესწავლის დროს გადამოწმდა.

ძირითადი ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები სასარგებლო იქნება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ადგილობრივი სამშენებლო კომპანიებისათვის. იმისათვის, რომ შევძლოთ აღნიშნული ჰიპოთეზის მიღება ან უარყოფა ჩამოვაყალიბეთ დამატებით ხუთი ჰიპოთეზა (ნახაზი №2).

პირველი ჰიპოთეზა ეხება კაპიტალის ხელმისაწვდომობას და შეიძლება ვუწოდოთ "ფინანსური რესურსები."

პირველი ჰიპოთეზა: მულტიეროვნული კორპორაციების შემოსვლით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს გაუადვილდებათ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა.

მეორე და მესამე ჰიპოთეზა ეხება ტექნოლოგიებს, მენეჯმენტს და ინოვაციის პროცესს. ჩვენი წინასწარი ვარაუდით ადგილობრივი კომპანიები სამშენებლო სექტორში ისარგებლებენ მულტიეროვნული კორპორაციების თანამედროვე ტექნოლოგიით. მულტიეროვნული კორპორაციების თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით მათ ექნებათ შესაძლებლობა იმუშაონ უფრო ეფექტურად და გახდნენ პროდუქტიულები. ტექნოლოგიური ცოდნის გადაცემა ტრენინგების გზით, რომელსაც მულტიეროვნული კორპორაციები ახორციელებენ ხშირად გამოყენებადი საშუალებაა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. მმართვის უნარების გაუმჯობესებამ შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი სამშენებლო კომპანიების ბიზნესის კეთების უნარის გაუმჯობესება და აღნიშნული კომპანიები გახდებიან უფრო პროდუქტიულები. ორივე ცვლადი თანამედროვე ტექნოლოგიები და მმართვის თანამედროვე უნარები რეგიონის ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს შეიძლება გადაეცეს მულტიეროვნული კორპორაციებთან თანამშრომლობის მეშვეობით ან "შერწყმა" და "შთანთქმის" შედეგად. როგორც ცნობილია ინოვაციის პროცესი ზრდის ეფექტიანობას. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სამივე ცვლადი ეხება ცოდნას აღნიშნულ ჰიპოთეზას შეიძლება ვუწოდოთ "ცოდნის გადაცემა".

მეორე ჰიპოთეზა: უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ზრდის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ადგილობრივი ფირმების ეფექტიანობას.

მესამე ჰიპოთეზა: უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების შედეგად ცოდნა გადაეცემა მულტიეროვნული კორპორაციებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში არსებულ კომპანიებს.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შედეგად იზრდება კონკურენცია. ეს არის უარყოფითი, მაგრამ მნიშვნელოვანი ეფექტი. დღეისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში არის სასტიკი კონკურენცია და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ის კიდევ გაიზრდება მულტიეროვნული კორპორაციების შემოსვლის შემდეგ. გრძელვადიან პერსპექტივაში კონკურენციამ შეიძლება მიგვიყვანოს კონსოლიდაციის ფაზამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე შევქმენით ორი ჰიპოთეზა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ "კონკურენცია".

მეოთხე ჰიპოთეზა: უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გაზრდის კონკურენციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში არსებულ კომპანიებს შორის მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში.

მეხუთე ჰიპოთეზა: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში მომდევნო წლებში სავარაუდოდ მოსალოდნელია კონსოლიდაციის ფაზა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული მწირი თეორიების თანახმად შეუძლებელია მოვახდინოთ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დასაქმებაზე გავლენის ეფექტის განზოგადება. დასაქმების ეფექტი დამოკიდებულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების რეჟიმზე. მაგალითად, სამუშაო ადგილები შეიქმნება, როდესაც მულტიეროვნული კორპორაციები შემოდის ქვეყანაში გრინფილდის ინვესტირების გზით, ხოლო როდესაც მულტიეროვნული კორპორაციები შემოდის შერწყმის ან შეძენის ინვესტირებით მაშინ მასპინძელ ქვეყანაში ადგილი აქვს სამუშაო ადგილების დაკარგვას. არ გვინდა აღნიშნული კვლევა შევზღუდოთ ინვესტირების ერთი რეჯიმით, ამიტომაც არ შევქმენით ჰიპოთეზა დასაქმების შესახებ.

აგრეთვე არ შევქმენით ჰიპოთეზა პროდუქტიულობის შესახებ, რადგანაც მიგვაჩნია, რომ პროდუქტიულობა და კაპიტალის, მენეჯმენტის, ტექნოლოგიისა და ინოვაციის პროცესი ერთმანეთთან ძალიან არის დაკავშირებული. ჩვენი იდეა არის, რომ როდესაც ადგილობრივი კომპანია იღებს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მმართველობის თანამედროვე უნარებს, კომპანიას შეუძლია იმუშაოს უფრო ეფექტიანად და შეუძლია გააუმჯობესოს ინოვაციის პროცესი. საბოლოოდ კი აღნიშნული გამოიწვევს პროდუქტიულობის ამაღლებას.

ამრიგად, კვლევაში დასმული ამოცანის „თუ როგორ შეიძლება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო სექტორში არსებული ადგილობრივი კომპანიებმა ისარგებლონ რეგიონში მულტიეროვნული კორპორაციების შემოსვლით". ნაშრომში ჩამოვაყალიბეთ შემდეგი ძირითადი ჰიპოთეზა და ხუთი სუბჰიპოთეზა:

- მულტიეროვნული კორპორაციების შემოსვლით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს გაუადვილდებათ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა.
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ზრდის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ადგილობრივი ფირმების ეფექტიანობას.
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების შედეგად ცოდნა გადაეცემა მულტიეროვნული კორპორაციებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში არსებულ კომპანიებს.
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გაზრდის კონკურენციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში არსებულ კომპანიებს შორის მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში.
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში მომდევნო წლებში სავარაუდოდ მოსალოდნელია კონსოლიდაციის ფაზა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნაშრომში განვიხილოთ განვითარებად ქვეყნებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების პოტენციური ნაკლოვანებები. მეცნიერი ო. ორჯის მიერ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკლოვანებები მოხსენიებულია, როგორც მასპინძელი ქვეყნის საშინაო პოლიტიკის "ღირებულება", რომელიც მოიცავს:

- საგადასახდელო ბალანსის გაუარესება, როგორც უცხოელ ინვესტორებზე დარიცხული მოგების რეპატრიაცია;
- ადგილობრივ გაერთიანებებში პოზიტიური კავშირების ნაკლებობა;
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების პოტენციურად მავნე (ცუდი) ზემოქმედება გარემოზე, განსაკუთრებით მოპოვებით და მძიმე მრეწველობაში;

ნახაზი № 2. ჰიპოთეზები

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე.

- ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კომერციალიზაციის სოციალური ხასიათის დარღვევების დაჩქარება;
- ეროვნულ ბაზრებზე კონკურენციის გავლენა;
- პოლიტიკური სუვერენიტეტის დაკარგვა, რომელსაც ზოგიერთი მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლება აღიქვამს საერთაშორისო საოპერაციო საწარმოებზე დამოკიდებულების ზრდით;

- ტექნოლოგიური სარგებელი, შეიძლება მიუწვდომელი აღმოჩნდეს მასპინძელი ქვეყნისათვის, თუ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს არ შეუძლია მიიღოს ტექნოლოგიების სარგებელი ან ნოუ-ჰაუ რომლის გადაცემა ხორციელდება უცხოური პირდაპირი ინვესტიციებით;

გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ რეციფიენტი ქვეყნისათვის უცხოური ინვესტიციები შეიძლება აისახოს როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად, ანუ ერთის მხრივ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური წინსვლისა თუ განვითარებისათვის ხელსაყრელი უცხოური ინვესტიციები რიგ უარყოფით გავლენას ახდენენ სახელმწიფოზე რომელთაგან აღსანიშნავია:

- რეციპიენტი ქვეყანა კარგავს ეროვნულ წარმოებასა და განვითარების სტრატეგიაზე კონტროლის მექანიზმებს;
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემომტანმა ფირმებმა შეიძლება გააძევონ ნაკლებად კონკურენტუნარიანი ეროვნული ფირმები;
- გრძელვადიან პერსპექტივაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დანახარჯების ზრდას იწვევს.

ამრიგად, კაპიტალის შემოდინება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს მოაქვს მასპინძელი ქვეყნისათვის. მას აქვს პირდაპირი ზეგავლენა ქვეყანაში, რადგან კაპიტალს მოაქვს ახალი ფინანსური რესურსები, რომელიც სხვაგვარად არ იქნება ხელმისაწვდომი რეციპიენტი ქვეყნისათვის. მეტი ფული ნიშნავს ირიბად დამატებით ინვესტიციებს, რის შედეგადაც ეკონომიკა განიცდის ზრდას. არაპირდაპირი ეფექტი კაპიტალის შემოდინებისა არის ტექნოლოგიების შემოდინების გვერდითი მოვლენები, დასაქმების ზრდის გვერდითი მოვლენები და გაზრდილი კონკურენცია. კაპიტალისა და ტექნოლოგიებიის ინექცია ხელს უწყობს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებას. იგი გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემას, რომელსაც აქვს პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდაზე. რეციპიენტი ქვეყნის ადგილობრივ ფირმებს მულტიეროვნული კორპორაციებისაგან შეუძლიათ მიიღონ სარგებელი სხვადასხვა გზით.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს ეკონომიკისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. ზოგადად, მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნები ხასიათდებიან კაპიტალის დეფიციტით, არასაკმარისი შიდა დანაზოგი ვერ აფინანსებს შიდა საინვესტიციო მოთხოვნას, რაც უარყოფითად აისახება, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტიციებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ახორციელებენ განვითარებადი ქვეყნების დახმარებას, ხშირად აქვს ადგილი აღნიშნულ ქვეყნების ბიუჯეტის შემცირებას სოციალურ სექტორში, იზრდება სიღარიბე, ვალუტის კურსის კრიზისი, ადგილობრივი ვალუტის მაშტაბური დევალვაცია და ვაჭრობის პირობების დეტერმინაცია. შიდა დანაზოგები ვერ აფინანსებს ინფრასტრუქტურას, ჩნდება საჭიროება უცხოური პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების, მათი ისეთი უპირატესობების გამო, როგორიცაა რეციპიენტ ქვეყანაში მყარი ვალუტის და ფინანსური რესურსების შემოდინება, მენეჯერული უნარები, მარკეტინგული კავშირები, ტექნოლოგიური ცოდნა და ადგილობრივი სამუშაო ძალის გადამზადება-დატრენინგება. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები იწვევს საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას, უცხოურ ბაზრებს ხდის ხელმისაწვდომს ადგილობრივი პროდუქტებისათვის, ხელს უწყობს ადგილობრივი სამუშაო ძალის დატრენინგებას, ყოველივე ზემოთქმული კი ზრდის რეციფიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს მოიზიდოს უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, რამდენადაც ის ასოცირდება ეკონომიკურ ზრდასა და პროგრესთან. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებს (მაგალითად, საქართველო) აძლევს საშუალებას, დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს ადგილობრივი ფირმების შესაძლებლობებსა და მათ უნარს, აწარმოონ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია. სწორედ ახალი ტექნოლოგიათა მიღება წარმოადგენს იმ ძირითადი მიზანს, რის გამოც ქვეყნები აქტიურად ცდილობენ მოიზიდონ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ასრულებს მნიშვნელოვან და მზარდ როლს გლობალური ბიზნესის განვითარებაში. უზრუნველყოფენ ადგილობრივ ფირმებს ახალი ბაზრებითა და მარკეტინგული არხებით, იაფი წარმოების საშუალებებით, აძლევენ ხელმისაწვდომობას ახალ

ტექნოლოგიებზე, წარმოებასა და ფინანსებზე, ყოველივე აღნიშნული კი შესაბამისად ასტიმულირებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

1.3 საინვესტიციო გარემოს მნიშვნელობა და თავისებურებები

ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და განვითარების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც თავის მხრივ ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის, ახალი ტექნოლოგიების მოზიდვის და დასაქმების უზრუნველყოფის საფუძველია. ქართული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა. თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა ხასიათდება საწარმოო ინვესტირებისათვის და ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის აუცილებელი რესურსების მწვავე დეფიციტით. ამიტომ გრძელვადიან და არა სპეკულაციურ ინვესტიციებს აქვს დიდი მნიშვნელობა ქართული ეკონომიკის ეფექტიანი განვითარებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციური აქტიურობის ზრდას. "ადგილობრივი კაპიტალის შესაძლებლობები მოკრძალებულია. ამიტომაც არის, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი პრიორიტეტული ამოცანების რიცხვში უმთავრესია უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც მეტად რთული ამოცანაა, რადგან საქართველოს მცირე ოდენობით გააჩნია ის სტრატეგიულ-ენერგეტიკული რესურსები (ნავთობი, გაზი), რომლებიც მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის. ამითაა მოტივირებული ის, რომ საქართველო მიმართავს ღია ეკონომიკურ პოლიტიკას" (2, გვ. 289).

ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის სისტემატური ამაღლების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეკონომიკაში საინვესტიციო რესურსების არსებობის დონე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი კლიმატისა და მათი ეფექტიანი გამოყენების მექანიზმების ჩამოყალიბება. თანამედროვე ეტაპზე ინვესტიციური კლიმატის შესწავლა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც საერთო-სახელმწიფო, ისე ადგილობრივ დონეზე. ინვესტიციური კლიმატი არის გარემო, რომელშიც მიმდინარეობს ინვესტიციური პროცესები. მისი ფორმირება ხდება საკანონმდებლო-ნორმატიული, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით.

როგორც ცნობილია, საინვესტიციო გარემოს ანალიზის სფეროში განხორციელებული კვლევების პიონერებად ჰარვარდის ბიზნეს სკოლის წარმომადგენლები ითვლებიან. შეფასების საფუძვლად მათ გამოიყენეს საექსპერტო შკალა, რომელიც მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს:

- უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის საკანონმდებლო პირობები;
- კაპიტალის გატანის შესაძლებლობები;
- ეროვნული ვალუტის მდგრადობა;
- პოლიტიკური ვითარება;
- ინფლაციის დონე;
- ეროვნული კაპიტალის გამოყენება.

ცნება „ინვესტიციური კლიმატი“ გამოიყენება უპირატესად საბაზრო ეკონომიკისათვის, როდესაც სამეურნეო გარემო არ ექვემდებარება პირდაპირ მართვას. საინვესტიციო კლიმატის სტრუქტურასა და ფორმირების ფაქტორებზე წარმოდგენას იძლევა ნახაზი №3.

ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის ფორმირების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია:

- ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა;
- ქვეყნის საინვესტიციო აქტივობა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა თავის მხრივ დამოკიდებულია ისეთ სისტემურ მახასიათებლებზე როგორიცაა:

- ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი;
- საინვესტიციო რისკები.

საინვესტიციო კლიმატზე მოქმედ ობიექტურ ფაქტორებს, შორის აღსანიშნავია:

- მაკროეკონომიკური ფაქტორები;
- ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი;
- საინვესტიციო პოტენციალი;
- საინვესტიციო-საკრედიტო პოტენციალი;
- ინფრასტრუქტურული პოტენციალი;
- საბაზრო გარემოს ფაქტორები.

ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის საქართველოს

მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ ექვსი გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის (127).

მნიშვნელოვანია სახელმწიფომ რეგიონების საინვესტიციო შესაძლებლობების შესასწავლად ჩაატაროს შემდეგი ასპექტების ანალიზი:

- ბუნებრივი რესურსები;
- სოფლის მეურნეობის სტრუქტურა (როგორც, სოფლის მეურნეობაზე ბაზირებული სამრეწველო დარგების საფუძველი);
- გარკვეულ სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნა, რომელთა მოხმარება შეიძლება გაიზარდოს მოსახლეობის რაოდენობის ან მსყიდველობითი უნარის ზრდით;
- იმპორტი;
- საექსპორტო შესაძლებლობები;
- საერთო საინვესტიციო კლიმატი;
- სახელმწიფოს საწარმოო პოლიტიკა;
- საწარმოო ფაქტორების არსებობა და ღირებულება;
- გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორები, რომელებიც წარმატებით ფუნქციონირებენ ანალოგიური ეკონომიკური ბაზის, მსგავსი განვითარების დონის და ფინანსური, შრომითი და ბუნებრივი რესურსების მქონე სხვა ქვეყნებში;
- ურთიერთკავშირები ადგილობრივ ან ტრანსნაციონალური კორპორაციებთან;
- არსებული წარმოების შესაძლებელი გაფართოება ინტეგრაციის საფუძველზე;
- დივერსიფიკაციის შესაძლებლობა;

- საწარმოო სიმძლავრეების შესაძლებელი გაფართოება ეკონომიის მისაღებად, რაც განპირობებულია წარმოების მასშტაბის ზრდით;

საინვესტიციო პოლიტიკის რეგიონულ დონეზე სრულყოფისათვის აუცილებელია განისაზღვროს:

- კონკრეტული საინვესტიციო რეგიონული პრიორიტეტები;
- უნდა ჩატარდეს რეგიონების ფინანსური მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი, რათა დაზუსტდეს რეგიონული თვითდაფინანსების რეალური შესაძლებლობები;
- ჩატარდეს რეგიონული თავისებურებების შედარებით სრული აღრიცხვა საბაზრო რეფორმების გატარების დროს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინვესტიციურ პროცესებზე;
- განხორციელდეს ადგილობრივი ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თანაბარი პირობები ყველა რეგიონისათვის ინვესტირების მიზნებისათვის.

საქართველოს რეფორმების ერთ-ერთი მიზანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ეკონომიკის უმეტეს პოზიციებში ტექნოლოგიურ ჩამორჩენას, საქართველოსათვის აუცილებელია უცხოური კაპიტალი, რომელიც ქვეყნისათვის ახალი კაპიტალის, მოწინავე ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას შეუწყობს ხელს, აგრეთვე წაახალისებს შიდა ინვესტიციებსაც.

მსოფლიო ბანკის და EBRD–ის ერთობლივ გამოკვლევებში "ბიზნესის გარემო და წარმოება" აღნიშნულია, რომ საქართველოში 2004-2007 წლებში მოხდა კორუფციის ყველაზე მაშტაბური შემცირება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის. კორუფციის აღქმის ინდექსში (CPI) 2014 წელს, საქართველოს 100 შესაძლებლიდან 52 ქულა აქვს მინიჭებული. ამ მონაცემით ის 175 ქვეყნდან 50-ე ადგილზეა.

ბიზნეს ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე მოქმედი რიგი უარყოფითი ფაქტორების შესახებ. მსოფლიო ბანკის გამოცემები გვიჩვენებს, რომ მთავარი ფაქტორები, რაც ნეგატიურად მოქმედებს საინვესტიციო გარემოზე არის:

- პოლიტიკური განუსაზღვრელობა – 28%;
- მაკროეკონომიკური არასტაბილურობა – 23%;

- გადასახადები – 19%;
- სამართლებრივი რეგულირება – 10%;
- კორუფცია – 10%. (135)

ბიზნესის კეთების სიადვილე 2016 წლის მონაცემებით საქართველომ 2006-2016 წლებში განახორციელა 39 რეფორმა (ცხრილი №3).

მნიშვნელოვანი რეფორმებია:

- ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება;
- „ერთი სარკმლის პრინციპი" შეიქმნა სალიცენზიო აპლიკაციებისათვის;
- გამარტივებული საგადასახადო კოდექსით 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 გადასახადი;
- ქონების დარეგისტრირებისათვის შემცირდა საჭირო დრო და ღირებულება;

აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველ ოცეულშია შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- ქონების რეგისტრაცია – მესამე პოზიცია
- ბიზნესის დაწყება – მეექვსე პოზიცია
- კრედიტის მიღება – მეექვსე პოზიცია
- მშენებლობის ნებართვა – მეთერთმეტე პოზიცია.
- კონტრაქტის აღსრულება – მეცამეტე პოზიცია.

საქართველოს პოზიცია ქვეყნების დაშორებით საუკეთესო მაჩვენებლიდან (DTF) მოცემულია გრაფიკი №1-ში.

2007-2016 წლებში საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა 9 კომპონენტში, 2016 წელს საქართველომ მეოთხე პოზიცია დაიკავა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში 25 ქვეყანას შორის (127).

ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს გააჩნია გარკვეული დადებითი პოტენციალი, რათა დააინტერესოს ინვესტორები, კერძოდ:

- ლიბერალური შრომითი კანონები;
- მდიდარი და შედარებით იაფი საკურორტო და ტურისტული რესურსები;
- ცნობილი მინერალური და სამკურნალო წყლების უმდიდრესი მარაგი;
- საკვები რესურსებისა და არსებობის სიიაფე სხვა ქვეყნებთან შედარებით;
- შედარებით იაფი კვალიფიციური მუშახელი;

ნახაზი №3. საინვესტიციო გარემოს სტრუქტურა და მისი ფორმირების ფაქტორები



შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე.

ცხრილი №3. საქართველოში 2006-2016 წწ. განხორციელებული რეფორმები.

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ბიზნესის დაწყება	X	X	X	X			X				
მშენებლობის ნებართვა	X	X	X		X						X
ელექტროენერგიით მომარაგება								X			
ქონების რეგისტრაცია			X	X							
კრედიტის მიღება	X	X	X	X		X	X	X	X		
მინორიტარული ინვესტორების დაცვა		X	X			X	X				
გადასახადების გადახდა				X			X	X			
ვაჭრობა საზრვრებს შორის	X				X			X			
კონტრაქტის აღსრულება	X										
გადახდის უუნარობა				X			X		X		
დასაქმება										X	

წყარო: **http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2016_-_GEO.pdf**

- დინამიკური საბანკო სექტორი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს რეგიონებში საინვესტიციო აქტივობისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთგავლენის პრობლემის განხილვა, რაც განაპირობებს რეგიონებზე საინვესტიციო ბაზრების განვითარებას. მიმდინარე ეტაპზე არსებობს მრავალი მაკროეკონომიკური პრობლემა, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოს განვითარებაზე და აფერხებს, როგორც ადგილობრივ ასევე უცხო ინვესტორებს საქმიანობის ჩვენს ქვეყანაში წამოწყებასა და განხორციელებაზე.

მათ შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემდეგი:

- ინსტიტუციური ცვლილების ხარისხი და სიჩქარე;
- დაგროვების არაეფექტიანი სრუქტურა;
- მყარი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებაში არსებული სიძნელეები;
- მენეჯმენტური, ტექნიკური და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის მკვეთრი დონე;
- რეგიონების მიხედვით მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის მაღალი დიფერენციაცია.
- ადამიანურ კაპიტალსა და ძირითად ფონდებში ინვესტიციების დაბალი დონე;

საქართველოს და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური აღმავლობისა და სტაბილურობის ერთ-ერთი ძირითადი გარანტია ამ ეტაპისთვის არის ის, რომ მოვიზიდოთ უცხოურ ინვესტიციათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რათა ქვეყანაში აღდგეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარგები, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობის ძალას წარმოადგენენ, რათა საქართველომ ღირსეული ადგილი მოიპოვოს და დაიმკვიდროს განვითარებულ და მოწინავე ქვეყნებს შორის. ამისათვის აუცილებელია ქვეყნის საინვესტიციო გარემო იყოს სტაბილური და მიმზიდველი უცხოელი ინვესტორისათვის. საინვესტიციო გარემო არის იმ სოციალური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი და პოლიტიკური წინამძღვრების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის, რეგიონის ინვესტირების მიზანშეწონილობას (44). საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ობიექტური აუცილებლობითაა განპირობებული, რადგან

ამორტიზირებული ტექნოლოგიების პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება გამორიცხულია.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის განმსაზღვრელ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სიტუაცია, ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია, პროგნოზირებადი და ხელშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო. აღნიშნული ფაქტორების თვალსაზრისით ხელსაყრელი პირობების არსებობა წარმოადგენს საფუძველს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებისათვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების შემოტანას, მენეჯმენტური გამოცდილების ამაღლებას, ფინანსირების სტაბილური წყაროების წარმოქმნას.

გასათვალისწინებელია ასევე ის, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები შეიძლება აისახოს როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად, ანუ ერთის მხრივ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური წინსვლისა თუ განვითარებისათვის ხელსაყრელი უცხოური ინვესტიციები რიგ უარყოფით გავლენას ახდენენ სახელმწიფოზე.

რაც შეეხება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნეგატიურ მხარეს შეიძლება ავღვნიშნოთ:

- რეციპიენტი ქვეყანა კარგავს ეროვნულ წარმოებასა და განვითარების სტრატეგიაზე კონტროლის მექანიზმებს;
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემომტანმა ფირმებმა შეიძლება გააძევონ ნაკლებად კონკურენტუნარიანი ეროვნული ფირმები;
- გრძელვადიან პერსპექტივაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები დანახარჯების ზრდას იწვევს;
- შიდა ბაზარზე იზღუდება ჯანსაღი კონკურენცია;
- ტრანსეროვნული კომპანიების შემოსვლის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგება ქვეყნის პოლიტიკური არჩევანის თავისუფლება და ა. შ.

გრაფიკი №1. საქართველოს პოზიცია ქვეყნების დაშორებით საუკეთესო მაჩვენებლიდან (DTF)



წყარო: http://www.economy.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 2016 წლის მონაცემებით 1645 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2015 წლის ამავე მონაცემებს აღემატება 5 პროცენტით. მოცემული გრაფიკი №2 ასახავს საქართველოში განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დინამიკას 2006-2016 წლებში.

გრაფიკი №2. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დინამიკა საქართველოში 2006-2016 წწ. (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: http://geostat.ge

ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების 32 პროცენტი შეადგინა. გრაფიკი №3 ასახავს რეინვესტირებული თანხების წილს მთლიან უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებში 2012-2016 წლებში.

გრაფიკი №3. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2012-2016 წლები (მლნ აშშ. დოლარი)



წყარო: http://geostat.ge

საქართველოში განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების 2006-2016 წლების მონაცემები უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით მოცემულია ცხრილი №4-ში.

ცხრილი №4. ძირითადი პირდაპირი ინვესტორ ქვეყნები საქართველოში 2016 წ. მიხედვით მლნ აშშ დოლარი

	ევრო კავშირის ქვეყნები	დსთ ქვეყნები	დანარჩენი ქვეყნები	საერთაშორისო ორგანიზაციები	სულ
2006 წ.	407189,7	266414,3	508028,9	8741,7	1190374,6
2007 წ.	1132726,1	238389,0	629432,6	14293,9	2014841,6
2008 წ.	476655,2	94695,6	968960,7	23651,0	1563962,4
2009 წ.	224722,2	1024,4	390847,9	30739,2	658400,6
2010 წ.	248211,4	91155,6	429943,5	45186,0	814496,6
2011 წ.	554239,0	193048,3	275060,3	94896,5	1117224,1
2012 წ.	440348,3	86736,5	321024,8	63454,7	911564,3
2013 წ.	390743,5	131506,9	364971,5	54680,8	941902,6
2014 წ.	820016,8	448431,9	596013,7	-105962,1	1758422,9
2015 წ.	753719,7	592866,4	171391,1	39779,5	1564499,8
2016 წ.	471297,7	614131,0	531578,7	33063,5	1645368,6

წყარო: **http://geostat.ge**

2016 წელს ყველაზე მეტი ინვესტიცია საქართველოში აზერბაიჯანმა განახორციელა, მას მოსდევს თურქეთი და გაერთიანებული სამეფო. სამი უმსხვილესი ინვესტორ ქვეყნის წილმა მთლიან უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებში 2016 წლის მონაცემების მიხედვით 59 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული გრაფიკი №4.

გრაფიკი №4 უმსხვილესი ინვესტორ ქვეყნების წილი 2016 წ. (%-ში)



წყარო: http://geostat.ge

2008-2016 წლების მონაცემები უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში მოცემულია ცხრილი №5-ში.

ცხრილი №5 უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2008-2016 წლების

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
სულ	**1 563 962,4**	**658 400,6**	**814 496,6**	**1 117 244,1**	**911 564,3**	**941 902,6**	**1 758 422,9**	**1 564 499,8**	**1 645 368,6**
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	7 844,3	22 326,9	8 631,9	14 907,6	16 119,3	11 857,4	12 290,3	14 577,6	9 982,0
სამთომომპოვებითი მრეწველობა	18 105,2	15 023,4	53 435,9	40 219,6	4 862,2	43 704,9	42 781,5	88 027,8	38 076,5
დამამუშავებელი მრეწველობა	188 287,8	124 781,7	175 334,5	120 339,7	167 906,5	99 765,1	205 417,4	67 174,6	120 381,3
ენერგეტიკა	294 864,8	-2 130,6	21 877,9	203 951,6	179 402,6	244 745,1	189 945,0	123 663,8	202 739,4
მშენებლობა	56 725,3	105 218,8	4 705,9	48 112,2	41 839,2	49 847,5	316 588,1	110 678,4	163 499,0
სასტუმროები და რესტორნები	181 939,2	37 542,3	17 121,8	22 705,6	17 652,3	-13 360,1	124 851,8	138 815,3	110 835,4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	422 690,0	98 432,0	215 116,2	126 517,2	72 828,9	140 104,4	433 654,7	584 648,7	645 002,8
მათ შორის;									
ტრანსპორტი	...	...	...	...	...	...	...	605 297,6	657 812,5
კავშირგაბმულობა	...	...	...	...	...	...	...	-20 648,8	-12 809,7
ჯამრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	550,6	289,1	1 182,4	16 827,0	17 550,8	720,0	-9 507,6	140 325,6	27 151,3
უძრავი ქონება	277 837,7	147 410,3	119 253,0	224 776,3	52 805,6	42 294,6	138 654,8	89 940,4	69 738,6
შაფინანსო სექტორი	10 891,7	49 663,4	107 406,4	167 701,8	162 552,2	166 386,3	115 322,6	178 553,5	135 808,1
ანარჩენი სექტორები	104 225,8	59 843,3	90 430,7	131 185,5	178 044,8	155 837,4	188 424,2	28 094,1	122 154,2

წყარო: http://geostat.ge

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის მონაცემებით სამშენებლო სექტორი 10 პროცენტით მესამე ადგილზეა ქვეყანაში განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მონაცემებით (გრაფიკი №5).

გრაფიკი №5. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016 წელს (%)



წყარო: http://geostat.ge

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კაპიტალის ნაკადები, რომელიც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის ნაწილს, ბოლო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა განვითარებადი ქვეყნების ფინანსურ ბაზრებზე წმინდა და მთლიანი კაპიტალის ნაკადების, უცხოელი ინვესტორებისა და მრავალმხრივი საფინანსო

ინსტიტუტების (MFIS) მონაწილეობით (133). მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ახორციელებენ განვითარებადი ქვეყნების დახმარებას, აღნიშნულ ქვეყნებში ხშირად აქვს ადგილი ბიუჯეტის შემცირებას სოციალურ სექტორში, იზრდება სიღარიბე, ადგილობრივი ვალუტა განიცდის მაშტაბურ დევალვაციას და ვაჭრობის პირობების დეტერმინაციას. როდესაც, შიდა დანაზოგები ვერ აფინანსებს ინფრასტრუქტურას, ჩნდება საჭიროება უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისა და უცხოური პორტფელური ინვესტიციების, მათი ისეთი უპირატესობების გამო, როგორიცაა რეციპიენტ ქვეყანაში მყარი ვალუტის და ფინანსური რესურსების შემოდინება, მენეჯერული უნარები, მარკეტინგული კავშირები, ტექნოლოგიური ცოდნა და ადგილობრივი სამუშაო ძალის გადამზადება-დატრენინგება.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები იწვევს საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას, უცხოურ ბაზრებს ხდის ხელმისაწვდომს ადგილობრივი პროდუქტებისათვის, ხელს უწყობს ადგილობრივი სამუშაო ძალის დატრენინგებას, ყოველივე ზემოთქმული კი ზრდის რეციფიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ეფექტიანობას.

თანამედროვე პირობებში საქართველო საჭიროებს მნიშვნელოვანი რაოდენობით უცხოურ ინვესტიციებს, რათა დაჩქარდეს ეკონომიკის ზრდა, განსაკუთრებით სამშენებლო სფეროში, რომ ხელი შეუწყოს ინფრასტრუქტურის განვითარებას. ალტერნატივა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სფეროში საინვესტიციო მიზნებისათვის კაპიტალის რეფორმებისა არის უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, მაგრამ მწირი საექსპორტო პოტენციალის გამო ფრანჩაიზინგი არის ყველაზე პრაქტიკული გზა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისათვის.

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების პოზიტიური ზეგავლენა რეციპიენტ ქვეყნისათვის შემდეგნაირად განისაზღვრება:

- ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებათა ზრდის კვალობაზე შრომის მწარმოებულობისა და დასაქმების ზრდა;
- მენეჯმენტური და მარკეტინგული მიღწევების დანერგვა და ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსვლა;
- ეროვნული ფირმებისათვის გასაღების საერთაშორისო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობების გაფართოება და სხვა.

ამგვარად, უცხოური ინვესტიციების სფეროში არსებული პრაქტიკიდან და საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის შესაბამისი გარემოს ფორმირება მნიშვნელოვანია, ამასთანავე სწორი მიმართულება არ იქნება თუ ახალი წარმოების ჩამოყალიბებაში მხოლოდ უცხოური კაპიტალის იმედზე ვიქნებით. მაგრამ მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების გამოყენება, როგორც განვითარების ფაქტორის – ბუნებრივი, საწარმოო და შრომითი პოტენციალის მობილიზებაში.

თავი 2. საინვესტიციო გარემო და მშენებლობის სექტორი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

2.1 საინვესტიციო გარემო და რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის ოპტიმიზაციის მიმართულებები

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. ისტორიული თვალსაზრისით, არცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობებმა გაანალიზეს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების როლი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ჭრილში. ეს გამოწვევა განსაკუთრებით განვითარებადმა ქვეყნებმა აიტაცეს (134), რადგანაც სწორედ ამ ტიპის ქვეყნებშია მინიმალურ დონეზე შიდა დანაზოგები, რომელიც ინვესტიციური შიმშილის დაკმაყოფილებას ვერ უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანა, (მაგალითად საქართველო) ინვესტიციური შიმშილის მოსაკლავად, ცალკე აღებულ ტერიტორიებზე ბიზნესმენებისთვის დამატებითი შეღავათების დაწესებას ცდილობს რაც, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ინვესტიციების აკუმულირებას, მთელ ქვეყანაში კი ინვესტიციური შიმშილის კიდევ უფრო გაიძლიერებას უწყობს ხელს (30).

ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და რადიკალურმა ეკონომიკურმა რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა ქვეყანაში საინვესტიციო პოლიტიკის ტრანსფორმაციისა და შესაბამისი გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის ფორმირების საკითხი. ამ რთული და მრავალწახნაგოვანი პრობლემის გადაწყვეტაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი განეკუთვნება მთლიანად ეროვნული მეურნეობის, მისი ცალკეული რეგიონების და ქალაქების დაჩქარებული აღდგენა-განვითარებისათვის დიდი მოცულობის ფინანსური რესურსების მობილიზებასა და გამოყენებას. აღნიშნული საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, (რადგან სახელმწიფოს ცენტრალიზებულ ინვესტიციების, ადგილობრივი კერძო მეწარმეების და მოსახლეობის ფინანსურ კაპიტალის შესაძლებლობანი შეზღუდულია მათი უკმარისობის გამო) და მისი

მიზანმიმართულ, ეფექტიან გამოყენებას, რაც საბოლოოდ ახალი სამუშაო ადგილებისა და სოციალური ფონის გაუმჯობესების გარანტიაა.

საინვესტიციო შესაძლებლობების განსაზღვრა წარმოადგენს ნებისმიერი საქმიანობის საწყის წერტილს, რომელიც დაკავშირებულია ინვესტირებასთან. საბოლოო ჯამში, ეს შეიძლება გახდეს საინვესტიციო საშუალებების მობილიზაციის დასაწყისი. ქართველი და უცხოელი, კერძო თუ სახელმწიფო პოტენციური ინვესტორები დაინტერესებული არიან მიიღონ ინფორმაცია ახალი საინვესტიციო შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის შესაქმნელად გამოიყენება საინვესტიციო პროექტის მრავალსაფეხურიანი შეფასება:

- ეკონომიკის სექტორის, ეროვნული ეკონომიკის დარგების დონეზე (შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ საინვესტიციო პროდუქტის სავარაუდო მასშტაბი და სამეურნეო სუბიექტ ინვესტორის რანგი);
- რეგიონის და მისი პოტენციალის დონეზე;
- საწარმოოს საინვესტიციო პროექტის დონეზე.

ეკონომიკის სექტორისა და რეგიონის დონის გამოსაკვლევად საინვესტიციო პროექტის შეფასება მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას რეგიონის, საწარმოო სექტორის შესახებ, აგრეთვე რესურსების ანალიზს და წარმოების განვითარების კომპლექსური გეგმის შედგენას. ხოლო მიკროეკონომიკური მიდგომა კი მოიცავს მეწარმეების, ინვესტიციების ხელშემწყობი ორგანიზაციების და საფინანსო დაწესებულებების საინვესტიციო იდეების ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ ინვესტორების დაინტერესების სტიმულირების მიზნით კონკრეტული პროექტების შესაძლებლობების გამოკვლევებს უნდა გააჩნდეს გარკვეული საბაზო ინფორმაცია, თანაც არ არის საკმარისი უბრალოდ საქონლის ჩამონათვალი, რომლის წარმოებისათვის არსებობს შიდა პოტენციალი. ასეთი ანალიზი დაფუძნებული უნდა იყოს საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ან რეგიონის, საწარმოო სექტორის, რესურსების საერთო შესაძლებლობების გამოკვლევის მასალებზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციის განხორციელების ამოსავალ წერტილად.

რეგიონის საინვესტიციო შესაძლებლობების შესასწავლად უნდა მოვახდინოთ შემდეგი ასპექტების ანალიზი:

- ბუნებრივი რესურსები;

- სოფლის მეურნეობის სტრუქტურა (როგორც, სოფლის მეურნეობაზე ბაზირებული სამრეწველო დარგების საფუძველი);
- გარკვეულ სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნა, რომელთა მოხმარება შეიძლება გაიზარდოს მოსახლეობის რაოდენობის ან მსყიდველობითი უნარის ზრდით;
- იმპორტი;
- საექსპორტო შესაძლებლობები;
- საერთო საინვესტიციო კლიმატი;
- სახელმწიფოს საწარმოო პოლიტიკა;
- საწარმოო ფაქტორების არსებობა და ღირებულება;
- გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორები, რომელებიც წარმატებით ფუნქციონირებენ ანალოგიური ეკონომიკური ბაზის, მსგავსი განვითარების დონის და ფინანსური, შრომითი და ბუნებრივი რესურსების მქონე სხვა ქვეყნებში;
- ურთიერთკავშირები ადგილობრივ ან ტრანსნაციონალური კორპორაციებთან;
- არსებული წარმოების შესაძლებელი გაფართოება ინტეგრაციის საფუძველზე;
- დივერსიფიკაციის შესაძლებლობა,
- საწარმოო სიმძლავრეების შესაძლებელი გაფართოება ეკონომიის მისაღებად, რაც განპირობებულია წარმოების მასშტაბის ზრდით;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და სწრაფად განვითარებადი ეკონომიკით საერთაშორისო ბაზარს სთავაზობს მზარდ და ათვისებად პოტენციალს. იგი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ დასავლეთ და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ადმინისტრაციული ცენტრი: ბათუმი, ფართობი: 2.9 ათასი კვ.კმ (საქართველოს ტერიტორიის 4.2 %), მოსახლეობა: 400 ათასი, სამხრეთით ესაზღვრება თურქეთს, გააჩნია 5 ადმინისტრაციული რაიონი: ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური და ქობულეთი. აჭარა საქართველოს შავი ზღვისპირეთის მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს. ეკონომიკური რეფორმები წარმატებით ხორციელდება რეგიონში, რაც განაპირობებს ინფრასტრუქტურის დინამიურ ზრდას. რეგიონში ხელსაყრელი და მისაღები პირობებია ბიზნესის განვითარებისთვის ტურიზმის, მშენებლობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის

და ასევე ეკონომიკის სხვა სფეროში. რეგიონში საგრძნობლად გაიზარდა კერძო სექტორი. დაახლოებით 80-ზე მეტი სასტუმრო აშენდა სანაპირო ზოლში, მათ შორის ისეთი ცნობილი ბრენდები როგორიცაა „შერატონი", „რედისონი", „ჰილტონი", „ჰაიატი" და „კემპინსკი." რეგიონში სამშენებლო ბუმია. სამშენებლო ტერიტორია 1 400 000 კვ.კმ-ს მოიცავს, რაშიც აქტიურადაა ჩართული როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური კომპანიების შვილობილი სამშენებლო-დეველოპერი კომპანიები.

აჭარის რეგიონში ინვესტიციების ზრდა აისახება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და ლიბერალური რეფორმებით. ამასთან აჭარის რეგიონი გეოეკონომიკური მდებარეობით, განვითარებული ინფრასტრუქტურით, ძლიერი საფინანსო სისტემით, საერთაშორისო ზრდით საკმაოდ მიმზიდველია უცხოელთათვის. ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში, კერძოდ დამატებული ღირებულების ფორმირებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში, დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო სექტორის მიერ როგორც უცხოური ასევე ადგილობრივი წარმოშობის ინვესტიციების განხორციელებას და სტაბილურ/მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში, კერძოდ დამატებული ღირებულების ფორმირებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში, დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო სექტორის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს. 2016 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელდა 428 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია, რომლის 71% შეადგინა უცხოურმა ინვესტიციებმა. 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით კერძო ინვესტიციები 17 პროცენტით არის გაზრდილი. ბოლო წლებში რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკაზე წარმოდგენას გვაძლევს გრაფიკი №6 და გრაფიკი №7.

საინვესტიციო საქმიანობის შეფასების მნიშვნელოვან ცვლადებად განიხილება განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. ინვესტიციების მოცულობა მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით ბოლო წლებში, როგორც ცხრილი №6 ჩანს შეადგენს 15-38%-ს, ხოლო რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე კერზო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ოდენობამ 2016 წელს შეადგინა 1270 აშშ დოლარი (ცხრილი №6).

მნიშვნელოვანია რეგიონში განხორციელებული საინვესტიციო აქტიურობა გაანალიზებულ იქნეს:

- ეკონომიკის სექტორების მიხედვით (გრაფიკი №8);
- ქვეყნების მიხედვით (გრაფიკი №9);
- თვითმართველი ერთეულის მიხედვით (გრაფიკი №10);

გრაფიკი №6. კერძო ინვესტიციების დინამიკა აჭარის ა.რ (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: http://geostat.ge

მნიშვნელოვანია მაღალი საინვესტიციო აქტიურობის სექტორების გამოვლენა არა მხოლოდ სტატისტიკური, არამედ დინამიკური შეფასების თვალსაზრისით, რაც

იძლევა სწრაფად მზარდი საინვესტიციო სექტორების გამოკვეთის საშუალებას.

გრაფიკი №7. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დინამიკა 2009-2016 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: http://geostat.ge

2016 წელს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ეკონომიკური სექტორების მიხედვით მოცემულია გრაფიკი №14-ში, სადაც ნათლად ჩანს, რომ ყველაზე მსხვილი საინვესტიციო ნაკადები მოდის ენერგეტიკის (45,5%), ტურიზმისა (31,6%) და მშენებლობის (20,8%) სექტორებზე (გრაფიკი №15).

ცხრილი №6. საინვესტიციო მაკროპარამეტრები

	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.
ინვესტიციების ცვლილების ტემპი (%)	1.4	2.0	28.3	41.8	32.6	17.0
ინვესტიციების მოცულობა ნომინალურ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით (%)	15.5	15.0	18.0	23.9	37.9	-
მოსახლეობის ერთ სულზე კერძო ინვესტიციები (აშშ დოლარი)	381	386	495	697	1087	1270

წყარო: **http://geostat.ge**

რეგიონის სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრებიდან ყურადღება გასამახვილებელია დამატებულ ღირებულებაზე, რომელიც წარმოდგენილია სექტორული სახით (ცხრილი. №7) და რეგიონულ პროდუქტზე.

გრაფიკი №8. კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების განაწილება სექტორების მიხედვით (2016 წ.)



წყარო: http://geostat.ge

აღნიშნულ მაჩვენებლებზე დაყრდობით აჭარა ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან რეგიონად უნდა მივიჩნიოთ, რაშიც დიდია უცხოური ინვესტიციების წილი. რეგიონში ინვესტიციების მსხვილ მასშტაბებზე მეტყველებს თანამედროვე სასტუმრო კომპლექსისა და გასართობი ინფრასტრუქტურის ინტენსიური მშენებლობები მთელი რეგიონის ფარგლებში. აღნიშვნის ღირსია აგრეთვე მსხვილ მასშტაბიანი ინვესტიციები მშენებლობის სექტორში. დღეს აჭარაში ნამდვილი სამშენებლო ბუმია, ერთდროულად შენდება უამრავი მსხვილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი. ბათუმში ბევრი მსოფლიო სტანდარტის სასტუმრო აშენდა, გაკეთდა ახალი ბულვარი, მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არ არის. როგორც

ჩანს სამშენებლო ბუმი შავი ზღვისპირა ქალაქში ჯერ კიდე წინაა. ამას უკვე მოჰყვა მიწის ნაკვეთებზე ფასების ზრდა, რაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ინვესტორთა გააქტიურებისა და შესაბამისად გაზრდილი მოთხოვნის ლოგიკური შედეგია. ბოლო პერიოდში, აჭარის რეგიონის პოპულარიზაციიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად გაიზარდა მოთხოვნა ზღვისპირა ტერიტორიებზე.

გრაფიკი №9. კერძო ინვესტიციების განაწილება ქვეყნების მიხედვით (აჭარის ა.რ 2015 წ.)



წყარო: http://geostat.ge

აქ მიწის ნაკვეთებს სააგარაკეზე მეტად ბიზნეს-ინტერესებისათვის ყიდულობენ. ამიტომ ბათუმში მიწის ნაკვეთებზე ფასებმა თბილისის ფასებს გაუსწრო. უკანასკნელი წლების განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე პრივატიზებულია დაახლოებით 700 მლნ. ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონება, რაც თავის მხრივ იწვევს დამატებით კაპიტალდაბანდებათა განხორციელებას ინვესტორებისაგან. იქმნება ახალი და ფართოვდება არსებული ბიზნესები. აჭარის რეგიონში ძირითადი მყიდველი ბიზნესმენთა ის კატეგორიაა, რომელიც სასტუმროს დასასვენებელი ან გასართობი კომპლექსის აშენებას გეგმავს. აშენდა "ქართული ანბნის" მონუმენტი, 130 მეტრიანი მონუმენტი

ბულვარში დაიდგა და მას კოშკის ფორმა აქვს. მასზე ანბანის ასოები თანმიმდევრულად არის განლაგებული, კოშკის თავზე რესტორანი, კაფეები, ობსერვატორია და ტელესტუდია მოეწყო და ანძის ფუნქციასაც ასრულებს. კოშკის თავზე დაიდგა სფეროს ფორმის მინის კონსტრუქცია, სადაც მოთავსდება წრიული მოძრავი რესტორანი, რომლის ერთ სრულ ბრუნს 60 წუთში შეასრულებს. მშენებლობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინვესტიციით განხორციელდა. ფერიის მთაზე აშენდა ბათუმი ფუნიკულიორი.

გრაფიკი №10. კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების განაწილება თვითმართველი ერთეულის მიხედვით (2016წ.).



წყარო: http://geostat.ge

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად 2010 წელს აჭარაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ მიაღწია 375 მლნ ლარს და მოცემულ წელს უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი (კერძო ინვესტიციებიდან) იყო საგრძნობლად მაღალი (73.5%) (დიაგრამა №12).

.

ცხრილი №7. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	81,7	75,7	94,8	118,5	133,8	134,7	142,1
მრეწველობა	95,6	87,5	129,8	131,0	152,3	159,3	170,5
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	48,8	49,7	60,8	58,7	62,2	62,9	65,7
მშენებლობა	107,7	142,5	142,6	200,0	223,9	316,0	323,9
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	144,4	195,6	197,6	196,5	243,7	292,1	296,9
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	86,6	103,9	110,4	114,5	122,4	153,3	185,0
სახელმწიფო მმართველობა	206,7	215,9	284,4	188,0	180,1	170,6	183,1
განათლება	76,0	84,9	109,0	115,8	120,0	143,4	152,4
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	114,6	117,4	147,6	121,7	120,6	150,3	168,0
მომსახურების სხვადასხვა სახეები	223,3	305,8	344,9	430,7	439,1	457,1	506,8
მთლიანი დამატებული ღირებულება, სულ	**1 185,3**	**1 378,9**	**1 621,9**	**1 675,4**	**1 798,1**	**2 039,7**	**2 194,3**

წყარო: http://geostat.ge

აღსანიშნავია ისიც, რომ დასრულდა მსოფლიო ბრენდის სასტუმროთა მშენებლობა, რაც ბათუმს შესანიშნავ იერსახეს მატებს და ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება. ეს სასტუმროებია: Sheraton Palace, Radisson Blue, Piazza, Hilton. დასრულდა ასევე ისეთი გრანდიოზული კონსტრუქციების მშენებლობა როგორებიცაა, გასართოვი ცენტრი თავისი რესტორნებით „არგო", სასტუმრო ,,Kempinski," ბათუმის კონსერვატორია, Sokar & McDonalds, ,,Hotel Belle Vue;" ,,Sea Shore Hotel;" სასტუმრო ,,Rainbow" ყოფილი ფოსტის ტერიტორიაზე და სასტუმრო ,,hayat;" აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ინვესტორები ქობულეთითაც დაინტერესდნენ. პრეზიდენტის ინიციატივის თანახმად ინვესტორი ქობულეთის თავისუფალ ტურისტულ ზონაში სასტუმროს აშენების შემთხვევაში 15 წლის განმავლობაში მოგების და ქონების გადასახადისგან განთავისუფლდება. ქვეყნის მთავრობა ქობულეთის თავისუფალ ტურისტულ ზონაში მოქმედ ინვესტორებთან დათმობაზე მიდის. როგორც ირკვევა, კანონპროექტის თავდაპირველ ვარიანტში ტურისტულ ზონაში სასტუმროს ჩაბარების ბოლო ვადა 2011 წლის პირველი სექტემბერი იყო და თუ ინვესტორი მშენებლობას ვადებში ვერ დაასრულებდა, ობიექტი ჩამოერთმეოდა. თუმცა, ტურისტული ზონის შესახებ კანონპროექტის ბოლო ვარიანტით, მშენებლობის ვადას სპეციალური კომისია ყველა ინვესტორისთვის ინდივიდუალურად დაადგენს. პარლამენტმა კანონი დაამტკიცა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი საჰაერო მოძრაობის მართვის ახალი „თაუერის" მშენებლობაა. „თაუერის" მშენებლობის დროს 1 200 კაცამდე, ხოლო ოპერირების პროცესში 500 კაცამდე დასაქმდება. სანავიგაციო კოშკის პროექტი ესპანურმა საპროექტო კომპანიამ „CMD-Architect" მოამზადა, ხოლო თვითონ პროექტს ქართული სამშენებლო კომპანიები განახორციელებენ. „თაუერის" საფუძველი 900 მ2 დაიკავებს, ხოლო მისი სიმაღლე 130 მ იქნება. 2006 წელს კომპანია „აჭარა რიზორთს ჰოლდინგ ბი.ვი"-ის მიერ პრივატიზებული იქნა სს „აჭარის კურორტები" (21 ტურისტული ობიექტი) და სს „მესხეთის" აქციათა პაკეტი, სადაც უნდა აშენდეს და ექსპლუატაციაში შევიდეს თანამედროვე ტიპის სასტუმრო კომპლექსები. ამასთან სასტუმრო მესხეთის ადგილზე ასევე უნდა აშენდეს 5 ვარსკვლავიანის სასტუმრო, რომელსაც ოპერირებას გაუწევს „რამადა." შპს „GIMG" შპს „ბათუმის ცენტრალური სტადიონის" ადგილას უზრუნველყოფს თანამედროვე დონის სასტუმრო კომპლექსის, ბიზნეს-ცენტრის, აშენებასა და

ექსპლუატაციაში შეყვანას. კომპანია განახორციელებს 35 000 000 აშშ დოლარის ინვესტირებას და დასაქმებულია არანაკლებ 500-მდე ადამიანი. ასევე დღეისათვის მშენებლობის პროცესშია უამრავი მსხვილიმრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი. 2012 წ. ბათუმში მრავალფუნქციური სასტუმროს საცხოვრებელი კომპლექსი "პორტა თაური" (Porta Batumi Tower) მშენებლობა დაიწყო, რომელიც ერთ-ერთი ავანგარდული პროექტი და ყველაზე მაღალი სასტუმრო საცხოვრებელი კომპლექსია საქართველოში. მისი განხორციელებისთვის საქართველოში 70 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. თავისი დიზაინითა და კონსტრუქციით "პორტა თაუერი" მსოფლიო დონის პროექტია, რომელიც აშენებულია უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღსანიშნავია 2017 წ. კვარიათში ახალი სასტუმრო კომპლექსისი "თვინ თაუერსისი" მშენებლობა, რომელსაც არაბეთის გაერთიანებული საემიროებში მოღვაწე კომპანია "გრინ ვალეი დეველოპმენტი" ახორციელებს. "თვინ თაუერსი" არის ერთ-ერთი პირველი დიდი არაბული ინვესტიცია საქართველოს ტერიტორიაზე. რეგიონში განხორციელდა 30 მლნ ოდენობის ინვესტიცია, რაც მნიშვნელოვანია რეგიონის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს და უზრუნველყობს სამუშაო ადგილების შექმნას, დასაქმდება 500-მდე საქართველოს მოქალაქე. აღსანიშნავია აგრეთვე ბათუმში განსახორციელებელი პროექტი მოიცავს სასტუმრო კომპლექსს, რომლის საერთო მოცულობა 74000 მ.კვ. შეადგენს და ორ ოცდარვა და ერთ ოცსართულიან ნაგებობას ითვალისწინებს. კომპლექსი განთავსდება ერთ-ერთი ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი რეგიონში, სპორტულ გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ზონა, ზღვისპირა რესტორნები და კაფე-ბარები, შიდა და გარე ავტოსადგომი. პროექტის საერთო ინვესტიცია 30 მლნ აშშ დოლარს შეადგენს და მშენებლობა 2021 წლის ზაფხულში დასრულდება. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დეველოპერული პროექტის განხორციელების მიზნით კომპანია "გრინ ვალი"-იმ ბათუმში, კერძოდ გონიოს დასახლებაში კერძო საკუთრებაში არსებული 14381 კვ.მ არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შეიძინა. აღნიშნული კომპანია 2004 წელს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში დაარსდა. ძირითადი მიმართულებას წარმოადგენს უძრავი ქონების დეველოპმენტი, რომელსაც იგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ახორციელებს. საქართველოს მიმართულება კომპანიისათვის ახალია. აღსანიშნავია, რომ ბათუმში კიდევ ერთი საერთაშორისო ბრენდი "ქორთიართ მარიოტი" დაიწყებს ფუნქციონირებას. ბრენდი ოპერირებას შპს "ალიანსის" 150 ნომრიან სასტუმროს გაუწევს. აღნიშნულ

პროექტში 30 მლნ. აშშ დოლარის განხორციელება იგეგმება; სასტუმროს მშენებლობა 2017 წ. დასრულდება, ბრენდი კი ოფიციალურად 2019 წელს დაიწყებს ფუნქციონირებას. დაიწყო "მეტრო ატლას ჯორჯიას" სასტუმროსა და სამორინეს მშენებლობა, ახალი პროექტის მიხედვით რეგიონში 20 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. აგრეთვე 30 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება იგეგმება შპს "ეიერ-მერიდიანსის" მიერ, რომელმაც დაიწყო სასტუმრო, აპარტამენტების, სამორინეს, საკონფერენციო დარბაზის, სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის და სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტების მშენებლობა. დაპროექტდა "გმირთა ხეივნის" ტერიტორია, რაც ახალი მშენებლობების და ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას იძლევა. ამ ეტაპზე გასხვისებულია 3 მიწის ნაკვეთი, რომლის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 31 მლნ აშშ დოლარია. ტერიტორიაზე მშენებლობები 2016 წ. დაიწყო.

ზემოთ აღნიშნული არის მოკლე ჩამონათვალი იმ პროექტებისა, რომლის მშენებლობაც დასრულდა, ახლა მიმდინარეობს ან უახლოეს მომავალში დაიწყება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ყველაფერი ეს კი ერთ მიზანს ემსახურება, აჭარის რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას და უფრო მეტი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში.

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და მოდერნიზაცია, რეგიონებში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და საინოვაციო პროექტების დაფინანსება, მოწინავე ტექნოლოგიების და ცოდნის დანერგვა მოითხოვს დიდ კაპიტალს. საქართველოს დანაზოგების დაბალი დონის, შემოსავლების მობილიზების შეზღუდული შესაძლებლობებისა და, ამის შედეგად, ძირითად კაპიტალში ინვესტირების დაბალი მაჩვენებელის გათვალისწინებით, ერთადერთი გზა, რომლითაც ქვეყანას შეუძლია ძირითადი კაპიტალის დაგროვება და მოდერნიზაცია, არის ინვესტირება.

ასეთ დროს, ბუნებრივია, მკვეთრად იზრდება უცხოური დაფინანსებისა და ინვესტიციების როლი, რომლებიც ფიზიკური და ფინანსური კაპიტალის შეხიდებით განაპირობებენ არამარტო შესაძლებლობების, მატერიალური სიმდიდრისა და ახალი სამუშაო ადგილების გენერირებას, არამედ ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას და დამატებითი ღირებულების შექმნას ე.წ ექსტრაფინანსური სარგებლის და ტექნოლოგიური დიფუზიის ხარჯზე. ტექნოლოგიური დიფუზია არის ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების, მოწინავე მენეჯერული გამოცდილების, პროდუქტიულობის ზრდის მასტიმულირებელი იდეებისა და ნოუ-ჰაუთა გაზიარება და ტრანსფერი მიმღებ ქვეყანაში. აღნიშნული

ტიპის ინვესტიციებს თან ახლავს მოწინავე ცოდნა პროდუქციის გადამუშავების მეთოდების, პროდუქციის შეფუთვისა და დიზაინის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და, ასევე, ბაზრის განვითარებისა და სტრატეგიის შესახებ. ეს საწარმოო რესურსები და ნაკადები, როგორც წესი, შემოედინება ინვესტიციების თანადროულად, რაც უზრუნველყოფს პროექტების მდგრადობას და იძლევა ტექნიკური ინოვაციების ათვისების შესაძლებლობას. ტექნოლოგიურ ტრანსფერს თან ახლავს მიმღები ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარებაზე ორიენტირებული უცხოელი ინვესტორების ინიციატივები, კერძოდ, ადგილობრივი მუშახელის შრომის ნაყოფიერების ზრდის ხელშემწყობი ტრენინგების ჩატარება, თანამედროვე მენეჯმენტის პრაქტიკის და სხვადასხვა საორგანიზაციო ხასიათის ინოვაციების დანერგვა, საჭიროა სპეციალური საგადასახადო სტიმულების შექმნა ქვეყნის რეგიონებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და ინოვაციების წასახალისებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარების კომისიის მიერ შემუშავებულ საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციებში 2011 – 2017 წლებისათვის, აღნიშნულია, რომ მოხდება ორი წლის განმავლობაში გადასახადებისაგან გათავისუფლება ან დიფერენცირებული საგადასახადო შეღავათების შემოღება იმ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელდება ქვეყნის რეგიონებში (თბილისის გარდა). აქვე აღნიშნულია, რომ „მსგავსი ტიპის შეღავათების აუცილებელ წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს ინვესტორის მიერ შემდეგი ვალდებულებების აღება:

- განხორციელებული ინვესტიციის მთლიანი მოცულობის არანაკლებ 2% უნდა ითვალისწინებდეს კვლევა-განვითარების ხარჯებს;
- განხორციელებული ინვესტიციის მთლიანი მოცულობის არანაკლებ 1% უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი ადამიანური რესურსების ტრენინგის და გადამზადების ხარჯებს;
- ადგილობრივად პროდუქციის წარმოების შემთხვევაში, მოცემული პროდუქციის არანაკლებ 30% უნდა იყოს საექსპორტო;
- დასაქმებული მუშა ხელის და სხვა ადამიანური რესურსების არანაკლებ 70% უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობა;

- განხორციელებული ინვესტიცია უნდა ითვალისწინებდეს ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერს და ადგილობრივ სამიმწოდებლო ბაზართან მჭიდრო ურთიერთობას“ (37. გვ, 85).

რადგან, აღნიშნული პირობების შესრულება პირდაპირპროპორციულ კავშირშია დამატებით, დიფერენცირებულ საგადასახადო შეღავათებით სარგებლობასთან, იგი ეფუძნება მხოლოდ კორპორატიული დისკრეციისა და ნებაყოფლობითობის პრინციპს და ინვესტორის მხრიდან ინტერესის არ ქონის შემთხვევაში, მისი საქმიანობა რჩება არსებული საინვესტიციო და საგადასახადო კანონმდებლობის რეჟიმში. აღნიშნული მიდგომა არის მთავრობის საინვესტიციო პოლიტიკის ოპტიმიზაციის ძალისხმევა შექმნას დამატებითი სტიმულები მეტი უცხოური ინვესტიციის მოსაზიდად და გაზარდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული სარგებელი და მათი დამატებული ღირებულება ე.წ. ექსტრაფინანსური სარგებლის (ინვესტირება და რეინვესტირება კვლევა-განვითარებასა და ადამიანური რესურსების განვითარებაში, მოწინავე ტექნოლოგიების და ცოდნის ტრანსფერი) წახალისებით და ამ მიმართულებით ლიბერალური, მაგრამ აქტიური სამთავრობო პოლიტიკის განხორციელებით.

საინვესტიციო პოლიტიკა, როგორც სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლიობა, ზემოქმედებს იმ სუბიექტურ განსხვავებებზე, რომლებიც ქმნიან ინვესტიციურ კლიმატს. მისი აქტუალიზაცია ხდება ინვესტიციური საქმიანობის რეგულირების სტრატეგიის შემუშავებითა და რეალიზაციით. ინვესტიციური პოლიტიკა არის ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესების ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და არის როგორც რეგიონის ეკონომიკაზე, ისე მეურნე სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობაზე ზემოქმედების ბერკეტი.

„ინვესტიციური პოლიტიკის უმთავრესი მიზანის ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატისა და ინვესტიციური პოტენციალის გააქტიურებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა. მის ძირითად მიმართულებებად განიხილება ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია სამამულო და უცხოური ინვესტორების საქმიანობის ხელსაყრელი რეჟიმის შექმნასთან” (43. გვ, 62). რაც შემოსავლიანობის გადიდებისა და რისკების მინიმიზაციისათვის სტაბილური ეკონომიკური და სოციალური განვითარების და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნებიდან გამომდინარეობს. მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა ყველა მეურნე სუბიექტისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, ინვესტიციური

საქმიანობის გამოცოცხლების, ეკონომიკური აღმავლობის, წარმოების ეფექტიანობის ზრდის და სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის არის სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკა.

რეგიონის მოსახლეობისა და ინვესტორების ინტერესებიდან გამომდინარე ღონისძიებათა სისტემა რომელიც ტარდება რეგიონის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის დონეზე და ხელს უწყობენ ინვესტიციური რესურსების მობილიზაციასა და მათი ეფექტური და რაციონალური გამოყენების მიმართულებების დადგენას წარმოადგენს რეგიონულ ინვესტიციურ პოლიტიკას. თანამედროვე პირობებში ეფექტიანი რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგი ძირითადი პრინციპების განვითარებას:

- ინვესტიციური საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფის სრულყოფას;
- ინვესტიციური პროგრამების სტრატეგიულ მიმართულებებზე ინვესტიციური პოლიტიკის კონცენტრირების განხორციელებას;
- რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკის ფარგლებში კორპორაციათა ძალისხმევის გაერთიანებას ერთობლივი ინტერესების რეალიზების მიზნით;
- განვითარების დადებითი და უარყოფითი ტენდენციების სისტემატიურ მონიტორინგ;
- ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის შექმნას და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

როგორც ცნობილია, ინვესტიციურ პოლიტიკას ყველა რეგიონში გარკვეული თავისებურებები ახასიათებს, რასაც განპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა;
- არსებული სამრეწველო პოტენციალის მასშტაბი;
- ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ენერგო რესურსების აღჭურვის დონე;
- გეოგრაფიული მდებარეობა და გეოპოლიტიკური მდგომარეობა;
- დემოგრაფიული ვითარება;
- უცხოური ინვესტიციებისათვის რეგიონის მიმზიდველობა და სხვა.

ინვესტიციათა არსებული თეორიების თანახმად, ინვესტიციური პოლიტიკის ძირითად პრინციპს წარმოადგენს:

- მიზანმიმართულობა;
- ეფექტურობა;
- მრავალვარიანტულობა;

- მოქმედებათა რეგულირებადობა;
- სისტემურობა;
- მოქნილობა;
- რესურსების ათვისებისათვის მზადყოფნა;
- კომპლექსურობა;
- სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური უსაფრთხოება.

ამასთან, „ეს პრინციპები უნდა რეალიზდებოდნენ როგორც მეურნე სუბიექტის, ისე მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანოთა დონეზე." (42, გვ. 24)

ინვესტირება უნდა განხორციელდეს რეგიონში სოციალურ დინამიკასთან კავშირში, და უნდა უზრუნველყოს დასაქმების, რეგიონის მოსახლეობის სასიცოცხლო დონის, რეგიონული ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში მუშაკების კვალიფიკაციის ზრდის ამაღლება. სხვაგვარად, ინვესტიციები უნდა იყოს დაკავშირებულნი რეგიონის მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის განვითარებასთან. გარდამავალ ეკონომიკაში ეს პრობლემა ღებულობს განსაკუთრებით აქტუალურ ხასიათს.

სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების დონეზე ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებას და შესაბამისად, ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესებას. იგი ორიენტირებული უნდა იყოს ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე საქმიანი ადამიანებისათვის.

საინოვაციო პროცესის კვლევის მეთოდოლოგია როგორც რეგიონის კონკურენტუნარიანობის განვითარების ერთ-ერთი ხერხი, ეკონომიკურ მეცნიერებაში წარმოადგენს რთულ კატეგორიას. მის საფუძველს კი წარმოადგენს მთელი რიგი ფაქტორების და ტენდენციების, სხვადასხვა მიმართულების მქონე მრავალვარიანტული შეფასება.

ნაშრომში, რეგიონული ინვესტიციების ზრდის დაჩქარებისთვის გამოვიყენეთ კოეფიციენტები კრიტერიუმების ზრდის სახით. მიმართულების კრიტერიუმის ასარჩევად, რომლითაც საინვესტიციო რესურსები გადანაწილდება ძირითადად გამოვიყენეთ აქსელერატიული ტიპის კოეფიციენტების ანგარიშის შედეგები. ის დარგები სადაც უფრო მეტი აქსელერატიული ეფექტი აღინიშნება შეიძლება განხილული იყოს როგორც პრიორიტეტული დაფინანსების დარგები.

განვიხილოთ ინვესტიციების რეგიონალური მართვის სამი ვარიანტი.

- ✓ პირველ შემთხვევაში ინვესტიციების წილი ვთქვათ ორ პრიორიტეტულ დარგში იზრდება 0.5%-ით და ადგენს რეგიონალური ინვესტიციების საერთო მოცულობის 0.6%-ს.
- ✓ მეორე შემთხვევაში ვთქვათ ინვესტიციების წილი ერთ-ერთ დარგში იზრდება 1%-ით.
- ✓ მესამე შემთხვევა ითვალისწინებს ერთდროულ ზრდას ორივე პრიორიტეტულ დარგში.

ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში დასაშვებია, რომ იმ დარგებში, სადაც მაღალი კოეფიციენტებია ზრდასთან ერთად მოხდეს ინვესტიციების პროპორციული დაწევა წარმოებისა და ეკონომიკის დარგებში, რომლებშიც არ შეინიშნება აქსელერატიული ეფექტები.

ინვესტიციების რეგიონალური მართვის დროს გამოიყენებენ იგივეობის სისტემას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მართვის ორი ტიპის ამოცანების გადასაწყვეტად.

ინვესტიციების რეგიონალური მართვის იგივეობის სისტემა შეიძლება გამოყენებული იქნას საინვესტიციო პროცესების პარამეტრების ფორმირებისას. საინვესტიციო პროცესის პარამეტრები განისაზღვრება გაფართოების კოეფიციენტების ანალიზის საფუძველზე, რომელიც დასაშვებია იყოს მოდიფიცირებული განაწილების ეფექტის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ მმართველობის გადაწყვეტილების მომენტიდან მისი ეფექტის გამოვლენა შეიმჩნევა ორ წელში. პირველ რიგში მიიღება გადაწყვეტილება ინვესტიციების რეციპენტების ცვლილებაზე, თვითონ ინვესტიციების სტრუქტურის ზრდა ხდება შემდგომ პერიოდში.

თუ რეგიონალურ მთავრობას არ აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება საინვესტიციო პარამეტრების მოცულობის ზრდაზე აქსელერატიული ეფექტის გამოყენების გზით, მაგრამ შეუძლია კორექტირება მაკროეკონომიკური პროპორციისა, გამოიყენება ინვესტიციების რეგიონალური მართვის იგივეობის სისტემა.

მოცემული იგივეობის სისტემის გამოყენება იყოფა ოთხ ეტაპად:

- პირველი ეტაპის ამოცანა არის რეგიონალური მთავრობის მიერ, როგორც მართველი ქვესისტემისა, განსაზღვროს ინვესტიციების მიზნობრივი მნიშვნელობა და მისი ზრდა მოკლევადიან პერიოდში (1-2წ). რეგიონალურმა

მთავრობამ ისინი უნდა დაადგინოს, როგორც ფედერალური მთავრობის რეკომენდაციებით და მითითებებით, ასევე რეგიონის განვითარების ტემპების საკუთარი წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მაგალითია რეგიონალური განვითარების პროგრამა და რეგიონალური ბიუჯეტი.

- მეორე ეტაპის ამოცანაა შემდგომი ანგარიშისათვის საინფორმაციო ბაზის ფორმირება. მის ფარგლებში ხორციელდება პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, რომელიც აუცილებელია ძირითადი მაკროეკონომიკური აგრეგატების რეტროსპექტიული და პროგნოზული მნიშვნელობის შესაფასებლად.

გაფართოების კოეფიციენტის შესაფასებლად გამოიყენება მონაცემები ძირითად მაკროეკონომიკურ აგრეგატებზე და ავტონომიური ხარჯების მოცულობაზე, მათ შორის ექსპორტის მოცულობაზე, უცხოურ ინვესტიციებზე, მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერების მოცულობაზე. აქსელერატიული ტიპის გაფართოების კოეფიციენტის შესაფასებლად აუცილებელია მონაცემებში აღნიშნული იყოს დამატებითი ღირებულების მოცულობა გასულ და წინა პერიოდში ეკონომიკური და სამრეწველო დარგების ჭრილში. ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მოზიდვა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს დასკვნები გაკეთდეს მაკროეკონომიკური ტენდენციების მაჩვენებლების ცვლილებაზე მომავალ პერიოდებში. ასეთი ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს საინვესტიციო შეთანხმება უცხოელ პარტნიორებთან ან დამოუკიდებელი გამოკვლევები.

აღსანიშნავია, რომ არსებობს სიძნელეები დარგობრივი აქსელერატორების შეფასებაში. ინვესტიცია განხორციელებული სამრეწველო ქვესისტემაში შეიძლება ვერ უზრუნველყოფდეს მისი შემოსავლების ზრდას. ამიტომ აქსელერატორების შეფასების შესახებ ინფორმაციის მომზადებისას აუცილებელია იმის ანალიზი რამდენადაა ინვესტირება ამა თუ იმ დარგში გამართლებული, არის თუ არა ნამდვილად განპირობებული შემოსავლების შიგა სისტემის ზრდით და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნით.

ინვესტიციების დარგებს შორის გადანაწილების დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს გაფართოებაზე, რომელიც პრაქტიკაში რამდენიმე ინტერაციის გზით მიიღწევა.

პირველი ინტერაციის დროს ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურის პროგნოზირება ხორციელდება რეგიონის ძირითადი მმართველი სუბიექტების მიერ ინვესტიციების სტრუქტურის სავარაუდო მონაცემებზე, ხოლო შემდგომი

ინტერაციის დროს ინვესტიციების სტრუქტურა კორექტირდება აქსელერატიული ტიპის გაფართოების დარგობრივი კოეფიციენტების სიდიდის შესაბამისად.

ამრიგად, ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციები, რეგიონალურ ორგანოებს, შეზღუდული ინვესტიციების მართვის დროს აძლევს შესაძლებლობას გამოიყენოს ინვესტიციები საუკეთესოდ.

საინვესტიციო პოლიტიკის რეგიონულ დონეზე სრულყოფისათვის უნდა განისაზღვროს:

- კონკრეტული საინვესტიციო რეგიონული პრიორიტეტები;
- უნდა ჩატარდეს რეგიონების ფინანსური მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი, რათა დაზუსტდეს რეგიონული თვითდაფინანსების რეალური შესაძლებლობები;
- ცენტრალური ბიუჯეტის საშუალებების განაწილების დროს უზრუნველყოფილ იქნეს რეგიონული და დარგობრივი შეთანაწყობა;
- ჩატარდეს რეგიონული თავისებურებების შედარებით სრული აღრიცხვა რეფორმების გატარების დროს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინვესტიციურ პროცესებზე;
- განხორციელდეს ადგილობრივი ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თანაბარი პირობები რეგიონის ყველა თვითმართველი ერთეულების ინვესტირების მიზნებისათვის.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში საინვესტიციო საქმიანობის იმ წინასწარგანსაზღვრული დონის მიღწევა და შენარჩუნება რომლის ძირითადი მიზანია სტაბილური წარმოების, სოციალური სფეროს განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა აუცილებელია, რომ საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს რეგიონალური საინვესტიციო პროგრამების შემუშავებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ რეგიონალური საინვესტიციო პროგრამების ძირითადი ამოცანები, რომელთა გადაჭრა დააჩქარებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, კერძოდ:

- საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;
- რეგიონის განვითარების ფონდის შექმნა;
- ინვესტიციების დაზღვევის ეფექტური სისტემის ფორმირება;
- რეგიონში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით კვლავ აქტიური საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება;

- რეგიონში ინსტიტუციური ინვესტიციების ხელშეწყობა;
- ინვესტორებისათვის მეთოდური და საკონსულტაციო დახმარების აღმოჩენა.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში ამოქმედებული განსხვავებული საგადასახადო რეჟიმი წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა მისგან მიღებული სარგებელი მხოლოდ შეზღუდულად და ირიბად ემსახურება ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის საერთო სტიმულირებას, მაშინ როცა წარმოდგენილი მიდგომები ითვალისწინებს რეგიონულ დონეზე საინვესტიციო პოლიტიკის ოპტიმიზებას.

ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო პოლიტიკისა და გარემოს მიუხედავად რეგიონული ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების უმნიშვნელო როლი საინვესტიციო პროექტების შემუშავებაში და ადგილებზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში შეუძლებელს ხდის ეკონომიკური პროცესების სათანადო სტიმულირებას რეგიონებში. მიმდინარე პერიოდში, ისინი არ ფლობენ აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად როგორც სათანადო რესურსებს, ისე კარგად ფორმულირებულ და არაორაზროვან სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ამ მხრივ, შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის შექმნა და ეფექტური თანამშრომლობა სამხარეო ადმინისტრაციებსა და შესაქმნელ რეგიონულ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებს შორის მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალს და წაახალისებს უკუკავშირებს ადგილობრივ საწარმოებსა და შემოსულ უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს შორის. რადგან, ადგილობრივ თვითმმართველობებს და რეგიონულ ადმინისტრაციებს საქართველოში არ გააჩნიათ სათანადო გამოცდილება უცხოელი ინვესტორების მოზიდვის თვალსაზრისით,

რეგიონული ადმინისტრაციების ნაყოფიერი საქმიანობა ამ მიმართულებით მოითხოვს აქტიურ თანამშრომლობას მოქმედ ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან. ხოლო თუ გავითვალისწინებთ ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შეზღუდულ ფუნქციებსა და მცირერიცხოვან შტატს (სააგენტო არ შეიმუშავებს საინვესტიციო პროექტებს როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე რეგიონულ დონეზე, შემოიფარგლება ძირითადად საშუამავლო ფუნქციით მთავრობასა და უცხოურ ინვესტორს შორის), აუცილებელი ხდება სააგენტოს დებულების გადასინჯვა და შესაბამისი ინსტიტუციური რეფორმის მომზადება, რაც სხვა საკითხებთან ერთად,

შესაძლოა უკავშირდებოდეს რეგიონებში საინვესტიციო სააგენტოს ფილიალების შექმნას.

რეგიონების როლი საინვესტიციო პროცესებში უმნიშვნელოა. ხშირად, რეგიონის ინოვაციური პოტენციალი არსებითად იზღუდება ფინანსურ-ორგანიზაციული ხასიათის ფაქტორებით, რომლებიც შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

- ფინანსური ხასიათის შეზღუდვები – როგორც ცნობილია ცენტრალური ხელისუფლება უწევს კონტროლს რეგიონის ეკონომიკის მიერ შექმნილი ფულადი სახსრების ძირითად მასას;
- ტერიტორიული ხასიათის შეზღუდვები - რეგიონისთვის შეუძლებელი ხდება მის ტერიტორიაზე არსებული, მაგრამ იმგვარად ინტეგრირებულ საწარმოთა ინოვაციური პროგრამის განხორციელება, რომელთა გამაერთიანებელი ცენტრი მდებარეობს რეგიონის გარეთ.
- სპეციფიკური რეგიონული შეზღუდვები – როგორც ცნობილია თანამედროვე პირობებში, ფულადი ნაკადები უმთავრესად მიმართულია არსებული ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდასაჭერად.

ზემოთ აღნიშნული სიძნელეების გადასალახათ აუცილებელი რგოლია რეგიონის განვითარების შედეგებზე ორიენტირებული სტრატეგია - საინოვაციო-საინვესტიციო რეგიონული სტრატეგია, რომელსაც შეუძლია ცალკეულ რეგიონებში განსაკუთრებული საინოვაციო სისტემის და საგადასახადო სტიმულების შექმნით, შესაძლებელი გახადოს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა რესურსის ეფექტური გამოყენება. არსებობს ინოვაციური პროექტების სტიმულირებისა და გადასახადების ოპტიმიზების რამდენიმე შესაძლებლობა, რომელიც მოიცავს:

- ინოვაციური პროექტების განმახორციელებელი საწარმოების გადასახადებისაგან დროებით განთავისუფლებას;
- საგადასახადო დანახარჯების სადაზღვევო გადასახადად გარდაქმნას; ეს უკანასკნელი აერთიანებს საგადასახადო და სადაზღვევო მექანიზმებს, ქმნის საფინანსო საფუძველს საინოვაციო პროექტების სადაზღვევო მხარდაჭერისთვის;

- ლიზინგური სქემებით ოპერირებას, რაც საშუალებას იძლევა უფრო აქტიურად და მოქნილად მოხდეს ინოვაციური ტექნოლოგიების ტრანსფერი და განვითარება.

ზემოთ აღნიშნული სტრატეგიის შემუშავება და განხორციელებას დადებით ზეგავლენა ექნება, როგორც რეგიონული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, ისე მთლიანად რეგიონის განვითარებაზე. კაპიტალური დანახარჯების დაფინანსების გათვალისწინებით საერთაშორისო პრაქტიკაში გამომუშავებულია იჯარის ელემენტების გამოყენება საკრედიტო ვალდებულებების დაფინანსებაში, სადაც ფინანსური და მატერიალური ნაკადები შერწყმულია ურთიერთქმედების ერთიან კომპლექსში, ფინანსურ-ქონებრივ ურთიერთობაში. ამ დროს წარმოქმნილი ურთიერთობათა კომპლექსი არის ლიზინგი, რომელიც ფართოდ გავრცელდა უკანასკნელ პერიოდში. საქართველოში ინოვაციური სისტემური გარდაქმნების საფუძველი უნდა გახდეს ლიზინგური ურთიერთობების პრობლემის დაყენების, პერსპექტივის და განვითარების კანონზომიერების შემდგომი შესწავლა და მისი ეფექტური დანერგვა.

რეგიონში ინოვაციური ლიზინგური სისტემის დასამკვიდრებლად აუცილებელია ინოვაციური ლიზინგური ურთიერთობების რეალიზაციის სფეროს განსაზღვრა და ლიზინგური ურთიერთობების საინოვაციო ბაზრის ფორმირება.

აღნიშნული ინფორმაციის შესაქმნელად რეგიონში უნდა განხორციელდეს საინვესტიციო პროექტის მრავალსაფეხურიანი შეფასება:

- ეკონომიკის სექტორის, ეროვნული ეკონომიკის დარგების დონეზე (შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ საინვესტიციო პროდუქტის სავარაუდო მასშტაბი და სამეურნეო სუბიექტ ინვესტორის რანგი);
- რეგიონის და მისი პოტენციალის დონეზე;
- საწარმოოს საინვესტიციო პროექტის დონეზე.

ინვესტორების დაინტერესების სტიმულირების მიზნით კონკრეტული პროექტების შესაძლებლობების გამოკვლევებს უნდა გააჩნდეს გარკვეული საბაზო ინფორმაცია, თანაც არ არის საკმარისი უბრალოდ საქონლის ჩამონათვალი, რომლის წარმოებისათვის არსებობს შიდა პოტენციალი. ასეთი ანალიზი დაფუძნებული უნდა იყოს საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ან რეგიონის, საწარმოო სექტორის, რესურსების საერთო შესაძლებლობების გამოკვლევის

მასალებზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციის განხორციელების ამოსავალ წერტილად.

ასევე, აუცილებელია ინოვაციური ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ინოვაციური ლიზინგური ურთიერთობების ობიექტურ-სუბიექტური სტრუქტურის გამოვლენა, ეკონომიკურ სისტემაში მიკრო, მეზო და მაკროდონეებზე მათი სპეციფიური ფუნქციების და თავისებურებების რეალიზაცია. ამდენადვე აუცილებელია ინოვაციური ლიზინგური ურთიერთობის სახელმწიფო სტიმულირების შესაძლებლობის შემდგომი შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების შეთავაზება.

აქტუალურია რეგიონალური სადაზღვევო და საფინანსო ბაზრის განვითარების საკითხებიც. შეიძლება აღინიშნოს, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში რეგიონის საფინანსო-ეკონომიკური განვითარება საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.

მიმდინარე ეტაპზე საქართველოში არ არის ნათელი საფინანსო ბაზრის სუბიექტების პოზიციები, მცირეა მტკიცე ფინანსური მდგომარეობის ბანკები, პრაქტიკულად არ არსებობენ კერძო საპენსიო ფონდები, სადაზღვევო ფონდები სრულყოფილად ვერ ახორციელებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს.

ამრიგად, ეკონომიკას ესაჭიროება სტრატეგიული ინვესტორები. შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია დადებითი პოტენციალი, უცხოური პირდაპირი ისვეტიციების მოსაზიდად.

2.2 მშენებლობის სექტორის ანალიზი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

სამშენებლო ბიზნესის სირღმისეული შესწავლა აშკარად ხაზს უსვამს, რომ მას აქვს გადამწყვეტი როლი ეკონომიკის განვითარებასა და ქვეყანაში სიმდიდრის შექმნაში. ეს სექტორი თავისი შინაარსით არის მეტად რთული და კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს უამრავ ე.წ. მონაწილე სუბიექტებს: კლიენტები, კონსულტანტები, ინჟინრები და არქიტექტორები, ფინანსისტები, სადაზღვევო კომპანიები, მთავარი კონტრაქტორები და სხვა. სამშენებლო ბიზნესი აგრეთვე წარმოადგენს ბოლო მომხმარებელს სხვადასხვა მრეწველობის დარგებისა, როგორიცაა ფოლადის, ცემენტის და ა. შ. წარმოება და მცირე მრეწველობის როგორიცაა საღებავი, მილები და ა. შ. წარმოება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორი მზარდი ბაზარია, წლების განმავლობაში სექტორი სწრაფად ვითარდებოდა ბაზარზე უცხოური კომპანიების შემოსვლის გამო. აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნეს სექტორი ასახავს რეგიონის ეკონომიკაში არსებულ ბიზნესის განვითარების ტენდენციებს და ეკონომიკური საქმიანობის ძირითად ვექტორებს.

სამშენებლო ბიზნესის ეკონომიკური აქტიურობის ერთ-ერთმა ინდიკატორმა, როგორიცაა ბრუნვის მაჩვენებელი 2015 წელს შეადგინა 787.6 მლნ ლარი, ხოლო პროდუქციის გამოშვებამ – 823,8 მლნ ლარი. სამშენებლო ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა განისაზღვრა 10230 კაცით, რომელთა სშუალო თვიური ანაზღაურება იგივე პერიოდისათვის არის 1522.8 ლარი. სამშენრბლო ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა 2005-2015 წლებში მოცემულია ცხრილი №8-ში, ხოლო ნახაზი №4-ში მოცემულია ზრდის ტენდენციები 2014 წლის მაჩვენებლებთან მიმართებაში.

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ორგანული შემადგენელი ნაწილია რეგიონებში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება, რაც თავის მხრივ, რეგიონული ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს წარმოადგენს.

ცხრილი №8. სამშენებლო ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა 2005-2015 წლებში

სამშენებლო ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა 2005-2015 წწ.					
	ბრუნვა (მლნ. ლარი)	პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)
2005 წ.	53.5	52.9	-	2883	-
2006 წ.	94.1	94.0	37.6	4942	309.9
2007 წ.	138.1	138.1	54.9	4740	401.8
2008 წ.	239.2	240	86.1	5351	553.5
2009 წ.	184.1	191	72.4	5591	608.8
2010 წ.	208.1	218.9	84.6	4064	846.9
2011 წ.	326.5	327.9	117.0	6267	749.7
2012 წ.	494.8	536.1	204.1	8177	754.4
2013 წ.	460.2	512.2	255.6	8767	883.3
2014 წ.	662.1	740.4	266.4	10181	933.6
2015 წ.	787.6	823.8	332.8	10230	1522.8

წყარო: **http://geostat.ge**

ნახაზი №4. ზრდის ტენდენციები 2014 წლის მაჩვენებლებთან მიმართებაში



წყარო: **http://geostat.ge**

2015 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილმა მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ (მიმდინარე ფასების მიხედვით) შეადგინა 2194.3 მლნ ლარი, ხოლო რეგიონში ამავე პერიოდში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების დარგობრივ/სექტორულ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით გამოირჩევა მომსახურების სხვადასხვა სახეები (საფინანსო შუამავლობა, სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება, უძრავი კონების გაქირავება და სხვა მომსახურება), რომელთაც უკავიათ მთლიანი დამატებული ღირებულების 23%, ასევე მაღალი ხვედრითი წონა აქვს მშენებლობას 15% (გრაფიკი №11).

აღსანიშნავია, რომ მშენებლობის სექტორში მთლიანი დამატებული ღირებულების საშუალო ზრდის ტემპმა 2010-2015 წლებში შეადგინა 24%. ხოლო მშენებლობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების დინამიკა 2006-2015 წლებში მოცემულია გრაფიკი №12-ში.

გრაფიკი №11. აჭარის რეგიონის მთლიანი დამატებული ღირებულება სექტორების მიხედვით



წყარო: **http://geostat.ge**

გრაფიკი №12. მშენებლობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების დინამიკა 2006-2015 წლებში



წყარო: http://geostat.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშენებლობის შექტორში ბრუნვა და პროდუქციის გამოშვების დინამიკა 2005-2015 წლებში მოცემულია გრაფიკი №13-ში.

გრაფიკი №13. მშენებლობის სექტორში ბრუნვა და პროდუქციის გამოშვების დინამიკა 2005-2015 წლებში



წყარო: http://geostat.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ (სამუშაო ძალამ) 2015 წელს შეადგინა 200.7 ათასი კაცი, რაც რეგიონის მთლიანი მოსახლეობის 60%-ია. აქტიურ მოსახლეობაში დასაქმებლთა რაოდენობა განისაზღვრა 170.4 ათასი კაცით, რომელშიც 69.1 ათასი კაცი (41%) მოდის დაქირავებულ პირებზე, ხოლო 101.1 ათასი (59%) – თვით დასაქმებულებზე. უმუშევრობის დონე აღნიშნული პერიოდისათვის შეადგენდა 15.1%-ს. რაც შეეხება,

ამავე პერიოდის მშენებლობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობას, აღნიშნული მონაცემი 2015 წლის მდგომარეობით 10230 ადამიანია (გრაფიკი №14), რომელიც სულ რეგიონის ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის 14.7% შეადგენს (გრაფიკი №15).

გრაფიკი №14. მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2005-2015 წწ.



წყარო: http://geostat.ge

2015 წლის მონაცემებით რეგიონში სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 1522.8 (ლარი) შეადგინა. ამავე პერიოდში შრომის ანაზრაურება სექტორულად შემდეგნაირად გამოიყურება (გრაფიკი №16).

გრაფიკი №15. მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2005-2015 წწ.



წყარო: http://geostat.ge

2015 წლის მონაცემებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მშენებლობის სექტორი პირველ ადგილზე იყო პროდუქციის გამოშვების მიხედვით, დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზე, ხოლო ბრუნვის მიხედვით მეორე ადგილზე (გრაფიკი №17, გრაფიკი №18, გრაფიკი №19).

გრაფიკი №16. შრომის ანაზღაურება სექტორულად 2015 წ.



წყარო: http://geostat.ge

2016 წლის მონაცემებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მშენებლობის სექტორში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა არის 829 სამშენებლო კომპანია, მცირე საწარმო არის 614 სამშენებლო კომპანია, საშუალო საწარმო 153 სამშენებლო კომპანია და მსხვილი საწარმო 62 სამშენებლო კომპანია (გრაფიკი №20).

გრაფიკი №17. მშენებლობის სექტორული პოზიცია 2016 წ.



წყარო: **http://geostat.ge**

გრაფიკი №18. მშენებლობის სექტორული პოზიცია 2016 წ.



წყარო: **http://geostat.ge**

გრაფიკი №19. მშენებლობის სექტორული პოზიცია 2016 წ.



წყარო: **http://geostat.ge**

სამშენებლო სექტორის მონაწილე მსხვილი სამშენებლო კომპანიებია:

- შპს "ანაგი"
- შპს "ორბი ჯგუფი"
- სს "ია-ფეთ იალჩინი"
- შპს "DAR BUILDING"
- შპს "SEASIDE"
- შპს "ლამინი გრუპი"
- შპს "DS GROUP"
- შპს "გუმბათი ჯგუფი"
- შპს "რეალ პალასი"

- შპს “პროგრესი 4”

  რეგიონში სამშენებლო მასალების მწარმოებელი მსხვილი კომპანიები არის:

გრაფიკი №20. მშენებლობის სექტორულში მოქმედი საწარმოები ზომების მიხედვით 2016 წ.



წყარო: http://geostat.ge

- შპს “ჰაიდელბერგი”
- შპს “დისკ-მ”
- შპს “გზა”
- შპს “ტრანსკავკასიის კრისტალი”
- შპს “ორბი ბეტონი”
- შპს “ლუკა”
- შპს “ზიმო-7”
- შპს “ლუგო”

- შპს “ბეთლემი 2011”
- შპს “ბათუმის საწარმოო კომბინატი”

გლობარულმა საფინანსო კრიზისმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა უძრავი ქონების ბიზნესს, ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებიც მსოფლიო საფონდო ბაზრის პასიური მონაწილენი არიან. მათ შორისაა საქართველოც, სადაც სამშენებლო ბიზნესზე უარყოფითი გავლენა მსოფლიო კრიზისამდე რუსეთ-საქართველოს კომპლიქტმა მოახდინა. დეველოპერული კომპანიები საქართველოში საკრედიტო რესურსების სიმწირესა და ობიექტების გაყიდვების რაოდენობის შემცირებას უჩივიან. ბიზნესის გადარჩენის მიზნით სამშენებლო ფირმები ინვესტორებს უცხოეთში ეძებენ.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები ხელს უწყობს საერთაშორისო ფინანსების მოზიდვას ქვეყანაში ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის, რომელსაც უდიდესი ეფექტი აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსები.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციებმა ინფრასტრუქტურის პროექტებში ასევე შესაძლოა გამოიწვიოს მშენებლობის სექტორში მოთხოვნის ზრდა ადგილობრივი სამშენებლო კომპანიებისათვის. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები ზრდის კონკურენციას უცხოელ კონტრაქტორებს შორის, რაც იწვევს პროექტების ღირებულების შემცირებას, მაგრამ აღნიშნულ ფაქტორს შეიძლება მოყვეს ადგილობრივი სამშენებლო კომპანიების ზრდის შესაძლებლობების შემცირება. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებით რეციპიენტ ქვეყანაში შემოედინება თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც ქვეყნის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას და ადგილობრივი კომპანიების განვითარებას განაპირობებს. როდესაც სახელმწიფო გადასცემს უცხოურ ფირმებს დიდ და კომპლექსურ პროექტებს, მთავრობამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, ერთის მხრივ დაბალი ღირებულებით განახიორციელოს პროექტები და მეორეს მხრივ ხელი შეუწყოს ადგილობრივი ფირმების განვითარებას, რათა მომავალში ადგილობრივმა ფირმებმა შეცვალონ უცხოელი კონტრაქტორები.

ცხადია, რომ მიზნები უცხოური სამშენებლო ფირმებისა და მასპინძელი განვითარებადი ქვეყნის მთავრობების სხვადასხვაა. გრძელვადიან პერიოდში ადგილობრივ სამშენებლო ფირმებსა და მათი უცხოელი კოლეგებს შორის

სხვაობა ტექნოლოგიების, საფინანსო და მართვის სფეროში, შეიძლება აღმოიფხვრას გაცვლით. თუმცა უცხოური ფირმები წინააღმდეგი არიან მათი ტექნოლოგია გადასცენ ადგილობრივ ფირმებს, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი კვებავენ და ზრდიან მომავალ კონკურენტებს.

როგორც ცნობილია საქართველოს ადგილობრივი კაპიტალის შესაძლებლობები მოკძალებულია, ამიტომ არის რომ ქვეყნის წინაშე მდგარი პრიორიტეტული ამოცანების რიცხვში უმთავრესია უცხოური კაპიტალის მოზიდვა. ბოლო პერიოდში დაწყებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა საქართველოს მსოფლიო მაშტაბით დაუმკვიდრა ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი ქვეყნის იმიჯი. 2016 წელს აჭარის რეგიონში მშენებლობის წილი კერძო სექტორის ინვესტიციებში განისაზღვრა 20.8%.

2016 წლის მონაცემებით მშენებლობის სექტორის წილი 13% საბანკო სასესხო პორტფელში არის (გრაფიკი №21).

სამშენებლო სექტორის კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია გაანალიზებულ იქნეს მშენებლობის ტიპები გაცემული ნებართვების მიხედვით და მშენებლობის ფართობები გაცემული ნებართვების მიხედვით, რომლის დინამიკა 2013-2016 წწ.

გრაფიკი №21. მშენებლობის სექტორის წილი საბანკო სასესხო პორტფელში 2016 წ.



წყარო: http://geostat.ge

მონაცემებით მოცემულია დიაგრამა №22 და დიაგრამა №23.

კვლევამ ცხადყო, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორი ხასიათდება:

- ფინანსური რესურსების ნაკლებობით;
- დაბალი მენეჯერული უნარებით;
- დაბალი ტექნოლოგიური ცოდნით;
- დაბალი ინოვაციური ინიციატივებითა და არაეფექტიანი პროდუქტიულობით;
- მწვავე კონკურენციით;

გრაფიკი №22. მშენებლობის ტიპები გაცემული ნებართვების მიხედვით 2016 წ.



წყარო: http://geostat.ge

კულტურის ელემენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ბაზარზე. უცხო ქვეყანაში ბიზნესი მოითხოვს იმ ქვეყნის კულტურულ

მოთხოვნილებებთან ადაპტირებას, რაშიც იგულისხმება მოლაპარაკებების ფორმების, გადახდის სისტემების ორგანიზაციული სტრუქტურის, პროდუქტის რეკლამირების მორგება ქვეყნის კულტურასთან. როგორც ცნობილია ყველა ფირმას აქვს თავისი კორპორატიული კულტურა რომელიც ასახავს ორგანიზაციის ისტორიას, ზომას, კორპორატიულ მიზნებსა და ამოცანებს, წარმოების ტექნოლოგიებს, ბაზარს და საოპერაციო გარემოს. მშენებლობის სფეროში, სადაც რამდენიმე ორგანიზაცია დროებით ურთიერთიერთქმედებენ პროექტზე, ორგანიზაციის კულტურის გათვალისწინება მნიშვნელოვანია. კულტურულ საკითხების მმართვის უნარი, განსაკუთრებით მრავალ კულტურულ სიტუაციებში, რომლებიც გვხდება მსხვილი სამშენებლო პროექტების განხორციელებისას საწინდარია პროექტისა და კორპორატიული წარმატების.

გრაფიკი №23. მშენებლობის ტიპები გაცემული ნებართვების მიხედვით 2016 წ.



წყარო: http://geostat.ge

აღნიშნული ინფორმაციის შესაქმნელად რეგიონში უნდა განხორციელდეს საინვესტიციო პროექტის მრავალსაფეხურიანი შეფასება:

- ეკონომიკის სექტორის, ეროვნული ეკონომიკის დარგების დონეზე (შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ საინვესტიციო პროდუქტის სავარაუდო მასშტაბი და სამეურნეო სუბიექტ ინვესტორის რანგი);
- რეგიონის და მისი პოტენციალის დონეზე;
- საწარმოოს საინვესტიციო პროექტის დონეზე.

ინვესტორების დაინტერესების სტიმულირების მიზნით კონკრეტული პროექტების შესაძლებლობების გამოკვლევებს უნდა გააჩნდეს გარკვეული საბაზო ინფორმაცია, თანაც არ არის საკმარისი უბრალოდ საქონლის ჩამონათვალი, რომლის წარმოებისათვის არსებობს შიდა პოტენციალი. ასეთი ანალიზი დაფუძნებული უნდა იყოს საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ან რეგიონის, საწარმოო სექტორის, რესურსების საერთო შესაძლებლობების გამოკვლევის მასალებზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციის განხორციელების ამოსავალ წერტილად.

გლობალიზაციის პირობებში აუცილებელია ფირმებმა შეიმუშაონ პროცედურებისა და ურთიერთობების ისეთი პრაქტიკა, რომელშიც გათვალიწინებული იქნება სხვადასხვა საზოგადოებისა და ფირმების კულტურის ელემენტები. მშენებლობის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე განვითარებული ქვეყნების სამშენებლო ფირმები ორიენტირებულნი არიან გრძელვადიან პერიოდზე და მუდმივად ახორციელებენ ინვესტირებას ადამიანურ რესურსებში, ტექნოლოგიასა და კვლევა და განვითარებაში, რათა გააფართოვონ მათი საქმიანობის სფერო.

საქართველოში სამშენებლო ფირმების უმრავლესობა ხასიათდება მოკლევადიან პერიოდზე ორიენტაციით, პროფესიონალიზმის დაბალი დონით, მშენებლობის დასრულებაზე ნაკლები ფოკუსირებით და არაკვალიფიციური პერსონალით. სწორედ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები უწყობს ხელს ადგილობრივი სამშენებლო ფიმები განვითარდნენ, გახდნენ აქტიურები, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო სამშენებლო ბაზარზე.

აღსანისნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია კონკურენტუნარიანობის დონე, როგორც ტექნოლოგიური განვითარების, ასევე ეროვნული ბიზნეს გარემოს ხარისხის

მიხედვით. აუცილებელია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნესმა გაზარდოს მონაწილეობა გლობალურ საწარმოო და გასაღების ქსელებში. მიზანშეწონილი იქნებოდა, მაღალტექნოლოგიურ და გლობალურ კომპანიებთან ალიანსების შექმნა. საქართველომ, ისევე, როგორც ნებისმიერმა ეკონომიკურად მზარდმა ქვეყანამ, სამშენებლო სექტორის განვითარებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია სცადოს სპეციალიზაციის ადაპტირება გარე სამყაროსთან და შეფარდებითი უპირატესობა მოიპოვოს მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი ზრდა და გლობალურ ბაზრებზე ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის კვლევის მეთოდოლოგია და ანალიზი

3.1 აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია კვლევის ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური სფეროა. ეს არის დეტალური გეგმა და სტრატეგია, თუ როგორ მოვახდინეთ კვლევაში დასმულ კითხვაზე სავარაუდო პასუხის გაცემა კვლევის ჰიპოთეზის ფორმით და მონაცემების შეგროვება. კვლევის მეთოდი არის მიდგომა, რომელსაც მეცნიერი იყენებს მონაცემთა შესაგროვებლად (22, გვ. 15).

აღნიშნულ თავში განვიხილავთ შემდეგ საკითხებს: კვლევის დიზაინს, შერჩეულ რესპოდენტებს, ნიმუშის ზომას, შერჩევის ტექნიკას, მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებს, საპილოტე კვლევას, კვლევის მოქმედების და საიმედოობის ინსტრუმენტს, როგორც მონაცემთა ანალიზის მეთოდს.

კვლევის დიზაინი – კვლევის დიზაინი არის გეგმა, რომელიც საშუალებას აძლევს მეცნიერს გადაწყვიტოს კვლევაში დასმული პრობლემები, აძლევს მას მიმართულებას კვლევის სხვადასხვა საფეხურზე (87, გვ. 153). თ. დიქსონი კვლევის დიზაინს განსაზღვრავს, როგორც სტრატეგიას რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კვლევის დაგეგმვას, ან სტრატეგიის დაპროექტებას რაღაცის მოსაძიებლად (87).

აღნიშნულ კვლევაში შევისწავლით უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორზე, ამიტომ ნაშრომში გამოვიყენეთ კვლევის შემდეგი მეთოდები: ისტორიული, აღწერითი და კორელაციური კვლევა. მკვლევარი ლ. გეის თანახმად ისტორიული კვლევა მოიცავს დოკუმენტებისა და წყაროების სისტემურ ძიებას, რომელიც შეიცავს ფაქტებს, ისტორიულ კითხვებს წარსულზე, იმ მიზნით რომ უკეთ იქნეს გაგებული აწმყო და შევძლოთ მომავლის პროგნოზირება (94, გვ. 14-15).

ჰ. კისის აზრით, საარქივო ჩანაწერები გულისხმობს კითხვებზე პასუხის გაცემას, არსებული ჩანაწერები შეიძლება მეცნიერულ კითხვაზე პასუხისთვის საჭირო მონაცემებს იძლეოდნენ (22, გვ. 16). მიუხედავად იმისა, რომ

აღწერილობითი კვლევა მოიცავს ჰიპოთეზების შესამოწმებლად მონაცემების შეგროვებას, ან პასუხს კითხვებზე დაკავშირებულს კვლევის საგნის მიმდინარე სტატუსთან. აღნიშნული მეთოდი გამოვიყენეთ კვლევაში, რადგან მეთოდი საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ მონაცემების შეგროვება კვლევაში არსებული ჰიპოთეზების ტესტირებისათვის. მეცნიერი ე. ოგბონმვენი კორელაციას განსაზღვრავს, ორი ცვლადის ურთიერთმიმართების ხარისხის დადგენის მცდელობას (112). კორელაცია თავისთავად ცვლადებს შორის წრფივი დამოკიდებულების საზომია.

მეცნიერი ჰ. კისი კორელაციურ კვლევას განსაზღვრავს შემდეგნაირად, "კორელაციური კვლევა გულისხმობს კვლევას, რომელშიც იზომება ორი ან რამდენიმე ცვლადი, რათა გაირკვეს მათი კავშირის მიმართულება და ხარისხი. ამ კვლევებში არც ერთ ცვლადზე არ ხდება მანიპულირება და შესაბამისად არ არსებობს დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები" (22, გვ. 349).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში შევეცადეთ გაგვერკვია არსებობს თუ არა რაიმე კავშირი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადებსა (დამოუკიდებელი ცვლადი) და სამშენებლო სექტორის (დამოუკიდებელი ცვლადი) განვითარებას შორის.

კვლევაში მონაწილე რესპოდენტები – კვლევაში მონაწილე რესპოდენტები ჩართულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო პროექტებში. რესპოდენტები ოთხ კატეგორიად დავაჯგუფეთ. ესენი არიან სამშენებლო ინდუსტრიის ძირითადი მონაწილეები:

- კლიენტები;
- სამშენებლო პროფესიონალები (არქიტექტორები, ამგეგმავები, ინჟინრები, მშენებლები და სხვები);
- რეგისტრირებული კონტრაქტორები;
- სხვები.

ნიმუშის ზომა – მკვლევარი ბ. გუფთას თქმით, არსებობს ნიმუშის ზომის განსაზღვრის რამდენიმე მიდგომა (97). მეცნიერ თ. იამანეს მიაჩნია, რომ აღწერითი კვლევა ტარდება მცირე რაოდენობის მოსახლეობის (მაგალითად 200-მდე ან ნაკლები) ფარგლებში, თუმცა მიღებული შედეგები შეიძლება განზოგადდეს მოსახლეობის უფრო დიდ რაოდენობაზე (122, გვ. 45).

კვლევის პროცესში მონაცემების შეგროვების მიზნით მოვახდინეთ იმ მოსახლეობის სეგმენტის გამოკითხვა, რომელიც ჩართული იყო სამშენებლო პროექტებში. მას შემდეგ რაც ჩავატარეთ წინასწარი კვლევა და განვსაზღვრეთ მასში მონაწილე 95 რესპოდენტი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სამშენებლო პროექტებში, მოვახდინეთ ნიმუშის ზომის შესწავლა.

ცხრილი №9. რესპოდენტების ნიმუშის ზომა

№	**რესპოდენტები**	**ბათუმი**	**ქობულეთი**	**სულ**
1.	გეოზისტები	9	4	13
2.	არქიტექტორები	7	2	9
3.	ინჟინრები	15	5	20
4.	მშენებლები	10	5	15
5.	კონტრაქტორები	5	2	7
6.	კლიენტები	10	5	15
7.	სამშენებლო კომპანიის მენეჯერები	16		16
	სულ:	72	23	95

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე.

ცხრილი №9-ში მოცემულია ნიმუშის ზომის გამოკითხული რესპოდენტების მიხედვით წინასწარი კვლევა. გამოკითხული რესპოდენტები ჩართულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო პროექტებში.

შერჩევის ტექნიკა – მეცნიერმა ო. აჯემ გამოთქვა მოსაზრება, რომ რესპოდენტთა შერჩევა, რომლებზეც დაკვირვებით შესაძლებელია დასკვნების გაკეთება დიდი ხანია მიღებულია, როგორც კვლევის სწრაფი და ლეგიტიმური მეთოდი. შერჩევის ყველაზე გავრცელებული მეთოდი არის გამოკითხვა, რომელიც გულისხმობს მონაცემების მიღებას ადამიანების ზეპირი ან წერილობითი ინტერვიუებით (70, გვ. 25).

გამოკითხვაზე დაფუძვნებულ კვლევაში შერჩევის მეთოდის გამოყენება ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული. ჩვენ გამოვკითხეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში არსებული 16 კომპანიაში დასაქმებული მუშაკები. აღნიშნული კომპანიები არიან, როგორც ადგილობრივი, ასევე ტრანსნაციონალური კომპანიის შვილობილი ფირმები.

სამშენებლო სექტორი ხასიათდება საქმიანობის ფართო სპექტრით. სექტორი შეიძლება პირობითად დავყოთ სამ ძირითად სფეროდ:

- საცხოვრებელი ბინების სამშენებლო საქმიანობა;
- საწარმოო სამშენებლო საქმიანობა;
- ინფრასტრუქტურის სამშენებლო საქმიანობა.

ჩვენ მივმართეთ კომპანიებს ყველა აღნიშნული მიმართულებით მთელ სამშენებლო სექტორში.

კომპანიაში სადაც დასაქმებულია 50-დან 99-მდე თანამშრომელი ითვლება საშუალო ზომის კომპანიად, ხოლო დიდი ზომის სამშენებლო კომპანიაში დასაქმებულია მინიმუმ 100 თანამშრომელი. საშუალო და დიდ ფირმებს გააჩნიათ ცოდნა მთლიანი ბაზრის შესახებ, ხოლო მცირე ფირმებს ადგილობრივი ბაზრის შესახებ. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ არ ვართ დაინტერესებული საბაზრო ინფორმაციის მცირე ნაწილით და გვაინტერესებს მთელი სექტორი, ამიტომ, კვლევისათვის შევარჩიეთ საშუალო და დიდი სამშენებლო ფირმები.

მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები – მონაცემების შეგროვება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია კვლევის პროცესში. არსებობს კვლევის სხვადასხვა სტრატეგია, რომელთა გამოყენება შესაძლებელია.

ჩვენი აზრით, ყველაზე შესაბამისი სტრატეგია, რომელიც პასუხობს კვლევაში დასმულ კითხვებს და ამოცანებს არის გამოკითხვის მეთოდი. გამოკითხვა გულისხმობს მონაცემების მიღებას ადამიანების ზეპირი ან წერილობითი ინტერვიუებით (22, გვ. 16). გამოკითხვა ძირითადად ტარდება კითხვარით. კვლევაში აღნიშნული სტრატეგია ავირჩიეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს არის ყველაზე ეფექტიანი გზა, რომ შევაგროვოთ საჭირო ინფორმაცია და გარდა ამისა, გამოკითხვა არ შეიძლება იყოს ისეთი ფართო, როგორც სხვა კვლევის სტრატეგიები. იგი იძლევა კვლევის პროცესის კონტროლის საშუალებას. წინასწარ შედგენილი კითხვარის გარდა ჩავატარეთ სატელეფონო გამოკითხვაც (გამოვიკითხეთ საშუალი და დიდი 16 სამშენებლო კომპანიის მენეჯერი).

კითხვარი და სატელეფონო ინტერვიუ – როგორც აღვნიშნეთ, კითხვარით და სატელეფონო ინტერვიუთი მოვახდინეთ კვლევის ძირითადი მონაცემების შეგროვება. კითხვარი არის ცნობილი სტრატეგია, საჭირო მონაცემების შეგროვების მარტივი და მოსახერხებელი გზა.

მეორეს მხრივ, ასევე ცნობილია, რომ რესპოდენტებმა შეიძლება უპასუხოს კითხვებს დაფიქრების გარეშე, რათა უბრალოდ, თავი დააღწიონ კითხვარს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხვის პროცესი ჩატარდეს სწორად შედგენილი კითხვარით, სწორი დიზაინის მიხედვით. გამოკითხვის პროცესში შევქმენით მეგობრული გარემო.

ასევე აღსანიშნავია, რომ სატელეფონო გამოკითხვას აქვს ჩვეულებრივ პასუხების მაღალი დონე და ის ძალიან საიმედოა, რადგან ეს არის მარტივი გზა რათა უზრუნველყოთ, რომ მოპასუხე იყოს ის, ვინც ჩვენ გვჭირდება და უფრო დეტალურად მივიღეთ ინფორმაცია დამატებითი კითხვების დახმარებით, ვიდრე ანკეტური გამოკითხვის დროს. როდესაც რესპოდენტს აქვს ნდობა, გამოკითვაში მონაწილეობის სურვილი და გააჩნია ცოდნა თემის ირგვლივ მიიღწევა გამოკითხვის საიმედო შედეგები.

გამოკითხვის ანკეტაზე მუშაობის პროცესი – იმისათვის, რომ ვუპასუხოთ კვლევის კითხვებსა და ამოცანებს, ანკეტაში მოცემული შეკითხვები უნდა განვსაზღვროთ ძალიან ზუსტად და ამავე დროს ისინი უნდა იყოს გასაგები რესპოდენტისთვის. კითხვარი არის მონაცემების შეგროვების ერთ-ერთი მეთოდი, რადგან ანკეტით ძნელია მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია. ამიტომ, გამოვიყენეთ დამატებით სატელეფონო ინტერვიუს მეთოდი.

ანკეტა შედგება 20 კითხვისაგან, რომელიც მოიცავს პასუხს კვლევაში ჩამოყალიბებულ ყველა ჰიპოთეზაზე. ანკეტის ოთხი კითხვა ეხება უშუალოდ სამშენებლო კომპანიას, რათა გავიგოთ კომპანიის მიზანი და ამოცანები, ხოლო დანარჩენი თვრამეტი კითხვა დაგვეხმარება გავიგოთ რესპოდენტების მოსაზრება სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შედეგების შესახებ და თუ რა მოლოდინები აქვთ მომავალში. ანკეტის მეხუთე, მეათე, მეცამეტე, მეთხუთმეტე, მეთვრამეტე და მეოცე კითხვები ქმნიან რეიტინგს, ხოლო მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და მეცხრამეტე კითხვები წარმოადგენს შეკვითხების ერთობლიობას, სადაც რესპოდენტმა შეიძლება აირჩიოს პასუხი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მის კომპანიას. ანკეტაში არის შემდეგი ტიპის კითხვა რესპოდენტი დაინტერესებული იქნებოდა თუ არა კვლევის საბოლოო შედეგით.

განლაგება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ანკეტის შედგენის დროს. ანკეტა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ რესპოდენტისათვის მარტივი იყოს მისი შევსების პროცესი (იხ: ანკეტის ნიმუში).

ანკეტის ნიმუში.

გთხოვთ შეავსოთ ანკეტა შესაბამისი მონაცემებით.

მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

1. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი პროფესიული კვალიფიკაცია:
   ---
2. რამდენი თანამშრომელი მუშაობს თქვენს კომპანიაში?
   - 1-10 { }
   - 11-50 { }
   - 50-ზე მეტი { }
3. რესპოდენტის სამუშაო გამოცდილება სამშენებლო სექტორში.
   - 10 წელზე ნაკლები { }
   - 11-20 წწ. { }
   - 21-30 წწ. { }
   - 30 წელზე მეტი { }
4. ფირმის მდებარეობა

- ადგილობრივი {}
- უცხოური {}

5. არის თუ არა ფირმაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები?
   - დიახ {}
   - არა {}
6. თუ ზემოთ კითხვაში, აირჩიეთ პასუხი დიახ გთხოვთ მიუთითოთ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების საერთო ღირებულება პროექტში, ან ბოლო 5 წლის განმავლობაში
   - 5000000-ზე ნაკლები {}
   - 5000000-10000000 {}
   - 10000000-ზე მეტი {}
7. გთხოვთ შეაფასოთ ქვემოთ მოცემული ფაქტორები, რის გამოც შეიძლება უცხოელ ინვესტორებს არ სურდეთ ინვესტირება ადგილობრივ სამშენებლო სექტორში.

(5=სრულიად ვეთანხმები 4=ვეთანხმები 3=ნაწილობრივ ვეთანხმები 2=არ ვეთანხმები 1=სრულიად არ ვეთანხმები)

განსაზღვრული ფაქტორები:

- მოგების მიღების ხანგძლივი დრო 5 4 3 2 1
- სუსტი მენეჯერული უნარები 5 4 3 2 1
- თანამედროვე ტექნოლოგიების არ არსებობა 5 4 3 2 1
- ქვეყანაში არსებული კორუფციის დონე 5 4 3 2 1
- ინოვაციური პროცესების დეფიციტი 5 4 3 2 1
- ინფრასტრუქტურის განვითარების დონე
- სხვა (გთხოვთ მიუთითოთ)——————————— 5 4 3 2 1

8. გთხოვთ შეაფასოთ ქვემოთ მოცემული ფაქტორებით, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებით მიღებული სარგებელი სამშენებლო სექტორში

(5=სრულიად ვეთანხმები 4=ვეთანხმები 3=ნაწილობრივ ვეთანხმები 2=არ ვეთანხმები 1=სრულიად არ ვეთანხმები)

განსაზღვრული ფაქტორები:

- ტექნოლოგიური ტრანსფერის ეფექტი 5 4 3 2 1
- ინფრასტეუქტურის განვითარება 5 4 3 2 1
- ადგილობრივ საწარმოთა განვითარება 5 4 3 2 1
- კონკურენციის ზრდა 5 4 3 2 1
- სხვა (გთხოვთ მიუთითოთ)——————————— 5 4 3 2 1

9. გთხოვთ შეაფასოთ ქვემოთ მოცემული ფაქტორებით. თქვენი აზრით რა უშლის ხელს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებას სამშენებლო სექტორში?

(5=სრულიად ვეთანხმები 4=ვეთანხმები 3=ნაწილობრივ ვეთანხმები 2=არ ვეთანხმები 1=სრულიად არ ვეთანხმები)

განსაზღვრული ფაქტორები:

- ინფრასტრუქტურა 5 4 3 2 1
- პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა 5 4 3 2 1
- ღირებულება 5 4 3 2 1
- გლობალური რისკები 5 4 3 2 1
- ბუნებრივი რესურსები 5 4 3 2 1
- კორუფცია და მექრთამეობა 5 4 3 2 1
- სხვა (გთხოვთ მიუთითოთ)——————————— 5 4 3 2 1

10. მოელით მეტ კონკურენციას სამშენებლო სექტორში მომავალი წლის განმავლობაში?

- დიახ { }
- არა { }

თუ უპასუხეთ არა გთხოვთ გააგრძელოთ კითხვარის შევსება 14 კითხვიდან.

11. რომელი სახის კომპანიებისგან მოელით მეტ კონკურენციას?

- ადგილობრივი კომპანიები { }
- უცხოური კომპანიები { }

- ადგილობრივი და უცხოური კომპანიები {}

12. ვთქვათ კონკურენცია გავლენას ახდენს თქვენი კომპანიის საქმიანობაზე. როგორ რეაგირებთ?
    - ვმუშაობ უფრო ეფექტიანად {}
    - ვითანამშრომლებ სხვა კომპანიებთან {}
    - გავაფართოვებ სამუშაო არეალს {}
    - სხვა (გთხოვთ მიუთითოთ)——————
13. მოელით კონსოლიდაციის პროცესს სამშენებლო სექტორში?
    - დიახ {}
    - არა {}
14. ხართ თუ არა მზად ითანამშრომლოთ სხვა კომპანიებთან?
    - დიახ, უცხოურ კომპანიებთან {}
    - დიახ, ადგილობრივ კომპანიებთან {}
    - არა {}
15. როგორ ფიქრობთ, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ მულტიეროვნული კორპორაციებისაგან?
    - დიახ {}
    - არა {}
16. რა სახის ცოდნა იქნება სასარგებლო თქვენთვის?
    - ცოდნა ბიზნესის კეთების გზის შესახებ {}
    - ცოდნა ბაზრის შესახებ {}
    - ცოდნა მომხმარებელთა საჭიროების უკეთ გაგების შესახებ {}
    - ცოდნა სამუშაო ძალისა და რესურსების ეფექტური გამოყენების შესახებ {}
17. თქვენი აზრით, როგორ მიიღებთ ცოდნას უცხოური კომპანიისგან?
    - ქსელის საშუალებით {}
    - ტრანსნაციონალური კორპორაციების თანამშრომლებზე სამუშაოს შეთავაზებით {}
    - ტრანსნაციონალური კორპორაციებთან კონტაქტით {}
    - სხვა (გთხოვთ მიუთითოთ)——————

18. გაქვთ თუ არა მომავალში მოლოდინი ფინანსურ რესურსებზე მარტივად ხელმისაწვდომობის?
    - დიახ {}
    - არა {}
19. გთხოვთ მიუთითოთ რატომ გაქვთ მომავალში მოლოდინი ფინანსურ რესურსებზე მარტივად ხელმისაწვდომობის?
    - მარტივად ხელმისაწვდომობა კაპიტალის ბაზრების {}
    - ნაკლები ჩარევა ხელისუფლების მხრიდან კომპანიების საქმიანობაში {}
    - თანამშრომლობა უცხოურ ინვესტორებთან {}
20. გაიტერესებთ თუ არა კვლევის საბოლოო შედეგი?
    - დიახ {}
    - არა {}

გმადლობთ თანამშრომლობისთვის.

შენიშვნა: ანკეტა შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ანკეტის განლაგება არის მარტივი, მკაფიო და ადვილად გასაგები რესპოდენტისათვის. თემა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი ცვლადები არ არის ცნობილი ყველასათვის, ამიტომ, კითხვარი შევადგინეთ ისე, რომ სიტყვები ყოფილიყო განსაზღვრული მარტივად და გასაგებად.

კვლევაში განვიხილავთ თექვსმეტი სტრატეგიული მენეჯერის სატელეფონო გამოკითხვის შედეგებსა და მიღებული ანკეტური გამოკითხვის შედეგებს. პასუხები ასახავს რესპოდენტთა მოლოდინს სამშენებლო ბიზნესზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მომავალში ზეგავლენის საკითხებს.

ჩვენ კვლევაში შეგვიძლია მივიღოთ დაშვებული ჰიპოთეზა პასუხების მაჩვენებლების გათვალისწინებით. თუმცა გამოკითხვის შედეგები მიუთითებს კომპანიების მოლოდინს, რომელიც დაკავშირებულია სამშენებლო სფეროზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ეფექტზე. რადგან კვლევაში მოცემული

გრაფიკები ეფუძვნება კითხვარის პასუხებს, ამიტომ აღნიშნულის გათვალისწინებით გრაფიკების ღირებულება არ უნდა გადავაფასოდ.

კვლევაში მონაცემების ანალიზისათვის დამატებით გამოვიყენეთ დისპერსიული ანალიზის მეთოდი. დისპერსიული ანალიზი – დისპერსია ახასიათებს შემთხვევითი სიდიდის გაფანტულობას მისი საშუალო მნიშვნელობის მიმართ. დისპერსიული ანალიზი არის სტატისტიკური კრიტერიუმი, რომელიც გამოიყენება მრავალდონიანი სქემების ანალიზისათვის (22, გვ. 216).

მეცნიერები რ. ფელოუს და ა. ლუის განმარტებით დისპერსიული ანალიზი გამოიყენება ორი ან მეტ ნიმუშს შორის განსხვავებების მნიშვნელობის შესამოწმებლად (89, გვ. 89).

HO: μ1 = μ2 = ……..= μn

HI: μ1 ≠ μ2 ≠ ……....≠ μn (1)

დისპერსიული ანალიზის მეთოდი გულისხმობს, რომ თითოეული ნიმუში დგება ჩვეულებრივ რესპოდენტთა ჯგუფისაგან; ხოლო თითოეულ რესპოდენტთა ჯგუფს გააჩნია თანაბარი დისპერსია ანუ

$$F = \frac{\text{ჯგუფებს შორის არსებული დისპერსიის შეფასება}}{\text{ჯგუფებს შიგნით არსებული დისპერსიის შეფასება}} \quad (2)$$

დისპერსიის ნიმუში გამოისახება ფორმულით:

$$S^2 = \frac{\sum (\bar{n} - n)^2}{n-1} \quad (3)$$

ნიმუშების მნიშვნელობებს შორის დისპერსია გამოისახება ფორმულით:

$$S^2_n = \frac{\sum (\bar{n} - \bar{n})^2}{K-1} \quad (4)$$

სადაც n არის ფართობი (ანუ ყველა ნიმუშის არითმეტიკული მნიშვნელობა); K არის ნიმუშების რაოდენობა. ხოლომ O თავისი მნიშვნელობით, როგორც სტანდარტული ცდომილება, არის O/n.

მეცნიერების რ. ლევინი და დ. რუბინის აზრით, მოსახლეობის დისპერსიული აღრიცხვა ანუ ჯგუფებს შორის დისპერსია გამოისახება ფორმულით:

$$o^2 = \frac{\sum n_j (n_j - \quad n)^2}{K-1} \qquad (5)$$

სადაც nj არის ელემენტების რაოდენობა j-ში.

ჯგუფებს შიგნით არსებული დისპერსია გამოისახება ფორმულით:

$$S^2 = \frac{\sum n (n - \quad n)^2}{n-1} \qquad (6)$$

მოსახლეობის დისპერსიის აღრიცხვა, ანუ ჯგუფის შიგნით არსებული დისპერსია ასევე გამოისახება ფორმულით:

$$o^2 = \sum \frac{(n_j - 1)^2}{(n_T - K)} S_j^2 \qquad (7)$$

სადაც $nT = \Sigma nj$.

თუ F —>1, ალბათობა იმისა, რომ ნულოვანი ჰიპოთეზა Ho ჭეშმარიტია ექსპერიმენტში იზრდება; ხოლო თუ F მნიშვნელობა იზრდება, მაშინ ალბათობა იმისა, რომ ნულოვანი ჰიპოთეზა Ho ჭეშმარიტია ექსპერიმენტში მცირდება.

მრიცხველის თავისუფლების ხარისხი ტოლია (K – 1), ხოლო მნიშვნელის თავისუფლების ხარისხი ტოლია (nT – 1); F დისტრიბუცია და თავისუფლების შესაბამისი დონე კვლევაში განსაზღვრულია ცხრილების საშუალებით.

ასევე, თუ Fcal < Ftab ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილი იქნება. მეცნიერი ჰ. კისის განმარტებით მნიშვნელობის დონე არის ალბათობის მნიშვნელობა, რომელიც იძლევა ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფის პირობას სტატისტიკურ კრიტერიუმში (22, გვ. 232). კვლევაში მნიშვნელობის დონედ აღებულია 5%, ანუ უარყოფის მდებარეობა 0.05-ია მნიშვნელობის დონისათვის.

ეკონომიკაში ხშირად ერთი ცვლადის მოცემულ მნიშვნელობას შეიძლება შეესაბამებოდეს სხვა ცვლადის მნიშვნელობათა სიმრავლე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევაში გამოვიყენეთ რეგრესული მოდელები.

რეგრესიული მოდელები ეს არის მეთოდები, რომლის საშუალებითაც ხდება საუკეთესო აპროქსიმაციის ფუნქციის აგება მოცემული მონაცემებისათვის. მეცნიერი თ. იამანე რეგრესიულ ანალიზს განსაზღვრავს, როგორც ტექნიკას,

რომელიც ადგენს მათემატიკურ მოდელს ან განტოლებას კვლევის პროცესში შეგროვებული მონაცემებისათვის (113, გვ. 89).

რეგრესიული ანალიზის ძირითადი მიზანია დაადგინოს კავშირი შემთხვევით ცვლადებს შორის და შეაფასოს კავშირის მნიშვნელობები (პარამეტრები). რეგრესიული ანალიზით შეისწავლება დამოუკიდებელი X ცვლადის (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების) გავლენა დამოუკიდებელ Y ცვლადზე (სამშენებლო სექტორზე).

ფუნქციური კავშირი დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის შესაძლებელია აღიწეროს გარკვეული განტოლებით, რომელსაც რეგრესიის განტოლება ეწოდება. რეგრესიული ანალიზის საშუალებით განისაზღვრება რეგრესიის განტოლებაში ამა თუ იმ ფაქტორის შემოღების აუცილებლობა და ყოველ ნაბიჯზე ფასდება მიღებული რეგრესიის განტოლებების ვარგისიანობა.

კითხვა, რომელიც ხშირად ჩნდება დროის სერიის ანალიზის პროცესში, მდგომარეობს შემდეგში: დაგვეხმარება თუ არა ერთი ეკონომიკური ცვლადი მეორე ეკონომიკური ცვლადის პროგნოზირებაში? მაგალითად, ეკონომიკური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში სამშენებლო სექტორის ზრდას განაპირობებს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდა (137). აღნიშნული ხომ არ ნიშნავს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები არის სამშენებლო საქმიანობის ზრდის მიზეზი ან პირიქით, სამშენებლო საქმიანობის ზრდა ხომ არ არის უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდის მიზეზი? ერთ-ერთი გზა აღნიშნული კითხვის გადასაჭრელად შემოგვთავაზა მეცნიერმა ჯ. გრეინჯერმა (96), რომლის პოპულარიზაცია მოახდინა მეცნიერმა ქ. სიმსმა (119).

1969 წელს მეცმიერი ჯ. გრეინჯერის მიერ იქნა შემოთავაზებული პროცედურა მიზეზ-შედეგობრიობის ტესტირებისათვის. მეცმიერი ჯ. გრეინჯერის გაგებით მომავალი არ შეიძლება იყოს აწმყოსი ან წარსულის. ანუ მიზეზი, როგორც მინიმუმ წინ უნდა უსწრებდეს შედეგს. ამასთან წინსწრების ფაქტი არაფერს გვეუბნება მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე. მნიშვნელოვანია, რომ "მიზეზები" წინსწრები მოვლენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ "შედეგებზე" მომავალ მნიშვნელობებზე, ხოლო "შედეგების" წარსული მნიშვნელობები არ ახდენდნენ მნიშვნელოვან გავლენას "მიზეზების" მომავალ მნიშვნელობებზე.

მეცნიერი ჯ. გრეინჯერის აზრით მიზეზობრიობის ტესტირება მოიცავს F ტესტის გამოყენებას, რათა შევამოწმოთ არის თუ არა მიზეზი Y ცვლადის ნებისმიერი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის ცვლილება X ცვლადის ცვლილებისა, თუ არ არის, მაშინ "Y არ არის X გრეინჯერის მიზეზი". (96, 97). ამრიგად Xt -ის და Yt -ის გრეინჯერის მიხედვით მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესასწავლად მეცმიერმა ჯ. გრეინჯერმა შემოგვთავაზა ტესტი, რომლის მიხედვითაც იგება რეგრესია Xt -სა და Yt –ს შორის მათი მნიშვნელობებისათვის და მოწმდება შემდეგი ჰიპოთეზა:

- თუ ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია, მაშინ Xt წარმოადგენს Yt–ის "მიზეზს",
- თუ ნულოვანი ჰიპოთეზა არ არის უარყოფილი მაშინ Xt–ის წარსული მნიშვნელობები გავლენას ახდენს Yt -ზე.

ჰიპოთეზა მოწმდება ტესტის საშუალებით (95, 96).

$$y_t = \alpha_0 + \sum_{i=1}^{k} \alpha_i x_{t-1} + \sum_{i=1}^{k} \beta_i y_{t-1} + \varepsilon_t \qquad (8)$$

$$H_0 : \alpha_1 = \ldots = \alpha_k = 0,$$
$$H_1 : \alpha_1^2 + \ldots + \alpha_k^2 > 0, \qquad (9)$$

სტაციონალური ტესტირება. სტაციონალური ტესტირება არის პროცედურა, რომ შევამოწმოთ მონაცემების სტაციონალურობა. მეცნიერი რ. ჰარისი განმარტავს, რომ მონაცემები სტაციონალურია, თუ ის აჩვენებს მისი საშუალო მნიშვნელობის დაბრუნების ტენდენციას, მერყეობს მეტ-ნაკლებად მუდმივი დიაპაზონის ფარგლებში და აქვს სასრული განსხვავება (98).

მეცმიერების ჯ. გრეინჯერი და პ. ნიუბოლდის აზრით, სტაციონალური ტესტირება მნიშვნელოვანია, რადგან თუ არასტაციონალური ცვლილებები არ არის იდენტიფიცირებული და გამოიყენება კვლევაში შექმნილ მოდელში, წარმოიქმნება არასწორი რეგრესიის მოდელი, რომლის შედეგების მიხედვით არსებობს რეგრესიული მოდელის ცვლადების სტატისტიკური ურთიერთობები,

(ანუ, როდესაც ყველაფერი რაც ერთდროულად არის ნაჩვენები კორელაციაში და არამნიშვნელოვანი მიზეზობრივ ურთიერთკავშირში) (96).

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ტესტი გამოიყენება რეგრესის შემდეგი ფორმულებით:

$$\Delta Y_t = \beta_1 + \delta Y_{t-1} + U_t$$

$$\Delta Y_t = \beta_1 + \beta_{2t} + \delta Y_{t-1} + U_t \qquad (10)$$

თუ შეცდომის ვადა Ut არის ავტოკორელირებული, მაშინ ფორმულა იქნება შემდეგი სახის:

$$\Delta Y_t = \beta_1 + \beta_{2t} + \delta Y_{t-1} + \alpha_i \sum_{i}^{m} \Delta Y_{t-i} + \varepsilon_t \qquad (11)$$

ცვლილებების რაოდენობა ხშირად განისაზღვრება ემპირიულად, დაშვება იმისა, რომ მონაცემები შეიძლება შეიცავდეს საკმარის პირობებს, მაშინ შესაძლებელია შეცდომა იყოს სერიულად დამოუკიდებელი.

კოინტეგრაციის ტესტი. კოინტეგრაციის ტესტი არის ახალი მეთოდი ეკონომეტრიკის დარგში და ის ცვლის იმას, რომ ანალიტიკოსებმა შეისწავლონ დროის სერიული მონაცემები (22). კოინტრეგრაციის ტესტი ჩვეულებრივ ტარდება ცვლადებს შორის გრძელვადიანი წონასწორობის კავშირის არსებობის შესამოწმებლად.

თუ არსებობს კორელაცია, შესაძლებელია დავუშვათ, რომ არსებობს გრძელვადიანი წონასწორული ურთიერთობა ცვლადებს შორის და მათ აქვთ საერთო ტენდენცია.

მეცნიერი დ. სერგანი აღნიშნავს, რომ კორელაციის დამყარების შედეგად გამოირიცხება ცვლადებს შორის ყალბი კავშირის შესაძლებლობა და ასევე მიუთითებს, რომ მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს მინიმუმ ერთი მიმართულებით.

ამდენად, თუ მონაცემთა სერია Y არის 1 და მეორე მონაცემთა სერია X ასევე არის 1, ისინი შეიძლება გაერთიანდნენ. ანუ ზოგადად თუ Y=1(d) და X=1(d) სადაც d ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, შეიძლება ამ ორი ცვლადის კოინტეგრაცია (104, გვ. 122).

ამრიგად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის ანალიზის დასადგენად კვლევაში გამოვიყენეთ დისპერსიული ანალიზი, გრეინჯერის ტესტი, კოინტეგრაციის ტესტი, ფუნქციური კავშირი დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის აღვწერეთ გარკვეული განტოლებით, რომელსაც რეგრესიის განტოლება ეწოდება. რეგრესიული ანალიზის საშუალებით განისაზღვრება რეგრესიის განტოლებაში ამა თუ იმ ფაქტორის შემოღების აუცილებლობა.

3.2 აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის კვლევის მონაცემთა ანალიზი

ნაშრომის აღნიშნულ ნაწილში განვიხილეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებისა და რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და კვლევაში დაშვებული ჰიპოთეზები შემოწმდა სათანადო სტატისტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევაში განვიხილავთ 95 რესპოდენტის გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემებს. პასუხები ასახავს რესპოდენტთა მოლოდინს სამშენებლო ბიზნესზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენას უახლოეს მომავალში.

გამოკითხვის შედეგები მიუთითებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში დასაქმებული რესპოდენტების მოლოდინზე, რომელიც დაკავშირებულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ეფექტზე სამშენებლო სფეროზე.

რადგან კვლევაში მოცემული გრაფიკები ეფუძვნება კითხვარის პასუხებს, ამიტომ აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემებით აგებული გრაფიკები ღირებულია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნესში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინების გამოწვევების გამოვლენისა და შეფასებისათვის კვლევაში გამოვიყენეთ გამოკითვის მეთოდი.

გამოკითხვიდან მიღებული მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე გვაქვს:

მოსალოდნელი კონკურენცია. კითხვაზე "გაქვთ თუ არა კონკურენციის ზრდის მოლოდინი მომავალი რამდენიმე წლის განმავობაში?" პასუხი მოცემულია გრაფიკი №24-ში.

გრაფიკი №24. მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში კონკურენციის მოლოდინი



შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

გამოკითხვის შედეგების თანახმად, როგორც გრაფიკიდან ჩანს რესპოდენტთა უმრავლესობას გააჩნია კონკურენციის ზრდის მოლოდინი. აღსანიშნავია რომ სამშენებლო სექტორში რეგიონში მწვავე კონკურენციაა, თუმცა გამოკითხულთა 89% მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში კიდევ უფრო კონკურენტუნარიან ბაზარს ელოდება.

გაზრდილ კონკურენციას ძირითადად რეგიონში უცხოური კომპანიების ზრდა გამოიწვევს. ადგილობრივი სამშენებლო ფირმები კონკურენციას გაუწევენ უფრო ეფექტიანი მუშაობით და უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობის გზით. გამოკითხული ადგილობრივი კომპანიების მხოლოდ 11% მიაჩნია, რომ

შეუძლებელია კონკურენციის ზრდამ გამოიწვიოს მათი სამუშაო არეალის ცვლილება.

როგორც აღვნიშნეთ, აჭარის რეგიონში სამშენებლო სფეროში არის მწვავე კონკურენცია და მულტინაციონალური კორპორაციების შემოსვლის შემდეგ ის კიდევ უფრო გაიზრდება. შედეგად:

- მოკლევადიან პერსპექტივაში, კონკურენციის ზრდა გამოიწვევს რამდენიმე არაპროდუქტიული ადგილობრივი ფირმების განდევნას ბაზრიდან.
- გრძელვადიან პერსპექტივაში გაზრდილი ბაზრის მოთამაშეები აჭარის რეგიონის სამშენებლო სექტორში იძულებულნი გახდებიან იპოვონ გზები, რათა გახდნენ კონკურენტუნარიანი. ანუ კონკურენციის ზრდა აიძულებს ადგილობრივ კომპანიებს გახდნენ პროდუქტიულები და ეფექტურები.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გამოკითხვის შედეგი განამტკიცებს კვლევაში დაშვებულ ჰიპოტეზას: "მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ნაკადების შემოდინება აჭარის რეგიონის სამშენებლო სექტორში გამოიწვევს კონკურენციის ზრდას".

მოლოდინები კონსოლიდაციის ფაზის შესახებ. კითხვაზე "მომავალი რამდენიმე წლის განმავობაში გაგაჩნიათ კონსოლიდაციის ფაზის მოლოდინი?" რესპოდენტების უმრავლესობას (77%) აქვს მოლოდინი, რომ სამშენებლო სექტორში კონკურენციის ზრდა გამოიწვევს კონსოლიდაციის ფაზას. (გრაფიკი №25).

რესპოდენტთა უმრავლესობას გააჩნიათ კონსოლიდაციის ფაზის მოლოდინი სამშენებლო სექტორში გაზრდილი კონკურენციის გამო და ადგილობრივი სამშენებლო კომპანიები მზად არიან უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობისთვის. ისინი თანამშრომლობას ხსნიან, როგორც კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების ერთ-ერთი გზა.

მოსალოდნელია, რომ მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში სამშენებლო სექტორში იქნება უფრო მეტი კონსოლიდაცია ადგილობრივ და უცხოურ სამშენებლო კომპანიებს შორის.

გამოკითხვის თანახმად, კონსოლიდაცია ძირითადად განხორციელდება პირდაპირ შეძენით, ერთობლივი საწარმოს შექმნით და საერთო პროექტებზე დაფუძვნებული თანამშრომლობით.

გრაფიკი № 25. კონსოლიდაციის ფაზის მოლოდინი მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში



შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გამოკითხვის შედეგი განამტკიცებს კვლევაში დაშვებულ ჰიპოტეზას: "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში მომავალი რამდენიმე წლის განმავობაში მოსალოდნელია კონსოლიდაციის ფაზა".

სხვა კომპანიებთან თანამშრომლობის შესახებ. კითხვაზე "ვისთან გსურთ თანამშრომლობა?" ადგილობრივი სამშენებლო კომპანიების 84% სურს თანამშრომლობა მულტინაციონალურ კორპორაციებთან (გრაფიკი №26).

გრაფიკი №26. სხვა კომპანიებთან თანამშრომლობა



შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

უნდა აღვნიშნოთ, რომ ანკეტაში რესპოდენტებს შეეძლოთ მრავალჯერადი პასუხების შევსება, როგორც გრაფიკიდან ჩანს ადგილობრივ ფირმებს ურჩევნიათ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან თანამშრომლობა. გამოკითხულთა აზრით, სხვა კონპანიებთან თანამშრომლობა არის საუკეთესო საშუალება კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და დიდი ტენდერების მისაღებად. ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებთან თანამშრომლობა სასარგებლოა, როდესაც შესაძლებელია ტექნოლოგიებისა და სამუშაო ძალის ერთობლივი გამოყენება. ხოლო ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან თანამშრომლობით შესაძლებელია საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვა, რაც აუცილებელია მსხვილი

ტენდერების მისაღებად. გამოკითხვის შედეგების თანახმად ერთობლივი საწარმო და საერთო პროექტზე დაფუძვნებული თანამშრომლობა არის ყველაზე მეტად მისაღები თანამშრომლობის ფორმა.

ცოდნის ტრანსფერის მოლოდინი. ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილი ემპირიული კვლევები ადასტურებს, რომ უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობის შედეგი არის ცოდნის ტრანსფერი.

კითხვაზე "ისარგებლებთ ტრანსნაციონალური კორპორაციებიდან მიღებული ნოუ-ჰაუთი?" რესპოდენტთა აზრით, უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობა ყოველთვის იწვევს ცოდნის გადაცემას და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინების შედეგად მოხდება ცოდნის ტრანსფერი.

გრაფიკი №27 ასახავს რესპოდენტთა მოლოდინს მულტინაციონალური კომპანიებიდან ტრანსფერით მიღებული სარგებლის შესახებ. რესპოდენტთა 91% მიაჩნია, რომ მიიღებენ სარგებელს მულტინაციონალური კორპორაციების ნოუ-ჰაუსგან. რესპოდენტთა მხოლოდ 9% არ ელოდება სარგებელს მულტინაციონალური კორპორაციების ნოუ-ჰაუსგან, როდესაც ისინი შემოვლენ აჭარის რეგიონში. ისინი ასაბუთებენ, რომ შეუძლებელია ცოდნის ტრანსფერი.

მოსაზრებები ტრანსნაციონალური კორპორაციებიდან რა სახის ცოდნის ტრანსფერი იქნება სასარგებლო? რა სახის ცოდნა არის ყველაზე სასარგებლო თქვენთვის? აღნიშნული კითხვის სატელეფონო გამოკითხვისა და ანკეტის შედეგები განსხვავებულია: სატელეფონო გამოკითხვის დროს რამდენიმე მენეჯერის მოლოდინი იყო, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციებიდან ცოდნის ტრანსფერით ისარგებლებენ ადგილობრივი კომპანიები (განსაკუთრებით თანამედროვე ტექნიკის მოპოვება და გამოყენება, მასალებისა და შრომის ეფექტიანად გამოყენების ცოდნა არის ყველაზე სასარგებლო, მას მოყვება ცოდნა ბიზნესისა და ბაზრის შესახებ).

ანკეტაში პასუხები მეტ-ნაკლებად მენეჯერულ უნარებთან იყო დაკავშირებული.

გრაფიკი №27. ტრანსნაციონალური კორპორაციებიდან ცოდნის ტრანსფერის სარგებლის მოლოდინები



შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

როგორც აღვნიშნეთ, სამშენებლო სექტორის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სექტორში დაბალი მენეჯერული უნარების გამო, მართვის ამოცანები ძალიან ცუდად ხორციელდება. რესპოდენტებმა გამოკითხვის დროს გამოავლინეს ამ სფეროში მენეჯმენტის უნარ-ჩვევების ცოდნის ნაკლებობა. როცა რეგიონში სამშენებლო კომპანიები აღნიშნული ცოდნის მიღებას შეძლებენ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინებით, გააუმჯობესებენ მენეჯერულ უნარებს და უფრო ეფექტიანად იმუშავებენ.

გრაფიკი №28 ასახავს რესპოდენტთა მოსაზრებას მულტიეროვნული კორპორაციების როგორი სახის ცოდნა არის ყველაზე სასარგებლო ადგილობრივი კომპანიებისათვის.

გრაფიკი №28. როგორი სახის ცოდნა არის ყველაზე სასარგებლო ადგილობრივი კომპანიებისათვის



შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

ნაშრომში დაშვებული ჰიპოთეზა "უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადებს პოზიტიური გავლენა აქვს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში ტრანსნაციონალური კორპორაციებიდან ადგილობრივ

ფირმებზე ცოდნის გადაცემასთან დაკავშირებით" გამოკითხვის შედეგებით დასტურდება. ტრანსნაციონალური კორპორაციებს გააჩნიათ სხვადასხვა სახის ცოდნა, რაც ადგილობრივი კომპანიებისთვის სასარგებლოა. გამოკითხვის შედეგები ასახავს, რომ ადგილობრივმა სამშენებლო კომპანიებმა იციან რა სახის ცოდნას მიიღებენ.

ნაშრომში დაშვებული ჰიპოთეზა "უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდა ადგილობრივი სამშენებლო კომპანიების ეფექტიან ზრდას იწვევს" დასტურდება გამოკითხვის შედეგით. ტრანსნაციონალური კორპორაციებიდან ცოდნის ტრანსფერი, მენეჯერული უნარ-ჩვევები, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პროცესის ინოვაცია გაზრდის ადგილობრივი ფირმების ეფექტიანობას.

რესპოდენტთა მოლოდინები თუ როგორ მოხდება ტრანსნაციონალური კორპორაციებთან კონტაქტი ასახულია გრაფიკი №29-ში, სადაც ჩანს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციებთან პირდაპირი კონტაქტები მათთან კავშირის საუკეთესო საშუალებაა, რასაც მოჰყვება სავაჭრო ურთიერთობები. გამოკითხულთა მცირე რაოდენობამ აღნიშნა, რომ ცოდნის გავრცელება შეიძლება მოხდეს ტრანსნაციონალური კორპორაციებში დასაქმების გზით (გრაფიკი №29).

მოლოდინები ფინანსური რესურსების ზრდის შესახებ. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში ფინანსური რესურსების ნაკლებობა ცნობილი პრობლემაა. თუმცა რესპოდენტთა უმრავლესობას აქვს მოლოდინი რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების რეგიონში შემოდიენბის შედეგად მომავალი რამდენიმე წლის განმავობაში მოსალოდნელია კაპიტალზე მარტივი ხელმისაწვდომობა. კითხვაზე "მომავალი რამდენიმე წლის განმავობაში გაგაჩნიათ კაპიტალზე მარტივი ხელმისაწვდომობის მოლოდინი?" რესპოდენტების უმრავლესობამ (81%) დადებითი პასუხი გასცა (გრაფიკი №30).

ტრანსნაციონალური კორპორაციებს რეგიონის ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებთან შედარებით აქვთ უპირატესობა, რადგან მათ მარტივად შეუძლიათ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და ამიტომ მათთან თანამშრომლობა ადრილობრივი ფირმებისათვის არის ფინანსური რესურსების ზრდის საუკეთესო საშუალება.

გრაფიკი №29. რესპოდენტთა მოლოდინები თუ როგორ მოხდება ტრანსნაციონალური კორპორაციებთან კონტაქტი



შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

კითხვაზე "რატომ გაქვთ ფინანსურ რესურსებზე მარტივად ხელმისაწვდომობის მოლოდინი?" პასუხები ასახულია გრაფიკი № 31. რესპოდენტთა 68 % მიაჩნია, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან თანამშრომლობით მიიღწევა მარტივად ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ხოლო 32 % აზრით მთავრობის ნაკლები ჩარევა კერძო ბიზნესში არის ფინანსური რესურსების ზრდის საფუძველი.

გრაფიკი № 30. მოლოდინები ფინანსური რესურსების ზრდის შესახებ.



შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე.

ნაშრომში დაშვებული ჰიპოთეზა "ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლის შემდეგ ადგილობრივი სამშენებლო ფირმებს გაუადვილდებათ კაპიტალზე ხელმისაწვდომობა" დასტურდება გამოკითხვის შედეგებით. რესპოდენტებს გააჩნიათ მოლოდინი, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან თანამშრომლობით და ნაკლები სამთავრობო ჩარევით შეძლებენ ფინანსური რესურსების მიღებას რათა დააფინანსონ აქტივები და მონაწილეობა მიიღონ დიდ ტენდერებში.

გრაფიკი № 31. ტრანსნაციონალური კორპორაციებიდან ცოდნის ტრანსფერის სარგებლის მოლოდინი



შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

ამრიგად, კვლევაში დაშვებული ძირითადი ჰიპოთეზა "უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდა სასარგებლოა სამშენებლო ბიზნესისათვის" დასტურდება ზემოთ მოყვანილი შედეგებით.

სამშენებლო სექტორის ანალიზის დროს გამოვლინდა, რომ სექტორი

ხასიათდება ფინანსური რესურსების ნაკლებობითა და დაბალი მენეჯერული უნარებით. ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლით აღნიშნული ორი საკითხი გაუმჯობესდება არსებულ ვითარებასთან შედარებით. კაპიტალი აუცილებელია მსხვილი ტენდერების მოპოვებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძენად. მენეჯერული უნარები აუცილებელია, რათა კომპანიებმა უფრო ეფექტიანად იმუშაონ.

სამშენებლო სექტორის ანალიზში მოვახდინეთ სექტორის მიმდინარე მდგომარეობის მიმოხილვა. განვიხილეთ სამშენებლო სექტორის თავისებურებები, რომელზეც გავლენას მოახდენს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად წარმოდგენილია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შესაძლო ეფექტი მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაზე და არა გარკვეულ სექტორზე.

ლიტერატურის შესწავლის, რესპოდენტთა გამოკითხის შედეგად მიღებული მონაცემების და სამშენებლო სექტორის ანალიზის შედეგის საფუძველზე (სამი წყაროდან) მიღებული მონაცემების შერწყმით შევძელით აგვეხსნა, თუ როგორ აისახება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები სამშენებლო სექტორზე მიკრო და მაკრო ეკონომიკურ დონეზე (ნახაზი № 6).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნესში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების გავლენის შეფასება გრეინჯერის ტესტის დახმარებით - იმისათვის, რომ შევაფასოთ სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზეგავლენა კვლევაში გამოვიყენეთ გრეინჯერის ტესტი.

ნაბიჯი 1:

სამშენებლო სექტორში ფესვის ერთეულის ტესტირების ინტერპრეტაცია: მოვახდინეთ სამშენებლო სექტორის ერთეულის ფესვის ტესტირების ინტერპრეტაცია T=7 (7 წლის განმავლობაში) (ცხრილი №10).

ნახაზი №6.



შენიშვნა: ნახაზი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე.

აღნიშნულ პირობებში სამშენებლო სექტორის ფესვის ერთეული აჩვენებს ტენდენციას:

$$(1-L)\, y = b0 + bl * t + (a-1) * y\,(-1) + \quad . + \quad e \qquad (11)$$

სადაც e არის შეცდომა, როცა e=-0.046 მიუთითებს უმნიშვნელო შეცდომაზე, ანუ ადგილი აქვს შემთხვევით წარმოშობილ ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების

ცხრილი № 10. მშენებლობის სექტორში ბრუნვის დინამიკა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2009-2015 წწ. (ათასი აშშ დოლარი)

წლები	**ბრუნვა (მშენებლობის სექტორში)**
2009	184
2010	208
2011	326
2012	494
2013	460
2014	662
2015	787

წყარო: **www.geostat.ge**

ნაკადებზე. სამშენებლო ბიზნესის ფესვის ერთეულის და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ერთობლივი კოინტეგრაციით მიიღება P მნიშვნელობა 0.1308-ს (ცხრილი №11).

აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები მნიშვნელოვანია სამშენენბლო ბიზნესში და მიუთითებს, რომ მონაცემები არის სტაციონალურ დონეზე.

ცხრილი №11. კორელაცია

ცვლადი	R	95% CI	P
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მშენებლობის სექტორში ბრუნვა	0,628	-0,237-დან - 0,938-მდე	0,1308

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

ნაბიჯი 2:

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ფესვის ერთეულის ტესტირების ინტერპრეტაცია: მოვახდინეთ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ერთეულის ფესვის ტესტირების ინტერპრეტაცია T=7 (7 წლის განმავლობაში).
აღნიშნულ პირობებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ფესვის ერთეული აჩვენებს ტენდენციას:

$$(1-L)y = b0 + bl * t + (a-1) * y(-1) + \quad .+ \quad e \qquad (12)$$

სადაც e არის შეცდომა, როცა e=-0.046 მიუთითებს უმნიშვნელო შეცდომაზე, ანუ ადგილი აქვს შემთხვევით წარმოშობილ ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადებზე. სამშენებლო ბიზნესის ფესვის ერთეულის და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ერთობლივი კოინტეგრაციით მიიღება P მნიშვნელობა 0.1420 (ცხრილი №13).

აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები მნიშვნელოვანია სამშენებლო ბიზნესში და მიუთითებს, რომ მონაცემები არის სტაციონალურ დონეზე.

ცხრილი № 12. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების, დინამიკა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2009-2015 წწ. (ათასი აშშ დოლარი)

წლები	უცხოური პირდაპირი ინვესტიციები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
2009	99386,4
2010	56573,1
2011	93868
2012	39105,4
2013	61544,3
2014	204531
2015	160976,9

წყარო: **www.geostat.ge**

ნაბიჯი 3:

კოინტეგრაციის ტენდენციის რეგრესიული ანალიზი:

კოინტეგრაციული რეგრესია 2009-2015 წწ. (T=7) დაკვირვების გამოყენებით; დამოკიდებული ცვლადი სამშენებლო სექტორი.

ცხრილი 13. კორელაცია.

ცვლადი	R	95% CI	P
უცხოური პირდაპირი ინვესტიციები აჭარის არ	0,615	-0,258-დან - 0,935-მდე	0,1420

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

ინტეგრაცია გამოისახება ფორმულით:

სამშენებლო სექტორი (ბრუნვა) = α0+α1 უპი ნაკადები+e

სამშენებლო სექტორი (ბრუნვა) = 0,619879e+0.9 უპი ნაკადები

ცხრილი № 14. ასახავს მოდელის რეზიუმეს სადაც R-კვადრატი არის ანალიზის მოდელის ცვალებადობის კოეფიციენტი, რომელიც გვეხმარება განვსაზღვროთ ანალიზის საიმედოობის დონე. ცხრილი №14-დან გამომდინარე კოინტეგრაციული რეგრესიის ანალიზში მოცემულია, რომ R-კვადრატი მნიშვნელობა არის 0.9011, რომელიც გულისხმობს, რომ სამშენებლო სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მოცულობის 90.1% არის ახსნადი, ხოლო 9.09% არის აუხსნელი შემთხვევითი შეცდომის შედეგი. რაც ამტკიცებს, რომ კვლევაში გამოყენებული მოდელი ხასიათდება საიმედოობის მაღალი ხარისხით.

აღნიშნულ მოდელს გამოვიყენებთ სამშენებლო სექტორისა და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ურთიერთკავშირის დასადგენად, ცვლადების მნიშვნელობის დასადგენად და პროგნოზირებისათვის.

ცხრილი № 14. მოდელის რეზიუმე

დამოკიდებული ცვლადი სამშენებლო სექტორი (ბრუნვა მლნ. ლარი)			
პროგნოზირება: მუდმივი კოეფიციენტი, უპი (მლნ. ლარი) **2009-2007 წწ.**			
მოდელი	**R**	**R -კვადრატი**	**სტანდარტული ცდომილება**
1	**0.628**	**0.9011**	**-0,046**

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე.

სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების კოინტეგრაციული რეგრესიის ანალიზი მიუთითებს მნიშვნელოვან ურთიერთობებზე. კვლევაში სამშენებლო სექტორის და უცხოური პირდაპირი

ინვესტიციების ნაკადებს შორის კოინტეგრაციის დასადგენად გამოყენებული რეგრესიის მოდელი გვიჩვენებს, რომ კვლევა არ უარყობს ფესვის ერთეულის ჰიპოთეზას ინდივიდუალური ცვლადებისათვის (კვლევაში კოინტეგრაციული რეგრესია გამოვიყენეთ, იმის დასადგენად, რომ არსებობს მაღალი ინტეგრაციის კოორდინაცია სამშენებლო სექტორსა და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადებს შორის).

ცვლადების მოკლე ანალიზი მოცემულია ცხრილი №15-ში

ცხრილი № 15. ცვლადების მოკლე ანალიზი

	მნიშვნელობა	**სტანდარტული გადახრა (SD)**	**მინიმუმი**	**საშუალო**	**მაქსიმუმი**
უცხოური პირდაპირი ინვესტიციები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	**102283,59**	**60165,43**	**39105,4**	**93868,00**	**204531,0**
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მშენებლობის სექტორში ბრუნვა	**445,9**	**225,5**	**184**	**460,0**	**787**

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

ნაბიჯი 4:

გრეინჯერის მიზეზობრივი ტესტი.

ცხრილი №16 ასახავს გრეინჯერის ტესტის მიზეზობრიობის რეზიუმეს.

ცხრილი №16 ასახულია გრეინჯერის მიზეზობრივი ტესტის შედეგები. შედარებისათვის მიზეზობრივი ტესტი ჩატარდა ჯერ საწყის დონეზე და შემდეგ პირველ განსხვავებულ მონაცემებზე.

ცხრილი №16: გრეინჯერის ტესტის მიზეზობრიობის რეზიუმე.

მიზეზობრიობის მიმართულება	*F* სტატისტიკა	*P*	*F* სტატისტიკა	*P*
საწყის მონაცემებზე:				
უპი → სამშენებლო სექტორი	12.9	0.0019	8.92	0.0010
სამშენებლო სექტორი → უპი	11.52	0.0015	5.90	0.0008
პირველ განსხვავებულ მონაცემებზე:				
უპი → სამშენებლო სექტორი	10.79	0.025	5.40	0.009
სამშენებლო სექტორი → უპი	9.98	0.022	4.90	0.028

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

შედეგები ცხადყოფს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები არის ე.წ "გრეინჯერის მიზეზი" სამშენებლო სექტორისთვის და პირიქით, სამშენებლო სექტორი არის ე.წ "გრეინჯერის მიზეზი" რეგიონში უცხოური პირდაპირი

ინვესტიციების ნაკადების შემოდინებისათვის. ის ფაქტი, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები არის ე.წ "გრეინჯერის მიზეზი" სამშენებლო სექტორისათვის დასკვნის სახით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები არის მნიშვნელოვანი წინაპირობა და კატალიზატორი სამშენებლო ბიზნესის მდგრადი ზრდისა და განვითარებისათვის.

ანალოგიურად ის ფაქტი, რომ რეგიონში სამშენებლო ბიზნესის განვითარებამ გამოიწვია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინების ზრდა, მიუთითებს რომ რეგიონში არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების დონე ასევე წინაპირობაა უცხოელი ინვესტორების მოზიდვისათვის.

ამრიგად, მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ სამშენბლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები ძალიან მნიშვნელოვანია, ის ასრულებს კატალიზატორის როლს სექტორის მდგრად ზრდასა და განვითარებაში და ასევე, სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების გრეინჯერის მიზეზი მიმართულია აჩვენოს ფაქტი, რომ ინფრასტრუქტურის ობიექტების დონე მნიშვნელოვანი პირობაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის.

კვლევაში ჩამოვაყალიბეთ სამი ძირითადი ალტერნატიული და ნულოვანი ჰიპოთეზა, რომლებიც შემდგომ შევამოწმეთ F ტესტის დახმარებით. თითოეული ჰიპოთეზის მნიშვნელობის სტატისტიკური დონე, აუცილებელ შემთხვევებში დავადგინეთ 0.05 მნიშვნელობით. ზემოთ აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღების წესი დამოკიდებულია (n-1) თავისუფლების ხარისხის პირობებში F ტესტის კალკულაციური მნიშვნელობა მეტია თუ ნაკლები F ტესტის კრიტიკულ მნიშვნელობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე 5% მნიშვნელობის დონეზე ნულოვანი ჰიპოთეზა (H0) უარყოფილი იქნება თუ fcal > ftab, ხოლო ალტერნატიული ჰიპოთეზა (Hi) უარყოფილი იქნება თუ fcal < ftab.

ჰიპოთეზა 1:

- **ნულოვანი ჰიპოთეზა**: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების მნიშვნელობა ძალიან მცირეა.
- **ალტერნატიული ჰიპოთეზა**: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები მნიშვნელოვანია.

აღნიშნული ჰიპოთეზების ტესტირებისას ცხრილში მოცემული მონაცემები გავტესტეთ F ტესტის დახმარებით, რათა დადგინდეს F მნიშვნელობის კოეფიციენტი და p შესაბამისი მნიშვნელობის კოეფიციენტი, რომელიც ნაჩვენებია ცხრილი №17

პირველი ჰიპოთეზის F ტესტის შედეგი მოცემულია ცხრილი №17-ში, სადაც R=0.781, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს მაღალი დადებითი კორელაცია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და სამშენებლო სექტორს შორის. რაც მიუთითებს, რომ კორელაცია ცვლადებს შორის არის 78.1%. გარდა ამისა R კვადრატი =0.610 მნიშვნელობა მიუთითებს მონაცემთა სწორ ანალიზზე სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შესახებ (ანუ 61.0%) და P მნიშვნელობის კოეფიციენტი უმნიშვნელოა. აღნიშნულს ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებიც (გრაფიკი №. 32).

ცხრილი №17. აჭარის ა.რ-ის სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ტესტი

ცვლადები	R	RS	fcal	ftab	Ho უარყოფა?	P-მნიშვნელობა
სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები	0.781	0.610	21.91	13.78	დიახ	Sig > 0.05

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

გადაწყვეტილების მიღების წესის თანახმად: თუ fcal < ftab მაშინ მისაღებია ნულოვანი ჰიპოთეზა (HO), ხოლო თუ fcal > ftab ალტერნატიული ჰიპოტეზა (Hi). რადგან fcal > ftab და P მნიშვნელობის კოეფიციენტი უმნიშვნელოა, მისაღებია ალტერნატიული ჰიპოტეზა (Hi), ხოლო ნულოვანი ჰიპოთეზა(HO) უარყოფილი.

შეიძლება ავღნიშნოთ, რომ მიღებული შედეგი ფაქტიურად არის რეგრესიული მოდელი. კვლევაში გამოყენებული რეგრესიული მოდელით დადგინდა, რომ სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდა ეკონომიკაში გამოიწვევს სამშენებლო სექტორის ზრდას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაბალი ნაკადი, წლების შემდეგ გამოიწვევს სხვა სექტორებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემცირებას.

დიაგრამა №32. კერძო ინვესტიციების განაწილება სექტორების მიხედვით



წყარო: http://adjara.gov.ge

ჰიპოთეზა 2:

- **ნულოვანი ჰიპოთეზა**: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შედეგი ძალიან მცირეა.
- **ალტერნატიული ჰიპოთეზა**: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შედეგი მნიშვნელოვანია.

აღნიშნული ჰიპოთეზის ტესტირებისას ცხრილში მოცემული მონაცემები გავტესტეთ F ტესტის დახმარებით, რათა დადგინდეს F მნიშვნელობის კოეფიციენტი და შესაბამისი P-ს მნიშვნელობის კოეფიციენტი, რომელიც ნაჩვენებია ცხრილი № 18-ში.

მეორე ჰიპოთეზის F ტესტის შედეგი მოცემულია ცხრილი №18-ში, სადაც R=0.947, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს მაღალი დადებითი კორელაცია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და სამშენებლო სექტორს შორის. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ კორელაცია ცვლადებს შორის არის 94.7%.

ცხრილი №18-ში Rკვადრატი=0.896, მიუთითებს მონაცემთა სწორ ანალიზზე სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შესახებ (89.6%) და P-ს მნიშვნელობის კოეფიციენტი არის უმნიშვნელო. ცხრილი №18-ში მოცემული მონაცემები კვლევაში ასევე დავამტკიცედ მეცნიერი ჯ. გრეინჯერის ტესტისა და რეგრესიის ანალიზის კოინტეგრაციით (მნიშვნელობის დონეთ კვლევაში ავიღეთ 5%).

გადაწყვეტილების მიღების წესის თანახმად: თუ fcal < ftab მაშინ მისაღებია ნულოვანი ჰიპოთეზა (HO), ხოლო თუ fcal > ftab მისაღებია ალტერნატიული ჰიპოტეზა (Hi). რადგან fcal > ftab და P მნიშვნელობის კოეფიციენტი არის მნიშვნელოვანი, მისაღებია ალტერნატიული ჰიპოტეზა (Hi), ხოლო უარყოფილი ნულოვანი ჰიპოთეზა (HO).

რადგან fcal > ftab და P-ს მნიშვნელობის კოეფიციენტი არის მნიშვნელოვანი, მისაღებია ალტერნატიული ჰიპოტეზა (Hi), ხოლო უარყოფილია ნულოვანი ჰიპოთეზა (HO). სწორედ აღნიშნული ჰიპოთეზების საფუძველზე შევქმენით

რეგრესული მოდელი, რომელმაც კვლევის პროცესში გააადვილა სათანადო ავტორიზება, ანუ აუცილებელია ინვესტორების წახალისება, რათა მოახდინონ ინვესტირება სამშენებლო სექტორში ეკონომიკის სხვა სფეროების პარალელურად. როგორც ავღნიშნეთ რეგრესიული მოდელი ეფუძვნება სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების 2009-2015 წწ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სანიმისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ეროვნული ბანკის საარქივო მონაცემებს.

ცხრილი №18: აჭარის ა.რ-ის სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შედეგის ტესტი.

ცვლადები	R	RS	fcal	ftab	Ho უარყოფა?	Pმნიშვნელობის კოეფიციენტი
სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები	0.947	0.896	15.133	8.29	დიახ	Sig<0.05

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების გავლენის ეფექტის შეფასების საბოლოო რეგრესული მოდელი წარმოდგენილია, როგორც:

სამშენებლო სექტორი (ბრუნვა) = α0+α1 უპი ნაკადები+e

სამშენებლო სექტორი (ბრუნვა) = 0,619879e+0.9 უპი ნაკადები

აღნიშნული რეგრესიული მოდელი გვიჩვენებს, რომ არსებობს დადებითი კორელაცია უცხოურ პირდაპირ ინვესტიციების ნაკადებსა და სამშენებლო სექტორს შორის, რომელიც გულისხმობს, რომ ერთი ცვლადის ცვლილება გამოიწვევს კორესპოდენტი ცვლადის ცვლილებას.

რეგრესიული მოდელის დახმარებით დადგინდა რეალობა, რომ სამშენებლო ბიზნესში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდა გამოიწვევს რეგიონის ეკონომიკის ზრდას. კვლევაში მიღებული მონაცემბზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ნებისმიერი ერთეულით ზრდა გამოიწვევს სამშენებლო სექტორის შემდგომ ზრდას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების საშუალო და მაღალი დონე წაახალისებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას.

ჰიპოთეზა 3:

- **ნულოვანი ჰიპოთეზა**: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინების დროს ადგილი აქვს უმნიშვნელო გამოწვევებს.
- **ალტერნატიული ჰიპოთეზა**: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინების დროს ადგილი აქვს მნიშცვნელოვან გამოწვევებს.

აღნიშნული ჰიპოთეზის ტესტირებისას ცხრილში მოცემული მონაცემები გავტესტეთ F ტესტის დახმარებით, რათა დადგინდეს F მნიშვნელობის კოეფიციენტი და შესაბამისი P მნიშვნელობის კოეფიციენტი (ცხრილი №19).

მესამე ჰიპოთეზის F ტესტის შედეგი მოცემულია ცხრილი №19, სადაც მონაცემბზე დაკვირვებით, როდესაც P ღირებულების კოეფიციენტი არის მნიშვნელოვანი fcal = 20.478 ხოლო ftab = 3.00.

გადაწყვეტილების მიღების წესის თანახმად: თუ fcal < ftab მაშინ მისაღებია ნულოვანი ჰიპოთეზა (HO), ხოლო თუ fcal > ftab მისაღებია ალტერნატიული ჰიპოტეზა (Hi). რადგან fcal > ftab და P-ს მნიშვნელობის კოეფიციენტი არის

მნიშვნელოვანი, მისაღებია ალტერნატიული ჰიპოტეზა (Hi), ხოლო უარყოფილია ნულოვანი ჰიპოთეზა (HO).

ცხრილში 19. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინების დროს გამოწვევები.

ცვლადები	fcal	ftab	Ho უარყოფა?	P მნიშვნელობის კოეფიციენტი
სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების	20.478	3.00	დიახ	Sig<0.05

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების საფუძველზე

ჰიპოტეზების ტესტირებამ დაადასტურა, რომ ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას სამშენებლო სექტორში უცხოური პუირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინებაზე. ეს ფაქტორებია: ტერორიზმი, საომარი მდგომარეობა, მაღალი დონის კორუფცია, დაბალი ინფრასტრუქტურული განვითარება, ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის სამოქმედო გეგმა და სხვა.

ასევე აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინების ზრდა დროის მოკლევადიან პერიოდში გამოიწვევს ეკონომიკის სხვა სექტორების სტიმულირებას.

სტატისტიკურ-ეკონომეტრიკული მეთოდის გამოყენების საფუძველზე ჩვენს მიერ ჩატარებული რეგრესული ანალიზი გვიჩვენებს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოსვლამ 2009-2015 წწ-ში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განაპირობა კაპიტალის ზრდა, რამაც სტიმული მისცა და განაპირობა რეგიონის ეკონომიკურ ზრდას, რომლის გარეშეც არსებული სიღარიბისა თუ სხვა პრობლემების დაძლევა შეუძლებელი იქნება.

3.3 აჭარის ავტონომიურ რესპუბიკაში სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის თავისებურებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორის კვლევის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ რეგიონის სამშენებლო სექტორი ხასიათდება:

- ფინანსური რესურსების ნაკლებობით;
- დაბალი მენეჯერული უნარებით;
- დაბალი ტექნოლოგიური ცოდნით;
- დაბალი ინოვაციური ინიციატივებითა და არაეფექტური პროდუქტიულობით;
- მწვავე კონკურენციით;
- დასაქმების დაბალი დონით;

აჭარის რეგიონში ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა გავლენას მოახდენს ზემოთ აღნიშნულ ცვლადებზე.

ასევე სამშენებლო სექტორის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია კონკურენტუნარიანობის დონე, როგორც ტექნოლოგიური განვითარების, ასევე ეროვნული ბიზნეს გარემოს ხარისხის მიხედვით. აუცილებელია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნესმა გაზარდოს მონაწილეობა გლობალურ საწარმოო და გასაღების ქსელებში. მიზანშეწონილი იქნებოდა, მაღალტექნოლოგიურ და გლობალურ კომპანიებთან ალიანსების შექმნა. საქართველომ, ისევე, როგორც ნებისმიერმა ეკონომიკურად მზარდმა ქვეყანამ, სამშენებლო სექტორის განვითარებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია სცადოს სპეციალიზაციის ადაპტირება გარე სამყაროსთან და შეფარდებითი უპირატესობა მოიპოვოს მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი ზრდა და გლობალურ ბაზრებზე ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების სამშენებლო სექტორზე გავლენა აღწერილია ქვემოთ:

კაპიტალი. ტრანსნაციონალური კორპორაციები რეგიონში შემოიტანს კაპიტალს, რაც დადებით გავლენას მოახდენს სამშენებლო სექტორზე. პირდაპირი ეფექტი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადებისა მასპინძელი ქვეყნისთვის

იქნება კაპიტალზე ხელმისაწვდომობა. ადგილობრივი ფირმები ისარგებლებენ უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობითა და პარტნიორობით. აქედან გამომდინარე, ადგილობრივ კომპანიებს გაუადვილდებათ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა კი ხელს შეუწყობს ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს გაზარდონ საინვესტიციო ხარჯები (შეიძინონ თანამედროვე ტექნიკა).

კაპიტალის შემოდინება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს მოაქვს მასპინძელი ქვეყნისათვის. მას აქვს პირდაპირი ზეგავლენა ქვეყანაში, რადგან კაპიტალს მოაქვს ახალი ფინანსური რესურსები, რომელიც სხვაგვარად არ იქნება ხელმისაწვდომი რეციპიენტი ქვეყნისათვის. მეტი ფული ნიშნავს ირიბად დამატებით ინვესტიციებს, რის შედეგადაც ეკონომიკა განიცდის ზრდას. არაპირდაპირი ეფექტი კაპიტალის შემოდინებისა არის ტექნოლოგიების შემოდინების გვერდითი მოვლენები, დასაქმების ზრდის გვერდითი მოვლენები და გაზრდილი კონკურენცია.

კაპიტალისა და ტექნოლოგიებიის ინექცია ხელს უწყობს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებას. იგი გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემას, რომელსაც აქვს პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდაზე. რეციპიენტი ქვეყნის ადგილობრივ ფირმებს მულტიეროვნული კორპორაციებისაგან შეუძლიათ მიიღონ სარგებელი სხვადასხვა გზით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა და ნაკლოვანებაა გადასჭრელი. უცილებელია, სახელმწიფომ შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო მექანიზმების ეფექტიან ფორმირებას და უზრუნველყოფს ყველა ეკონომიკური სუბიექტის ზრდის შესაძლებლობებს. ვფიქრობთ, რომ საქართველოში არსებული საკრედიტო რესურსების დიდი დეფიციტი, მაღალი საპროცენტო განაკვეთები სამშენებლო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია, ამასთან, აღსანიშნავია ამჟამად საქართველოში არსებული საგადასახადო განაკვეთების მაღალი დონე, რაც მეწარმეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. დაბეგვრის სისტემაში არსებული ნაკლოვანებები სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორია სექტორის განვითარებისთვის. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად

აუცილებელია ისეთი საგადასახადო კანონის შექმნა, რომელიც მსხვილი, საშუალო და მცირე მეწარმეების დიფერენციაციას შეუწყობს ხელს. ამასთანავე, მცირე მეწარმეებისთვის აუცილებელია ბიზნესის დაწყების საწყის ეტაპზე დაწესდეს შეღავათიანი პირობები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს რეგიონის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტასა და შეუფერხებელ ეკონომიკურ ზრდას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული სამშენებლო კომპანიები უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შესახებ არსებული თეორიების შესაბამისად ისარგებლებენ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებით. კაპიტალის პირდაპირი ეფექტი დიდ გავლენას მოახდენს რეგიონის ეკონომიკაზე: ადვილად ხელმისაწვდომი გახდება ფინასური რესურსები, რომელიც ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს უკეთეს პოზიციაში ჩააყენებს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბევრი მათგანისათვის გამარტივდება ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და გაიზრდება კონკურენცია. კონკურენციის ზრდა კი აიძულებს სამშენებლო კომპანიებს გახდნენ უფრო პროდუქტიული და ეფექტიანები.

მენეჯერული უნარები. როგორც ავღნიშნეთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორი ხასიათდება დაბალი მენეჯერული უნარებით, ანუ ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებში არის ცუდი დაგეგმვა და სამუშაო ძალის მართვა, რაც იწვევს კომპანიების არაეფექტიან მუშაობას. ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლით მოხდება მენეჯერული უნარების გაუმჯობესება და კომპანიების ეფექტიანი მუშაობა. ანუ მენეჯერული უნარები ადგილობრივი სამშენებლო კომპანიებისთვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი შედეგია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად დიდი ოდენობით ინვესტიციების განხორციელება ადამიან-კაპიტალის განვითარების მიმართულებით, რაც სტიმულს მიცემს სამშენებლო სექტორის აღორძინებას. სასურველია გაძლიერდეს განათლების სისტემა და გაგრძელდეს განათლების,

მეცნიერებისა და ტრენინგების სფეროში რეფორმები ადამიან-კაპიტალის მყარი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. სამშენებლო სექტორი არის სექტორი სადაც პროდუქტიოლობა და ცოდნა მნიშვნელოვან როლს ასრულებ და მართვის უნარები არის ძირითადი ფაქტორი. განხილულ თეორიებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოდ, რომ სამშენებლო სექტორმა შეიძლება მიიღოს სარგებელი მულტინაციონალური კორპორაციებისაგან, რადგან შეძლებენ აიმაღლონ ცოდნა და პროდუქტიულობა თანამედროვე მართვის უნარების ტრანსფერის გზით.

ტექნოლოგია. რეგიონში სამშენებლო კომპანიები მცირე ინვესტირებას ახორციელებენ კვლევა და განვითარებაში (R&D). შესაბამისად, ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუს და თანამედროვე ტექნიკის რაოდენობა მწირია. მულტინაციონალურ კორპორაციებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი (შეიძლება ითქვას ღირებული) ცოდნა, რომელიც ადგილობრივ კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ ტრენინგების საშუალებით. დამატებით ადგილობრივმა ფირმებმა შეიძლება მიიღონ თანამედროვე ტექნოლოგიური ცოდნა ტრანსნაციონალური კორპორაციების გაერთიანება/კოოპერაციით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ყოველთვის არ სურს თავიანთი რესურსები და თანამედროვე ტექნოლოგია უფასოდ გადასცეს ადგილობრივ კომპანიებს და ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ ტექნოლოგიური უფსკრული ადგილობრივ კომპანიებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შორის შეიძლება იყოს დიდი. რეგიონის ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს სურთ მიიღონ თანამედროვე ტექნოლოგია, უფრო ნაყოფიერი და ეფექტიანი მუშაობისათვის.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო სექტორის მდგრადი განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან მიმართულებას მოწინავე ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის სტიმულირება წარმოადგენს. განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავება, რაც სამშენებლო სექტორს შესაძლებლობას მისცემს აამაღლოს მისი კონკურენტუნარიანობა.

რეგიონში ტექნიკის შემოდინება მოხდება აგრეთვე ისეთი არაფორმალური არხებით, როგორიცაა კავშირი ადგილობრივ მიმწოდებლებთან და მულტიეროვნული კორპორაციების ტექნოლოგიების გადაცემის პასიური როლით, როგორიცაა პუბლიკაციები და საზღვარგარეთ განათლების მიღება.

პროდუქტის და პროცესის ინოვაცია – იმის გამო, რომ ადგილობრივი სამშენებლო კომპანიები მცირე დანახარჯებს ეწევიან კვლევა და განვითარებისათვის (R&D), პროდუქტის და პროცესის ინოვაციები რეგიონში საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. რომ გაუმჯობესდეს ინოვაციის პროცესი ადგილობრივ კომპანიებს დასჭირდებათ გაცილებით მეტი ძალისხმევა. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა არის ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან გაერთიანება/კოოპერაცია.

სამშენებლო სექტორი არის სექტორი სადაც პროდუქტიოლობა და ცოდნა მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მართვის უნარები არის ძირითადი ფაქტორი. განხილულ თეორიებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოდ, რომ სამშენებლო სექტორმა შეიძლება მიიღოს სარგებელი მულტინაციონალური კორპორაციებისაგან, რადგან შეძლებენ აიმაღლონ ცოდნა და პროდუქტიულობა ინოვაციური პროდუქტისა და პროცესის ტრანსფერის გზით.

კონკურენცია – უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოსვლა ქვეყანაში ცვლის ადრე არსებულ კონკურენციას.

ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა შეიცავს ორ წრეს:

- შიდა – უშუალოდ ინვესტიციებთან დაკავშირებული პოლიტიკა, ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
- გარე – მაკროეკონომიკური პოლიტიკა.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება დაკავშირებულია სახელმწიფოს სამრეწველო სტრატეგიაზე, როდესაც სახელწიფოს გააჩნია გარკვეული დარგების, საწარმოების და რაიონების განვითარების გეგმა. სწორედ ამიტომ საჭირო გახდა გამარტივებულიყო საქართველოში ლიცენზიებისა და ნებართვების აღების პროცედურები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შეღავათიანი კრედიტის არსებობის აუცილებლობა და სასამართლო სისტემების რეფორმირება.

გაზრდილი კონკურენცია გარდაუვალია სამშენებლო სექტორში ტრანსნაციონალურ კორპორაციების შემოსვლით მოკლევადიან პერიოდში მას ექნება უარყოფითი გავლენა სამშენებლო სექტორში ადგილობრივ კომპანიებზე. ტრანსნაციონალურ კორპორაციები შთანთქავს არაპროდუქტიულ ადგილობრივ კონკურენტებს. რომ დარჩნენ ბაზარზე, ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს

მოუწევთ რეაგირება (მაგალითად სამუშაო ფართობი, დაბალი ფასები და სხვა). კონკურენციის ზრდა აიძულებს ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს იმუშაონ უფრო პროდუქტიულად და ეფექტიანად.

გრძელვადიან პერსპექტივაში კონკურენციის ზრდა შეიძლება იყოს დადებითი ადგილობრივი კომპანიებისათვის, რადგან ადგილობრივი კომპანიები, რომლებიც კონკურენციის შედეგად ბაზარზე შეძლებენ ოპერირებას, შეძლებენ მუშაობას უფრო ეფექტიანად და პროდუქტიულად. მწვავე კონკურენციის შედეგად მოსალოდნელია კონსოლიდაცია. როგორც კვლევამ ცხადყო ადგილობრივი სამშენებლო კომპანიები მზად არიან ითანამშრომლონ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან რადგან მათ გააჩნიათ ცოდნა და კაპიტალი. ხოლო ტრანსნაციონალურ კორპორაციები კი მზად არიან ითანამშრომლონ ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებთან, რადგან მათ აქვთ ცოდნა ადგილობრივი ბაზრის შესახებ. შერწყმა, შთანთქმა და ერთობლივი საწარმოები თანამშრომლობის ყველაზე პოპულარული ფორმაა.

საქართველომ, ისევე, როგორც ნებისმიერმა ეკონომიკურად მზარდმა ქვეყანამ, სამშენებლო სექტორის განვითარებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია სცადოს სპეციალიზაციის ადაპტირება გარე სამყაროსთან და შეფარდებითი უპირატესობა მოიპოვოს მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი ზრდა და გლობალურ ბაზრებზე ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდგომარება სამშენებლო სექტორში შემდეგნაირია: არსებობს ტექნოლოგიური უფსკრული, მაგრამ ადგილობრივ ფირმებს აქვთ ტექნოლოგიური ცოდნის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, პროდუქტიულობისა და თანამედროვე ტექნიკის გვერდითი მოვლენები გამოიწვევს კონკურენციის ზრდას, რაც გამოიწვევს რეგიონის ეკონომიკის ზრდას.

დასაქმება – უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადებს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა დასაქმების დონეზე. თუ როგორ შეიცვლება დასაქმების დონე დამოკიდებულია ტრანსნაციონალურ კორპორაციების რეციპიენტ ქვეყანაში შესვლის რეჟიმზე. ამ ეტაპზე რეგიონში დასაქმების დონე მცირდება, რადგან უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინების

სავარაუდოდ პოპულარული ფორმა არის შერწყმა, შთანთქმა და ერთობლივი საწარმოები.

ლიტერატურის შესწავლი საფუძველზე შეიძლება დავუშვათ, რომ მულტინაციონალური კორპორაციების შემოსვლის შემდეგ აჭარის რეგიონში იქნება სამუშაო ადგილების დანაკარგები. სავარაუდოა, რომ მულტინაციონალური კორპორაციები დაიწყებს ერთობლივი საწარმოების შექმნასა და ადგილობრივი კომპანიების შესყიდვას. აღნიშნული მოვლენები შეამცირებს სამუშაო ადგილებს, რადგან მულტინაციონალური კორპორაციები მოახდენს გარკვეული ოპერაციების რესტრუქტურიზაციას. გარდა ამისა მულტინაციონალური კორპორაციების შემოსვლით გაიზრდება კონკურენცია სამშენებლო სექტორში, რაც საწყის ეტაპზე გამოიწვევს სამუშაო ადგილების დანაკარგებს.

ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და რადიკალურმა ეკონომიკურმა რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა საინვესტიციო პოლიტიკის ტრანსფორმაციისა და შესაბამისი გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის ფორმირების საკითხი. პრობლემის გადაწყვეტაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი განეკუთვნება მთლიანად ეროვნული მეურნეობის, მისი ცალკეული რეგიონების და ქალაქების დაჩქარებული აღდგენა განვითარებისათვის დიდი მოცულობის ფინანსური რესურსების მობილიზებასა და გამოყენებას. აღნიშნული საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და მისი მიზანმიმართულ, ეფექტიან გამოყენებას, რაც საბოლოოდ ახალი სამუშაო ადგილებისა და სოციალური ფონის გაუმჯობესების გარანტიაა.

კვლევამ აჩვენა, რომ სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც სამშენებლო სექტორის განვითარებაზე ასევე მთლიანად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდაზე. სწორედ ამიტომ აუცილებელია ხელი შევუწყოთ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდას სამშენებლო სექტორში, რადგან სამშენებლო სექტორი არის ეკონომიკის სხვა სექტორების ძლიერი მოტივატორი.

აღსანიშნავია, რომ დაბეგვრის სისტემაში არსებული ნაკლოვანებები სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორია სექტორის განვითარებისთვის. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ისეთი საგადასახადო კანონის

შექმნა, რომელიც მსხვილი, საშუალო და მცირე მეწარმეების დიფერენციაციას შეუწყობს ხელს. ამასთანავე, მცირე მეწარმეებისთვის აუცილებელია ბიზნესის დაწყების საწყის ეტაპზე დაწესდეს შეღავათიანი პირობები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს რეგიონის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტასა და შეუფერხებელ ეკონომიკურ ზრდას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნეს გარემოს ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილია რეგიონში არსებული პრობლემები, როგორც საკანონმდებლო ასევე ინსტიტუციურ დონეზე. შემუშავებულია რეგიონში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდის და სამშენებლო სექტორის გაუმჯობესების გზები.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ახორციელებენ განვითარებადი ქვეყნების დახმარებას, ხშირად აქვს ადგილი აღნიშნულ ქვეყნების ბიუჯეტის შემცირებას სოციალურ სექტორში, იზრდება სიღარიბე, ვალუტის კურსის კრიზისი, ადგილობრივი ვალუტის მაშტაბური დევალვაცია და ვაჭრობის პირობების დეტერმინაცია. შიდა დანაზოგები ვერ აფინანსებს ინფრასტრუქტურას, ჩნდება საჭიროება უცხოური პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების, მათი ისეთი უპირატესობების გამო, როგორიცაა რეციპიენტ ქვეყანაში მყარი ვალუტის და ფინანსური რესურსების შემოდინება, მენეჯერული უნარები, მარკეტინგული კავშირები, ტექნოლოგიური ცოდნა და ადგილობრივი სამუშაო ძალის გადამზადება-დატრენინგება. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები იწვევს საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას, უცხოურ ბაზრებს ხდის ხელმისაწვდომს ადგილობრივი პროდუქტებისათვის, ხელს უწყობს ადგილობრივი სამუშაო ძალის დატრენინგებას, ყოველივე ზემოთქმული კი ზრდის რეციფიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ეფექტიანობას.

სახელმწიფოს ღონისძიებები უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

- პირველს ჯგუფს მიეკუთვნება ინფლაციის ტემპების, უცხოური ინვესტიციების რისკების შემცირებაზე მიმართული ქმედებები და გარანტირებული გადახდები საგარეო დავალიანების მიხედვით.
- მეორე ჯგუფი ეს არის ღონისძიებები, რომლებიც ამცირებენ გადასახადებს და ამარტივებენ საბაჟო პირობებს უცხოელი ინვესტორტებისათვის. აღნიშნული ღონისძიებები ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს და ავსებენ.

ამგვარად, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი საინვესტიციო პოლიტიკა და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიმართ დამოკიდებულებები, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ და ხელს უწყობენ საინვესტიციო პოლიტიკის გაუმჯობესებას მთლიანად ქვეყანაში თუ მის ცალკეულ რეგიონებში.

დასკვნები და რეკომენდაციები.

ნაშრომში წარმოდგენილია საინვესტიციო გარემოს ზეგავლენა სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე, რომლის ფარგლებშიც არსებული არა ერთი საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები არ არის უბრალოდ საერთაშორისო კაპიტალის ტრანსფერი, არამედ საწარმოს გაფართოებაა თავისი ქვეყნიდან საზღვარგარეთ მასპინძელ ქვეყანაში, რომელიც მოიცავს კაპიტალის ნაკადებს, თანამედროვე ტექნოლოგიას, სამეწარმეო უნარს და მენეჯერულ პრაქტიკას მასპინძელ ეკონომიკაში, სადაც ადგილობრივ ფაქტორებთან კომპინირებულად იწარმოება საქონელი და მომსახურება.

ნაშრომში განხილული ემპირიული კვლევები ადასტურებს, რომ მასპინძელი ქვეყნისთვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციებიდან მაქსიმალური სარგებელი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, ის რეციპიენტ ქვეყანას გადასცემს თანამედროვე ტექნოლოგიებს, ქმნის გლობალურ მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე ხელმისაწვდომობას, ახორციელებს ადამიანური კაპიტალის ფორმირების მხარდაჭერას, ოპტიმალურად სარგებლობს ადამიანური შესაძლებლობებითა და ბუნებრივი რესურსებით, ზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო დონეზე, აფართოებს საექსპორტო ბაზრებს, უზრუნველყოფს პროდუქციისა და მომსახურების საერთაშორისო ხარისხის ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს საერთაშორისო სავაჭრო ინტეგრაციას.

კაპიტალის შემოდინება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს მოაქვს მასპინძელი ქვეყნისათვის. მას აქვს პირდაპირი ზეგავლენა ქვეყანაში, რადგან კაპიტალს მოაქვს ახალი ფინანსური რესურსები, რომელიც სხვაგვარად არ იქნება ხელმისაწვდომი რეციპიენტი ქვეყნისათვის. მეტი ფული ნიშნავს ირიბად დამატებით ინვესტიციებს, რის შედეგადაც ეკონომიკა განიცდის ზრდას. არაპირდაპირი ეფექტი კაპიტალის შემოდინებისა არის ტექნოლოგიების შემოდინების გვერდითი მოვლენები, დასაქმების ზრდის გვერდითი მოვლენები და გაზრდილი კონკურენცია.

კაპიტალისა და ტექნოლოგიების ინექცია ხელს უწყობს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებას. იგი გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და

ნოუ-ჰაუს გადაცემას, რომელსაც აქვს პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდაზე. რეციპიენტი ქვეყნის ადგილობრივ ფირმებს მულტიეროვნული კორპორაციებისაგან შეუძლიათ მიიღონ სარგებელი სხვადასხვა გზით.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ახორციელებენ განვითარებადი ქვეყნების დახმარებას, ხშირად აქვს ადგილი აღნიშნული ქვეყნების ბიუჯეტის შემცირებას სოციალურ სექტორში, იზრდება სიღარიბე, ვალუტის კურსის კრიზისი, ადგილობრივი ვალუტის მაშტაბური დევალვაცია და ვაჭრობის პირობების დეტერმინაცია. შიდა დანაზოგები ვერ აფინანსებს ინფრასტრუქტურას, ჩნდება საჭიროება უცხოური პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების, მათი ისეთი უპირატესობების გამო, როგორიცაა რეციპიენტ ქვეყანაში მყარი ვალუტის და ფინანსური რესურსების შემოდინება, მენეჯერული უნარები, მარკეტინგული კავშირები, ტექნოლოგიური ცოდნა და ადგილობრივი სამუშაო ძალის გადამზადება-დატრენინგება. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები იწვევს საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას, უცხოურ ბაზრებს ხდის ხელმისაწვდომს ადგილობრივი პროდუქტებისათვის, ხელს უწყობს ადგილობრივი სამუშაო ძალის დატრენინგებას, ყოველივე ზემოთქმული კი ზრდის რეციფიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ეფექტიანობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე აჭარის რეგიონი საჭიროებს მნიშვნელოვანი რაოდენობით უცხოურ ინვესტიციებს, რათა დაჩქარდეს ეკონომიკის ზრდა, განსაკუთრებით სამშენებლო სფეროში, რომ ხელი შეუწყოს ინფრასტრუქტურის განვითარებას. ალტერნატივა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სფეროში საინვესტიციო მიზნებისათვის კაპიტალის რეფორმებისა არის უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, მაგრამ მწირი საექსპორტო პოტენციალის გამო ფრანჩაიზინგი არის ყველაზე პრაქტიკული გზა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის.

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ საქართველოს გააჩნია გარკვეული დადებითი პოტენციალი, კერძოდ:

- ლიბერალური შრომითი კანონები;
- მდიდარი და შედარებით იაფი საკურორტო და ტურისტული რესურსები;

- ცნობილი მინერალური და სამკურნალო წყლების უმდიდრესი მარაგი;
- საკვები რესურსებისა და არსებობის სიიაფე სხვა ქვეყნებთან შედარებით;
- შედარებით იაფი კვალიფიციური მუშახელი;
- დინამიკური საბანკო სექტორი.

ნაშრომში გამოვყავით უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებითი ეფექტის შემდეგი სახეები: რესურსების ტრანსფერის ეფექტი, კონკურენციისა და ეკონომიკის ზრდის ეფექტი, დასაქმების ეფექტი, ინოვაციის პროცესი და პროდუქტიულობა, და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ეფექტი მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში შევისწავლეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის განმსაზღვრელ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია:

- სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სიტუაცია;
- ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა;
- შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია;
- პროგნოზირებადი და ხელშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო.

აღნიშნული ფაქტორების თვალსაზრისით ხელსაყრელი პირობების არსებობა წარმოადგენს საფუძველს უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებისათვის. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების შემოტანას, მენეჯმენტური გამოცდილების ამაღლებას, ფინანსირების სტაბილულრი წყაროების წარმოქმნას.

გასათვალისწინებელია ასევე ის, რომ უცხოური ინვესტიციები შეიძლება აისახოს როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად, ანუ ერთის მხრივ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური წინსვლისა თუ განვითარებისათვის ხელსაყრელი უცხოური ინვესტიციები რიგ უარყოფით გავლენას ახდენენ სახელმწიფოზე რომელთაგან აღსანიშნავია:

- რეციპიენტი ქვეყანა კარგავს ეროვნულ წარმოებასა და განვითარების სტრატეგიაზე კონტროლის მექანიზმებს;
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემომტანმა ფირმებმა შეიძლება გააძევონ ნაკლებად კონკურენტუნარიანი ეროვნული ფირმები;

- გრძელვადიან პერსპექტივაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დანახარჯების ზრდას იწვევს;
- შიდა ბაზარზე იზღუდება ჯანსაღი კონკურენცია;
- ტრანსეროვნული კომპანიების შემოსვლის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგება ქვეყნის პოლიტიკური არჩევანის თავისუფლება;

საინვესტიციო შესაძლებლობების განსაზღვრა წარმოადგენს ნებისმიერი საქმიანობის საწყის წერტილს, რომელიც დაკავშირებულია ინვესტირებასთან და შეიძლება გახდეს საინვესტიციო საშუალებების მობილიზაციის დასაწყისი. ქართველი და უცხოელი, კერძო თუ სახელმწიფო პოტენციური ინვესტორები დაინტერესებული არიან მიიღონ ინფორმაცია ახალი საინვესტიციო შესაძლებლობის შესახებ.

აღნიშნული ინფორმაციის შესაქმნელად რეგიონში უნდა განხორციელდეს საინვესტიციო პროექტის მრავალსაფეხურიანი შეფასება:

- ეკონომიკის სექტორის, ეროვნული ეკონომიკის დარგების დონეზე (შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ საინვესტიციო პროდუქტის სავარაუდო მასშტაბი და სამეურნეო სუბიექტ ინვესტორის რანგი);
- რეგიონის და მისი პოტენციალის დონეზე;
- საწარმოოს საინვესტიციო პროექტის დონეზე.

ინვესტორების დაინტერესების სტიმულირების მიზნით კონკრეტული პროექტების შესაძლებლობების გამოკვლევებს უნდა გააჩნდეს გარკვეული საბაზო ინფორმაცია, თანაც არ არის საკმარისი უბრალოდ საქონლის ჩამონათვალი, რომლის წარმოებისათვის არსებობს შიდა პოტენციალი. ასეთი ანალიზი დაფუძნებული უნდა იყოს საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ან რეგიონის, საწარმოო სექტორის, რესურსების საერთო შესაძლებლობების გამოკვლევის მასალებზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციის განხორციელების ამოსავალ წერტილად.

რეგიონის საინვესტიციო შესაძლებლობების შესასწავლად უნდა ჩატარდეს შემდეგი ასპექტების ანალიზი:

- ბუნებრივი რესურსები;
- სოფლის მეურნეობის სტრუქტურა (როგორც, სოფლის მეურნეობაზე ბაზირებული სამრეწველო დარგების საფუძველი);

- გარკვეულ სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნა, რომელთა მოხმარება შეიძლება გაიზარდოს მოსახლეობის რაოდენობის ან მსყიდველობითი უნარის ზრდით;
- იმპორტი;
- საექსპორტო შესაძლებლობები;
- საერთო საინვესტიციო კლიმატი;
- სახელმწიფოს საწარმოო პოლიტიკა;
- საწარმოო ფაქტორების არსებობა და ღირებულება;
- გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორები, რომელებიც წარმატებით ფუნქციონირებენ ანალოგიური ეკონომიკური ბაზის, მსგავსი განვითარების დონის და ფინანსური, შრომითი და ბუნებრივი რესურსების მქონე სხვა ქვეყნებში;
- ურთიერთკავშირები ადგილობრივ ან ტრანსნაციონალური კორპორაციებთან;
- არსებული წარმოების შესაძლებელი გაფართოება ინტეგრაციის საფუძველზე;
- დივერსიფიკაციის შესაძლებლობა;
- საწარმოო სიმძლავრეების შესაძლებელი გაფართოება ეკონომიის მისაღებად, რაც განპირობებულია წარმოების მასშტაბის ზრდით;

საინვესტიციო პოლიტიკის რეგიონულ დონეზე სრულყოფისათვის აუცილებელია განისაზღვროს:

1. კონკრეტული საინვესტიციო რეგიონული პრიორიტეტები;
2. უნდა განხორციელდეს რეგიონების ფინანსური მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი, რათა დაზუსტდეს რეგიონული თვითდაფინანსების რეალური შესაძლებლობები;
3. ჩატარდეს რეგიონული თავისებურებების შედარებით სრული აღრიცხვა საბაზრო რეფორმების გატარების დროს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინვესტიციურ პროცესებზე;
4. განხორციელდეს ადგილობრივი ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თანაბარი პირობები ყველა რეგიონისათვის ინვესტირების მიზნებისათვის.

საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონალური საინვესტიციო პროგრამების შემუშავებას, რომელთა ძირითად მიზნად შეიძლება მივიჩნიოთ რეგიონში საინვესტიციო საქმიანობის იმ წინასწარ განსაზღვრული დონის მიღწევა და შენარჩუნება, რომელიც აუცილებელია სტაბილური წარმოებისათვის, სოციალური სფეროს განვითარებისათვის და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ რეგიონალური საინვესტიციო პროგრამების ძირითადი ამოცანები, რომელთა გადაჭრა დააჩქარებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, კერძოდ:

- საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;
- რეგიონის განვითარების ფონდის შექმნა;
- ინვესტიციების დაზღვევის ეფექტური სისტემის ფორმირება;
- რეგიონში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით კვლავ აქტიური საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება;
- რეგიონში ინსტიტუციური ინვესტიციების ხელშეწყობა;
- ინვესტორებისათვის მეთოდური და საკონსულტაციო დახმარების აღმოჩენა.

რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგი ძირითადი საბაზრო პრინციპების განვითარებას:

- ინვესტიციური საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფის სრულყოფას;
- ინვესტიციური პროგრამების სტრატეგიულ მიმართულებებზე ინვესტიციური პოლიტიკის კონცენტრირების განხორციელებას;
- რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკის ფარგლებში კორპორაციათა ძალისხმევის გაერთიანებას ერთობლივი ინტერესების რეალიზების მიზნით;
- განვითარების დადებითი და უარყოფითი ტენდენციების სისტემატიურ მონიტორინგს;
- ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის შექმნას და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

საქართველოს, როგორც მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანა, ინვესტიციური პოლიტიკის ძირითად პრინციპს უნდა წარმოადგენდეს:

- მიზანმიმართულობა;
- ეფექტურობა;

- მრავალვარიანტულობა;
- მოქმედებათა რეგულირებადობა;
- სისტემურობა;
- მოქნილობა;
- რესურსების ათვისებისათვის მზადყოფნა;
- კომპლექსურობა;
- სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური უსაფრთხოება.

საქართველოს ეკონომიკისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს რეგიონებში საინვესტიციო აქტივობისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთგავლენის პრობლემის განხილვა, რაც განაპირობებს რეგიონებზე საინვესტიციო ბაზრების განვითარებას. მიმდინარე ეტაპზე არსებობს მრავალი მაკროეკონომიკური პრობლემა, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოს განვითარებაზე და აფერხებს, როგორც ადგილობრივ ასევე უცხო ინვესტორებს საქმიანობის ჩვენს ქვეყანაში წამოწყებასა და განხორციელებაზე.

მათ შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემდეგი:

- ინსტიტუციური ცვლილების ხარისხი და სიჩქარე;
- დაგროვების არაეფექტიანი სრუქტურა;
- მყარი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებაში არსებული სიძნელეები;
- მენეჯმენტური, ტექნიკური და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის მკვეთრი დონე;
- რეგიონების მიხედვით მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის მაღალი დიფერენციაცია.
- ადამიანურ კაპიტალსა და ძირითად ფონდებში ინვესტიციების დაბალი დონე;

მნიშვნელოვანია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფოკუსირება მოხდეს და გამახვილდეს ყურადღება იმ ძირითად პრინციპებზე, რომელიც ინვესტორებისთვის მიმზიდველია, კერძოდ, სასურველ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, კერძო საკუთრების დაცვასა და კანონის უზენაესობაზე, ბიუროკრატიის ხარისხზე, სოციალურ ფონსა და მის სტაბილურობაზე, მომუშავეთა კვალიფიკაციაზე და ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე. აღნიშნული ფაქტორები მიუთითებს

რეციპიენტი ქვეყნის სასურველ საინვესტიციო გარემოზე ან, პირიქით, მის არახელსაყრელობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორის კვლევის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ რეგიონის სამშენებლო სექტორი ხასიათდება:

- ფინანსური რესურსების ნაკლებობით;
- დაბალი მენეჯერული უნარებით;
- დაბალი ტექნოლოგიური ცოდნით;
- დაბალი ინოვაციური ინიციატივებითა და არაეფექტური პროდუქტიულობით;
- მწვავე კონკურენციით;

აჭარის რეგიონში ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა გავლენას მოახდენს ზემოთ აღნიშნულ ცვლადებზე.

ასევე სამშენებლო სექტორის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია კონკურენტუნარიანობის დონე, როგორც ტექნოლოგიური განვითარების, ასევე ეროვნული ბიზნეს გარემოს ხარისხის მიხედვით. აუცილებელია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნესმა გაზარდოს მონაწილეობა გლობალურ საწარმოო და გასაღების ქსელებში. მიზანშეწონილი იქნებოდა, მაღალტექნოლოგიურ და გლობალურ კომპანიებთან ალიანსების შექმნა. საქართველომ, ისევე, როგორც ნებისმიერმა ეკონომიკურად მზარდმა ქვეყანამ, სამშენებლო სექტორის განვითარებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია სცადოს სპეციალიზაციის ადაპტირება გარე სამყაროსთან და შეფარდებითი უპირატესობა მოიპოვოს მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი ზრდა და გლობალურ ბაზრებზე ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და რადიკალურმა ეკონომიკურმა რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა საინვესტიციო პოლიტიკის ტრანსფორმაციისა და შესაბამისი გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის ფორმირების საკითხი. პრობლემის გადაწყვეტაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი განეკუთვნება მთლიანად ეროვნული მეურნეობის, მისი ცალკეული რეგიონების და ქალაქების დაჩქარებული აღდგენა განვითარებისათვის დიდი მოცულობის

ფინანსური რესურსების მობილიზებასა და გამოყენებას. აღნიშნული საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და მისი მიზანმიმართულ, ეფექტიან გამოყენებას, რაც საბოლოოდ ახალი სამუშაო ადგილებისა და სოციალური ფონის გაუმჯობესების გარანტიაა.

რეგიონში სამშენებლო სექტორის მდგრადი განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან მიმართულებას მოწინავე ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის სტიმულირება წარმოადგენს. განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავება, რაც სამშენებლო სექტორს შესაძლებლობას მისცემს აამაღლოს მისი კონკურენტუნარიანობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად დიდი ოდენობით ინვესტიციების განხორციელება ადამიან-კაპიტალის განვითარების მიმართულებით, რაც სტიმულს მიცემს სამშენებლო სექტორის აღორძინებას. სასურველია გაძლიერდეს განათლების სისტემა და გაგრძელდეს განათლების, მეცნიერებისა და ტრენინგების სფეროში რეფორმები ადამიან-კაპიტალის მყარი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა და ნაკლოვანებაა გადასჭრელი. უცილებელია, სახელმწიფომ შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო მექანიზმების ეფექტიან ფორმირებას და უზრუნველყოფს ყველა ეკონომიკური სუბიექტის ზრდის შესაძლებლობებს. ვფიქრობთ, რომ საქართველოში არსებული საკრედიტო რესურსების დიდი დეფიციტი, მაღალი საპროცენტო განაკვეთები სამშენებლო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია, ამასთან, აღსანიშნავია ამჟამად საქართველოში არსებული საგადასახადო განაკვეთების მაღალი დონე, რაც მეწარმეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

დაბეგვრის სისტემაში არსებული ნაკლოვანებები სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორია სექტორის განვითარებისთვის. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ისეთი საგადასახადო კანონის შექმნა, რომელიც მსხვილი, საშუალო და მცირე მეწარმეების დიფერენციაციას შეუწყობს

ხელს. ამასთანავე, მცირე მეწარმეებისთვის აუცილებელია ბიზნესის დაწყების საწყის ეტაპზე დაწესდეს შეღავათიანი პირობები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორში არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს რეგიონის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტასა და შეუფერხებელ ეკონომიკურ ზრდას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნეს გარემოს ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილია რეგიონში არსებული პრობლემები, როგორც საკანონმდებლო ასევე ინსტიტუციურ დონეზე. შემუშავებულია რეგიონში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდის და სამშენებლო სექტორის გაუმჯობესების გზები.

ლიტერატურის შესწავლის შემდეგ, ნაშრომში დაშვებული ძირითადი ჰიპოთეზა **"უცხოური პირდაპირი ინვესტიციები სასარგებლო იქნება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ადგილობრივი სამშენებლო კომპანიებისათვის"** დასტურდება გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

კვლევაში ჩამოვაყალიბეთ სამი ძირითადი ნულოვანი და ალტერნატიული ჰიპოთეზა, რომლებიც შემდგომ შევამოწმეთ F ტესტის დახმარებით. გადაწყვეტილების მიღების წესი დამოკიდებული იყო F ტესტის კალკულაციური მნიშვნელობა უფრო მეტი თუ ნაკლები იყო F ტესტის კრიტიკულ მნიშვნელობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე 5% მნიშვნელობის დონეზე ნულოვანი ჰიპოთეზა (HO) უარვყავით როცა fcal > ftab, ხოლო ალტერნატიული ჰიპოტეზები (Hi) უარვყავით როცა fcal < ftab.

აღნიშნული ჰიპოტეზების ტესტირებამ დაადასტურა, რომ სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც სამშენებლო სექტორის განვითარებაზე ასევე მთლიანად ეკონომიკის ზრდაზე. სწორედ ამიტომ აუცილებელია ხელი შევუწყოთ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდას სამშენებლო სექტორში, რადგან სამშენებლო სექტორი არის ეკონომიკის სხვა სექტორების ძლიერი მოტივატორი.

სტატისტიკურ-ეკონომეტრიკული მეთოდის გამოყენების საფუძველზე ჩვენს მიერ ჩატარებული რეგრესული ანალიზი გვიჩვენებს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოსვლამ 2009-2015 წწ-ში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განაპირობა კაპიტალის ზრდა, რამაც სტიმული მისცა და განაპირობა რეგიონის ეკონომიკურ ზრდას, რომლის გარეშეც არსებული სიღარიბისა თუ სხვა პრობლემების დაძლევა შეუძლებელი იქნება.

რეგრესიული მოდელი ეფუძვნება 2009-2015 წწ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სანიმისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ეროვნული ბანკის საარქივო მონაცემებს. სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების გავლენის ეფექტის შეფასების საბოლოო რეგრესული მოდელი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სამშენებლო სექტორი (ბრუნვა) = α0+α1 უპი ნაკადები+e

სამშენებლო სექტორი (ბრუნვა) = 0,619879e+0.9 უპი ნაკადები

აღნიშნული რეგრესიული მოდელი გვიჩვენებს, რომ არსებობს დადებითი კორელაცია უცხოურ პირდაპირ ინვესტიციების ნაკადებსა და სამშენებლო სექტორს შორის, რომელიც გულისხმობს, რომ ერთი ცვლადის ცვლილება გამოიწვევს კორესპოდენტი ცვლადის ცვლილებას. რეგრესიული მოდელის დახმარებით დადგინდა რეალობა, რომ სამშენებლო ბიზნესში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდა გამოიწვევს რეგიონის ეკონომიკის ზრდას.

კვლევაში მიღებული მონაცემბზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ნებისმიერი ერთეულით ზრდა გამოიწვევს სამშენებლო სექტორის შემდგომ ზრდას და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების საშუალო და მაღალი დონე წაახალისებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას.

მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ შეძლებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო სექტორის ადგილობრივ სამშენებლო ფირმები ისარგებლონ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინებით და როგორ რეაგირებენ ისინი ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლით.

ნაშრომში გამოყენებული გრეინჯერის მიზეზობრივი ტესტის შედეგები ცხადყოფს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები არის ე.წ

“გრეინჯერის მიზეზი” სამშენებლო სექტორისთვის და პირიქით, სამშენებლო სექტორი არის ე.წ “გრეინჯერის მიზეზი” რეგიონში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინებისათვის. ის ფაქტი, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები არის ე.წ “გრეინჯერის მიზეზი” სამშენებლო სექტორისათვის, დასკვნის სახით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები არის მნიშვნელოვანი წინაპირობა და კატალიზატორი სამშენებლო ბიზნესის მდგრადი ზრდისა და განვითარებისათვის. ანალოგიურად ის ფაქტი, რომ რეგიონში სამშენებლო ბიზნესის განვითარებამ გამოიწვია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინების ზრდა, მიუთითებს რომ რეგიონში არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების დონე ასევე წინაპირობაა უცხოელი ინვესტორების მოზიდვისათვის.

ამრიგად, მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ სამშენბლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები ძალიან მნიშვნელოვანია, ის ასრულებს კატალიზატორის როლს სექტორის მდგრად ზრდასა და განვითარებაში და ასევე, სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების გრეინჯერის მიზეზი მიმართულია, რომ აჩვენოს ის ფაქტი, რომ ინფრასტრუქტურის ობიექტების დონე მნიშვნელოვანი პირობაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის.

კვლევამ ასევე გვაჩვენა, რომ მიზეზობრიობა არის ორმაგი მიმართულებით გამოხატული:

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები < = > სამშენებლო სექტორი.

ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინებამ შეიძლება გამოიწვიოს სამშენებლო საქმიანობის ზრდა, რადგან პირდაპირ თუ ირიბად აღნიშნულ სექტორებში დაჭირდებათ სამშენებლო სამუშაოების ჩატარება (მაგალითად მინიმუმ დაიწყებენ სამშენებლო ობიექტების, შენობების, ოფისების მისასვლელი გზების სამშენებლო საქმიანობას).

კვლევამ აჩვენა, რომ სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების შემოდინება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც სამშენებლო სექტორის განვითარებაზე ასევე მთლიანად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდაზე. სწორედ ამიტომ აუცილებელია ხელი შევუწყოთ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების ზრდას სამშენებლო

სექტორში, რადგან სამშენებლო სექტორი არის ეკონომიკის სხვა სექტორების ძლიერი მოტივატორი.

კვლევის თეორიული სტრუქტურა და ჩარჩო ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ მომავალში განხორციელდეს აღნიშნულ საკითხთა უფრო სირღმისეული თეორიული და პრაქტიკული კვლევა და ანალიზი, რაც მნიშვნელოვანია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენის არსებული ძირითადი მნიშვნელოვანი ტენდენციების იდენტიფიცირებისთვის, ასევე მომავალში არსებული შესაძლო სტრატეგიებისა და ძირითადი მიმართულებების განჭვრეტისათვის.

კვლევის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ადგილობრივი ფირმების განვითარების სტრატეგიების შემუშავებისთვის, ასევე გლობალიზაციის პირობებში რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადასაწყვეტად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე მ. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პირობები", საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი, 2002.
2. ამაღლობელი დ. „საქართველოს ბიზნეს გარემო და უცხოური ინვესტიციები". "ბიულეტენი". საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, №19; 1999.
3. ასათიანი რ. „თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი" თბილისი 2009.
4. ბიჭიაშვილი ნ. „ამოცანების კრებული და მეთოდური მითითებები სამშენებლო წარმოების ორგანიზაციაში, დაგეგმვასა და მართვაში", თბილისი, 1997.
5. ბებიაშვილი ნ. „საინვესტიციო გარემო და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში", ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა, №3; 2008.
6. ბერიშვილი ხ. „გლობალიზაცია და საინვესტიციო აქტივობის ზრდის პრობლემები საქართველოში". თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო-პრქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული, 2012.
7. გამსახურდია თ. ხურცია ლ. „საინვესტიციო პროცესის ეკონომიკური არსის გაგებისათვის." ჟურნალი „ეკონომიკა," №3-4; 2005.
8. გელაშვილი ს., „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში". თბილისი, 2009.
9. გელაშვილი მ., „საინვესტიციო აქტივობის ეფექტიანობის შეფასება საბაზრო ეკონომიკის პირობებში," (ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია), თბილისი 2001.
10. გვაჯაია ლ. „საწარმოთა საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ფორმები." ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა," №9; 2009.

11. გოგიაშვილი შ. „კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნესის გარემო საქართველოში", ჟურნალი "ახალი ეკონომისტი", №1. 2006.
12. გოგიაშვილი შ. „კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში", თბილისი 2009.
13. გოგიაშვილი შ. „ბიზნესი და ბუნებრივი მონოპოლიები", ჟურნალი, "ბიზნესი და კანონმდებლობა", №6. 2007.
14. გორგასალიძე მ. „ადამიანისეული კაპიტალი ეროვნული სიმდიდსრის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი ჟურნალი "ეკონომიკა", №10, 2005.
15. გრიგოლია ნ. ფირცხალავა ნ. „ინვესტიციები და საინვესტიციო პოლიტიკის რეგიონული ასპექტები." ჟურნალი „ეკონომიკა," №6; 2006.
16. გრეჰემი ე. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭრობა. "ეკონომიკური რეფორმები დღეს" № 1, 1999.
17. ეთერია ე. რეგიონული ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, 2005.
18. ერქომაიშვილი გ. „ბიზნესი–ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები" თბილისი, თსუ, 2007.
19. ვეშაპიძე შ. „საერთაშორისო ტურისტული ბიზნესი" ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", 4, 2009.
20. კვარაცხელია დ. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში: ტენდენციები, შედეგები და პერსპექტივები," ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", №2, 2007.
21. კვარაცხელია დ. „გლობალიზაცია და ეროვნული წარმოება", საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი 2008.
22. კისი ჰ. „სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში". სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
23. კურტანიძე გ. „ფინანსური ინვესტირების პროცესთა განვითარების პერსპექტივები საქართველოში." (დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია), თბილისი, 2008.
24. მანველიძე ი. „ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში" თბილისი, 2009.

25. მიმინოშვილი თ. „ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე ფორმები” საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენცია: გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები, 2012.
26. მიქაშავიძე ვ. მიქაშავიძე ჟ. „უცხოური ინვესტიციები და ბათუმის საკურორტო ტურისტული სექტორის განვითარების პერსპექტივები.” საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო – ანალიტიკური ჟურნალი „ბიზნესი და მენეჯმენტი”, №2; 2010.
27. მესხია ი. „გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა”, ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა” №2, 2009.
28. პაპავა ვლ. „ეკონომიკური რეფორმის ძირითადი თავისებურებანი საქართველოში,“ ჟურნალი „ეკონომიკა“, №4-6; 1995.
29. პაპავა ვლ. „საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე,” გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი, 1995.
30. პაპავა ვლ. „საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები,” გამომცემლობა “კომპანია იმპერიალი,” თბილისი, 2000.
31. პაპავა ვლ. „საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია,” ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა,” №5; 2001.
32. პაპაჩაშვილი ნ. „პუი საქართველოში ინვესტიციების გლობალური ნაკადების ფონზე" შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი” თბილისი, 2007.
33. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, თბილისი, 1996.
34. 31.საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ,” თბილისი, 2003.
35. საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ,“ თბილისი, 2006.
36. საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია, „საქართველოს რეგიონული განვითარება, დიაგნოსტიკური მოხსენება,” თბილისი, 2009.
37. საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია, „საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციები 2011 – 2017 წლებისათვის,” თბილისი, 2010.

38. ქადაგიშვილი ლ. „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბილისი, „გეოიდი", 2011.
39. ქოქიაური ლ., „ინვესტიციების თეორიული გენეზისი," თბილისი, 2007
40. ქოქიაური ლ. კურტანიძე გ. „საერთაშორისო ინვესტიციები გამოცდილება და პერსპექტივები საქართველოსათვის ბაზრის პირობებში," ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა," №7, 2005.
41. ქოქიაური ლ. „საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში," ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა," №6, 2009.
42. ღავთაძე გ. იფშირაძე ა. „ინვესტიციური პოლიტიკა, მისი როლი და შემუშავების პრინციპები თანამედროვე ეტაპზე," ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი," №4, 2008.
43. ღავთაძე გ. ჩიხლაძე ნ. „იმერეთის მხარის ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები," ქუთაისი, 2009.
44. ყამარაული ს. „უნივერსალური ბიზნეს ლექსიკონი," თბილისი, 2002.
45. შალამბერიძე ხ. „საინვესტიციო პროცესი ფინანსური მსოფლიო კრიზისის პირობებში," ჟურნალი „ეკონომიკა," №8-9, 2009.
46. შენგელია ქ. „გლობალური ეკონომიკა და საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა," ჟურნალი „ეკონომიკა", №9, 2005.
47. შენგელია ქ. კოკაია ქ. „საზღვარგარეთის პირდაპირი ინვესტიციები, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა და გლობალიზაცია," ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა," №7, 2006.
48. შენგელია თ. „გლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის გარემო საქართველოში", თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო-პრქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული, 2012.
49. შენგელია თ. „გლობალური ბიზნესი," თბილისი „ახალი საქართველო," 2010.
50. შენგელია თ. „რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია და უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოში", შრომების კრებული: რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები, 2010.
51. შენგელია თ, „მაკროეკონომიკური ანალიზის ანთოლოგია", თბილისი თსუ, 2008.

52. შენგელია თ, „ინსტიტუციური რეფორმები და ბიზნესგარემო საქართველოში, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი”, №4, 2008.
53. შენგელია თ, „საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში”, კრებული: ინოვაციები ბიზნესში, 2010.
54. შენგელია თ. გელაშვილი მ. „პირდაპირი ინვესტიციების როლი ბიზნესის აქტივიზაციაში,” ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა,” №9, 2007.
55. შენგელია თ. „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები" გამომცემლობა "ახალი საქართველო", თბილისი, 2011.
56. ჯღანჯღავა ქ. „უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე)”. (დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია), თბილისი; 2012.
57. Бочаров В., Попов Р., ,,Финансово-кредитним механизм регулиро-
58. вания инвестиционной деятельности предприятия,” СПБ;
59. Кульман А., ,,Экономические механизми,” Издат. ,,Прогресс,” Москва.;
60. Лоренс Дж. Гитман., Маикл Д. Джонки., ,,Основы инвестирования,” Издат. ,, дело”, Москва;
61. Макконел К. Р., Брю С. Л., ,,Экономика," Москва; 1992
62. Макмиллан „Словарь современной экономической теории Макмиллана,” Москва; 1997
63. Массе П. ,,Критерии и методы оптимального определения капиталовложении,” Москва; 1971
64. Понятие инвестиций всовременной экономической теори, Вестник БГУ, №2,2009
65. Akintoye, A., & Fitzgerald, E. (2000). A survey of current cost estimating practices in the UK. Journal of Construction Management and Economics, 18 (2), 161-172.
66. Aitken, B., Hanson, G.H., & Harrison, A.E. (1994) Spillovers, foreign investment, and export behaviour. N.B.E.R., Working paper No. 4967
67. Aitken, B., Harrison, A., & Lipsey, R.E. (1995) Wages and foreign ownership: A comparative study of Mexico, Venezuela, and the United States. N.B.E.R., Working paper No. 5102

68. Aitken B. J., Harrison A. E., "Do Domestic Firms Benefit from Direct Foreign Investment? Evidence from Venezuela", American Economic Review, vol. 89, pp. 605-618, 1999
69. Aitken B. J., Harrison A. E., "Do Domestic Firms Benefit from Direct Foreign Investment? Evidence from Venezuela", American Economic Review, vol. 89, pp. 605-618, 1999
70. Aje, O. I. (2008). The impact of contractor's prequalification and criteria of award on construction project performance in Lagos and Abuja. Ph.D Thesis, Department of Quantity Surveying, Federal University of Technology, Akure, Ondo State.
71. Anderson T ,. U.S. affiliates of foreign companies operations in 2008. Survey of Current Business. Vol. 90, #.11, pp: 45–58,2010
72. Asika, N. (2006). Research methodology in the behavioural sciences. Lagos: Longman.
73. Benasek V., "Foreign Direct Invetsment Methodology Approach", pp. 12-13, 2000
74. Blomström, M. (1990) Host country benefits of foreign investment. N.B.E.R., Working paper No. 6433
75. Blomström, M., Globerman, S., & Kokko, A., (1999) The determinats of Host Country Spillovers Foreign Direct Investment: Review and Synthesis of the Literature. SSE / EFI Working Paper Series No. 339
76. Blomström, M., & Kokko, A. (1996) Multinational Corporations and Spillovers. C.E.P.R., Working paper No. 1365
77. Blomström, M., Kokko, A., & Zejan, M., (1992) Host country competition and technology transfer by Mulitantionals. N.B.E.R., Working paper No. 4131
78. Blomström, M., & Sjöholm, F. (1998) Technology transfer and spillovers: Does local participation with Multinationals matter?. N.B.E.R., Working paper No. 6816
79. Borensztein, E., De Gregorio, J., &Lee., J.W. (1995) How does Foreign Direct Investment affect economic growth?. N.B.E.R., Working Paper No. 5057
80. Blomström, M., & Kokko, A. (1996) 'The Impact of Foreign Investment on Host Countries: Review of the Empirical Evidence.Available from http://www.worldbank.org/html/dec/Publications/Workpapers/WPS1700series/wps1745/wps1745.pdf
81. Blomström, M., & Kokko, A. (1997) 'How foreign investment affects host countries'., Policy Research Working Paper No. 1745 Available from http://www.worldbank.org/research/trade/pdf/wp1745.pdf

82. Blomstrom, M., Kokko, A., “Multinational corporations and spillovers” Journal of economic Surveys,12, 247-277,1998
83. Blomström, M., and Kokko A., The economics of foreign direct investment incentives, Working Paper No. 9489, Cambridge, Mass.: National Bureau of Economic Analysis, 2003
84. Blomstrom, M., A. Kokko and M. Zejan : “Host Country Competition and Technology Transfer by Multinationals”, Weltwirtschaftliches Archiv, 130, pp. 521- 533.,1994
85. Benasek V., “Foreign Direct Invetsment Methodology Approach”., pp. 12-13, 2000
86. Department of Economic and Social Information Statistics Division. “International Recommensations for Construction statistics”. United Nations. new York, 1997.
87. Dixon, T. (1994). The benefits of property research. Chartered Surveyor Monthly November/December, 4 (2), 5.
88. Ebhotemhen, S. E. (1997). Time series, business statistics, manual approach. Journal of School of Business Studies, 11 (3), 12-13.
89. Fellows, R., & Liu, A. (1997). Research methods for construction. London: Blackwell Science.
90. Flankel. Globalization of the Economy. N. Y. 2009
91. Field, A. (2013). Discovering Statistics Using IBM SPSS Statistics. SAGE Publications Ltd.
92. Fransman, M. (1986) Technology and economic development. Brighton: Wheatsheaf Books Ltd.
93. Gable, G. G. (1994). Integrating case study and survey research methods. An example in Information systems. European Journal of Information Systems, 3 (2), 112-126.
94. Gay, L. R. (1981). Educational research competencies for analysis and application. Columbus: Mersil Publishing Company.
95. Granger, C. W. J. (1969). Investigating causal relations by econometric methods and cross-spectral methods, econometrica (1st ed.). New York: Academic press.
96. Granger, C. W. J., & Newbold, P. (1986). Forecasting economic time series (2nd ed.). New York: Academic press.
97. Gupta, C. B., & Gupta, V. (2005). An introduction to statistical method (23rd revised ed.). Indian: UBS Publishers Ltd.
98. Harris, R. (1995). Using cointegration analysis in econometric modelling (3rd ed.). Englewood Cliffs: Prentice-Hall.

99. Hill, C.H.L (2003) International business:Competing in the Global Marketplace (4th edn). New York: McGraw-Hill/Irwin.
100. Hill, C. (2000): International Business - Competing in the Global Marketplace. University of Washington: Irwin McGraw-Hill.
101. Hunya, G. (2000): Recent FDI trends, policies and challenges in South-East European countries. Vienna Institute for International Economic Studies..
102. Jobber, D. (1991). Choosing a survey method in management research. In: Odeyinka, H. A. (2003). The development and validation of models for assessing risk impacts on construction cash flow. Ph.D. Thesis Submitted to Glasgow Caledonian University.
103. Jules, G. V., & Hennes, A. J. (2007, September 20). Infrastructure, procurement and market behavior. Paper presented at the 3rd Scottish conference for post graduate researchers of the built and natural environment, Glasgow Caledonian University, Scotland, Uk.
104. Kokko, A., (1996) Productivity spillovers from competition between local firms and foreign affiliates, Journal of International Development, Vol. 8, No. 4, 517 – 530
105. Kager, M., Bruckbauer, S., Holzhacker, H., Perrin, L., Pudschetl, W. & Rieger, P. (2004), Bank Austria Creditanstalt, CEE- from Transition to Governence; Getting started in the EU, Vienna Available from http://www.ba-ca.com/en/index.html
106. Leahy, D., & Neary, J., P., (1997) R&D spillovers and the case for industrial policy in an open economy. C.E.P.R., Working paper No.1671. http://www.ba-ca.com/en/index.html
107. Levin, R. L., & Rubin, D. S. (1990). Statistics for management (5th Edition). London: Blackwell Science.
108. Luo, Y. (2002) Multinational Enterprises in Emerging Markets. Gylling: Narayana Press.
109. Mogbo, C. T. (2004, November 25). The quantity surveyor as a cost engineer. Paper presented at the 21st biennial conference general meeting of NIQS, held at Premier Hotel, Ibadan.
110. Narmania D., Murgulia Sh., Zedelashvili O., Nanitashvili M.,. Khutsishvili G., "European Neighbour Policy and Georgia, Centre for Strategic Research and Development", Bulletin #102 ,pp.7-12, 2007 Foreign Direct Investment for development –Maximizing benefits, minimizing costs' Available from http://www.oecd.org/dataoecd/47/51/1959815.pdf
111. OECD publications (2002)
112. Ogbonmwan, E. P. (2006). Statistics theory. Onitsha: Africana-Feb Publishers Limited.

113. Orji, O. H. (2004, July 29). Foreign direct and portfolio investment in Nigeria and selected African countries from 1980 to 2004. Paper presented at the senior executive course No.26 of The National Institute for Policy and Strategic Studies, Kuru, Jos.

114. Reise, H., (2001) – "Durable flows, durable benefits" from www.oecdobserver.org/news/fullstory.php

115. Sargan, J. D. (1984). Wages and prices in the United Kingdom: A study in econometric methodology, in K. F. Wallis and D. F. Hendry, eds. Quantitative economics and econometric analysis. Oxford: Basil Blackwell.

116. Saunders, M.N.K., Lewis, P., & Thornhill, A. (2003) Research Methods for Business Students (3th edn). Harlow: Pearson Education Limited.

117. 109.Shaib, I. O. (2007a). Design and analysis of experiment concepts, theory and application (1st edition). Auchi: Smilestel Prints.

118. Shaib, I. O. (2007b). Time series analysis: Concepts and theory for application. Akure: Concept 3 IT Publishers.

119. Sims, C. (1972). Money, income and causality, American economic review. New York: Academic Press.

120. Smith, J. N. (1999). Managing risk in construction projects (1st ed.).United Kingdom: Blackwell Science Ltd.

121. Topku, C. Y. (2010, March 12). FDI in construction industry in India. The Times, pp.7 – 8.

122. Yamane, T. (1967). Statistics, an introduction analysis (2nd Ed.). New York: Harper and Row.

123. Wakil, G. H. (2004). The role of foreign direct investment in sustainable economic growth: challenges for Nigeria. Journal of Investment Facilitator, 14 (3), 4-6.

124. http://adjara.gov.ge

125. http://www.businessdictionary.com/definition/greenfield-site.html

126. www.businessinfo.ge

127. www.europe.eu.int

128. http://www.economy.ge/ge/economic-sectors/foreign-direct-investments

129. http://financial-dictionary.thefreedictionary.com/Brown+Field+Investment

130. http://www.geostat.ge

131. http://www.pmgiinsurance.com/investments

132. http://www.nbg.ge

133. http://www.oecd.org

134. http//www.worldbank.org/website/external/history.

135. http://www.worldbank.org/html/dec/Publications/Workpapers/WPS1700series/wps1745/wps1745.pdf

136. www.welforum.org

დანართი №1

ცხრილი № 1. უპი-ის, მშენებლობის სექტორში ბრუნვის და მთლიანი დამატებული ღირებულების დინამიკა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2009-2015 წწ. (ათასი აშშ დოლარი)

წლები	უცხოური პირდაპირი ინვესტიციები აჭარის არ	მთლიანი დამატებული ღირებულება	მშენებლობის სექტორში ბრუნვა
2009	99386,4	11,853	184
2010	56573,1	13,789	208
2011	93868	16,219	326
2012	39105,4	16,754	494
2013	61544,3	17,981	460
2014	204531	20,397	662
2015	160976,9	21,943	787

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური **www.geostat.ge**

ცხრილში მოცემულია ცვლადების მოკლე ანალიზი.

ცხრილი № 2. ცვლადების მოკლე ანალიზი

	მნიშვნელობა	**სტანდარტული გადახრა (SD)**	**მინიმუმი**	**საშუალო**	**მაქსიმუმი**
უცხოური პირდაპირი ინვესტიციები აჭარის ა.რ	**102283,59**	**60165,43**	**39105,4**	**93868,00**	**204531,0**
აჭარის ა.რ მშენებლობის სექტორში ბრუნვა	**445,9**	**225,5**	**184**	**460,0**	**787**

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე წარმოვადგინეთ მოდელის რეზიუმე:

ცხრილი № 3. მოდელის რეზიუმე

დამოლიდებული ცვლადი სამშენებლო სექტორი (ბრუნვა მლნ. ლარი)			
პროგნოზირება: მუდმივი კოეფიციენტი, უპი (მლნ. ლარი) **2009-2017 წწ.**			
მოდელი	**R**	**R -კვადრატი**	**სტანდარტული ცდომილება**
1	0.628	0.9011	-0,046